



ლალი ახალაძე

ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი 2014 წლიდან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი 2012 წლიდან. 2006 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა პროფესორ მიხეილ ხანანაშვილის ხელმძღვანელობით. 2008 წელს მიენიჭა ბიოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხი (სპეციალობით ნორმალური ფიზიო-

ლოგია 03.00.13) – PhD. იკვლევს ფსიქოგენური სტრესის გავლენას ქცევით რეაქციებზე, მეტაბოლიზმზე და ადაპტაციურ მარეგულაციებზე. სტრესისა და შფოთვის ფორმებს ადრეულ, სკოლამდელ და სასკოლო ასაკის ბავშვებში, ბავშვის ასაკობრივი განვითარებისა და სწავლების მეთოდების შესაბამისობის, ურთიერთმიმართებისა და ჩართულობის პრობლემებს და ა.შ. მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და საგანმანათლებლო პროექტებში. არის ორი მონოგრაფიის და 40-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

Lali Akhaladze

Academic doctor of biology (2008), Associated Professor at the Faculty of Physical Medicine and Rehabilitation of Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, since 2014. In 1995, she graduated with honours from the Faculty of Biology-Geography of Sokhumi Branch of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, with the specialty of biology. She was awarded qualification of the teacher of biology and chemistry (degree equalized with the master's degree). In 2006, he graduated from the Ivane Beritashvili Institute of Physiology of the Georgian National Academy of Sciences under the guidance of Professor Mikheil Khananashvili. and by the decision of the dissertation board, she was awarded the degree of academic doctor of biology (specialty: general physiology 03.00.13) – PhD. She is engaged in research in the spheres of biology and medicine – impact of psychogenic stress on behaviour responses, metabolism and adaptation characteristics, stress and anxiety forms in the early and pre-school age, problems of correspondence and interrelations between child development and teaching methods etc. She Participates in the national and international scientific conferences and international educational projects. He is the author of two monographs and about 40 scientific publications.



**ფსიქოგენური სტრესის განვითარება –
ორგანიზმის ბიოქიმიური ანალიზი
DEVELOPMENT OF PSYCHOGENIC STRESS -
BIOCHEMICAL ANALYSIS OF THE ORGANISM**

ISBN 978-9941-34-231-8



9 789941 342318



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SOKHUMI STATE UNIVERSITY

ლალი ახალაძე
LALI AKHALADZE

**ფსიქოგენური სტრესის განვითარება -
ორგანიზმის ბიოქიმიური ანალიზი**

**DEVELOPMENT OF PSYCHOGENIC STRESS -
BIOCHEMICAL ANALYSIS OF THE ORGANISM**

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2022

წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი ბიოქიმიური მაჩვენებლების და ქცევითი პარამეტრების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის მოდელირებისას, განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირების პირობებში. ნაშრომი განეკუთვნება ფუნდამენტურ გამოკვლევათა რიცხვს და მიღებული შედეგები აფართოებს თანამედროვე მეცნიერულ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხზე, საკმაოდ სრულ და ობიექტურ წარმოდგენას იძლევა სტრესული მდგომარეობისას ორგანიზმის ჰუმორული რეგულაციის შესახებ. კერძოდ, ჰორმონებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა აღნიშნავს სტრესული მდგომარეობის რეაქციული სინდრომის დასაწყისს, რომელიც ორგანიზმში მართავს ყველა ცირკულაციურ და მეტაბოლურ პროცესებს, რასაც საბოლოოდ მივყავართ გარემოს შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციასთან. განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში ცხოველების ქცევა და მეტაბოლური ცვლილებები განიმარტება, როგორც ბიოლოგიურად დადებითი სტრესის გამოვლინება და ასახავს თავის ტვინის თვითრეგულაციურ მოქმედებას, რაც გამოიხატება სტრესოგენური ფაქტორებისადმი ორგანიზმის რეზისტენტობის ამალღებაში.

გამოკვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვინაიდან გამოვლენილია ის ქცევითი აქტები, რომლებიც თვითრეგულაციის მექანიზმების მუშაობას გამოხატავს და განაპირობებს ჯანმრთელობისთვის სახიფათო სტრესოგენური ფაქტორებისადმი ორგანიზმის მდგრადობის დონის ამალღებას.

ნაშრომი განეკუთვნება სპეციალისტებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: **სულხან ცაგარელი †**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

რეცენზენტები: **ეკა რაფავა †**
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი

მანანა ჩიხლაძე
ბიოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

© ლალი ახალაძე, 2022
© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა „მერიდიანი“ 2022

ISBN 978-9941-34-231-8

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი „ფსიქოგენური სტრესის განვითარება – ორგანიზმის ბიოქიმიური ანალიზი“ ეფუძნება ჩვენს მრავალწლიან ემპირიულ კვლევებსა და დაკვირვებებს ივ. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ქცევისა და კოგნიტური ფუნქციების განყოფილების ლაბორატორიაში. სწავლისა და კვლევის პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფ. მიხეილ ხანანაშვილის მიზნობრივი რეკომენდაციებით ჩვენი მეცნიერული ინტერესი სხვადასხვა მიმართულებებით გაფართოვდა. ბუნებრივია, კვლევის შედეგად მივიღეთ მრავალფეროვანი მასალა, რომელზე დაკვირვება, ფიქრი და ანალიზი წლებს მოითხოვს. კვლევის შედეგების ნაწილი ასახულია ჩვენს დისერტაციაში „იმუნური და ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თეთრ ვირთაგვებში“ (2008), ასევე 2013 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში და აი, ჩვენი ემპირიული კვლევის შედეგებზე დაკვირვებისა და ანალიზის მომდევნო ეტაპი დღეს მკითხველის წინაშე ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოვადგინეთ. წიგნი ჯერ კიდევ 2019 წელს იყო მზად, რომელშიც გათვალისწინებულია ნაშრომის რედაქტორის ან გარდაცვლილი პროფ. სულხან ცაგარელის რჩევები და რეკომენდაციები, მაგრამ Covid-19-ის მსოფლიო პანდემიის შედეგად წიგნის გამოცემა დროებით გადაიდო.

ჯერ კიდევ პანდემიამდე, 2018 წლის 20 დეკემბერს გარდაიცვალა ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელი და მოძღვარი პროფ. მიხეილ ხანანაშვილი, ხოლო 2021 წლის 22 აგვისტოს მასწავლებელი და უფროსი მეგობარი პროფ. სულხან ცაგარელი.

უსაზღვრო მადლიერების გრძნობით, ჩვენთვის ორივე ძვირფასი მასწავლებლის, პროფესორების **მიხეილ ხანანაშვილისა და სულხან ცაგარელის** ხსოვნას ვუძღვნი ამ ნაშრომს.

ლალი ახალაძე

რედაქტორისაგან

ლალი ახალაძის პირველი წიგნი „ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე“ 2013 წელს გამოქვეყნდა, მას შემდეგ ავტორმა, გააფართოვა თავისი დაკვირვებები ფსიქოგენური სტრესის გავლენის დადგენა ქცევით რეაქციებზე და მეტაბოლიზმის ადაპტაციურ მაჩვენებლებზე. ახალი მონაცემებითა და მასალებით შეავსო და წინამდებარე ნაშრომის სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოგვიდგინა.

თანამედროვე ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას ორგანიზმის ჰომეოსტაზის მეტაბოლური პროცესების კვლევა წარმოადგენს. ჩვენ ვცხოვრობთ გახშირებული ლოკალური ომების, გეოლოგიური ძვრების, წყალდიდობების და მიწის ძვრების, აფეთქებების, ავიაკატასტროფების, კლიმატის ცვლილებების გარემოში, სადაც გაზრდილია ფიზიკური ტრავმების რაოდენობა. სტრესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ნერვულ სისტემაზე, მომრავლდა ადამიანთა ფსიქიკური აშლილობა – ფსიქიკური გამლიზიანებლის ზეგავლენით, მომატებულია ფსიქოგენური სტრესები, რომლებიც გავლენას ახდენენ თავის ტვინის ფუნქციებზე, კერძოდ, მეხსიერებაზე, მოტივაციაზე, ემოციაზე, სადაც ადამიანებს უძნელდებათ გადაწყვეტილების მიღების პროცესები.

მონოგრაფია მიეკუთვნება ფუნდამენტალურ გამოკვლევათა რიცხვს და მიღებული შედეგები აფართოებს მეცნიერულ მოსაზრებებს ცხოველთა ქცევაზე და მეტაბოლურ პროცესებზე. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფსიქოგენური სტრესის გავლენის შესწავლა ქცევით რეაქციებზე, მეტაბოლიზმზე და ადაპტაციურ მაჩვენებლებზე. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პრაქტიკული მედიცინისთვის, იმ დაავადებების პროფილაქტიკისა და პრევენციისთვის, რომელთა განვითარება შესაძლებელია სტრესოგენური ზემოქმედების შედეგად.

მონოგრაფია დიდ დახმარებას გაუწევს საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: პროფ. სულხან ცაგარელი

შესავალი

მუდმივად ცვალებად გარემო პირობებთან ორგანიზმის ადაპტაცია და ჰომეოსტაზის მეტაბოლური პროცესების შესწავლა თანამედროვე ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგეს. მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის მეტად გახშირდა ომები, ავიაკატასტროფები, ავტო და სარკინიგზო ავარიები, მინისძვრები, წყალდიდობანი და სხვა კატაკლიზმები. გახშირდა არა მარტო ფიზიკური ტრავმები, ტრავმით გამოწვეული გადახრები, არამედ გაჩნდა უამრავი ახალი სტრესორი, რომლებმაც გამოიწვიეს ფსიქიკური ტრავმა (სტრესი) და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ნეირო-ენდოკრინულ სფეროზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფსიქოგენური სტრესის მეტაბოლური ცვლილებები, გამომწვევი მიზეზები, განვითარების მექანიზმების კვლევისა და ძიების საკითხი. ფსიქოგენური სტრესი აღმოცენდება სპეციფიკური – ფსიქიკური გამლიზიანების ზეგავლენით, რომლებიც პირველად მოქმედებენ თავის ტვინის ისეთ ფუნქციებზე, როგორცაა მეხსიერება, მოტივაცია, ემოცია, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ა.შ. ფსიქოგენური სტრესის ზემოქმედებით უპირველეს ყოვლისა ამოქმედდება ორგანიზმის დამცველობითი, თვითმარეგულირებელი და კომპენსატორული მექანიზმები, რომლებიც აღნიშნულ ფსიქიკური ფუნქციების ოპტიმიზაციის პროცესს უზრუნველყოფენ (1,2).¹ ფსიქოგენური სტრესის განვითარების ხასიათი და შედეგები დამოკიდებულია ნერვული სისტემის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ეს უკანასკნელი კი ყალიბდება, როგორც თანდაყოლილი მექანიზმებით, ასევე იმ გარემო პირობებით, რომელშიც ორგანიზმი ვითარდება.

ნებისმიერი სტრესოგენური ზემოქმედება იწვევს ორგანიზმის საპასუხო რეაქციას მის ყველა დონეზე – უჯრედიდან დანყებული ორგანიზმის ფუნქციების მართველ ზოგად სისტემამდე (3, 4)². სტრესოგენური ფაქტორების ზემოქმედების საპასუხოდ, სწრაფად ვითარდება საპასუხო რეაქციები, რომელიც სისტემურ ხასიათს ატარებს, აღნიშნება ფუნქციურ ცვლილებები ყველა ქსოვილში (5, 6)³, ხდება ყველა ჰომეოსტაზური სისტემის მობილიზაცია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნერვული, ენდოკრინული და იმუნური სისტემები. ჰორმონებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა ფაქტიურად აღნიშნავს სტრესული მდგომარეობის რეაქციული სინდრომის დასაწყისს, რომელიც ორგანიზმში მართავს ყველა ცირკულაციურ და მეტაბოლურ

1 დევიძე ნ. – ვირთაგვების ქცევა ფსიქოგენური სტრესის პირობებში და მისი ფარმაკოლოგიური კორელაცია. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1998 წ. *Хананашвили М. М. – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. Вестник, Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина. 1998. с.13-16.*

2 *Гаркави Л.Х. Квакина Е.Б., Уколова М.А., – Адаптационные реакции и резистентность организма – Ростов, Изд. Ростовского университета. 1979. с.126. Зильбер А.П. Цанава Г.М. – Этюды клинической реаниматологии – Тбилиси. Сабчота Сакартвело. 1982. с.368.*

3 *Меерсон Ф.З. – Адаптация, стресс и профилактика – Москва. Наука. 1981. с.278. Ю.Шутеу, Т.Бендилэ, А.Кафрицэ и друг. – Шок. Терминология и классификация шоковая клетка. Патофизиология и лечение, /– Бухарест. 1981. с.515.*

პროცესს (6, 7)⁴, საბოლოოდ გარემოს შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციას ინვეს (8,9)⁵.

ნერვული და ენდოკრინული სისტემების რეაქციები სტრესული მდგომარეობის პათოგენეზის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ენდოკრინულ რეაქციებში პირველი ერთევა ლიმბურ-ჰიპოთალამო – ჰიპოფიზურ – ადრენერგული სისტემა, რომლის აქტივაციის შედეგად თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრიდან გამოიყოფა გლუკოკორტიკოიდები: კორტიზოლი ან კორტიკოსტერონი, კორტიზოლის ხანგძლივი სიჭარბე ინვეს კუნთებში გლიკოგენის გაძლიერებულ სინთეზს და ქსოვილებში გლუკოზის დაჟანგვის შემცირებას, რაც ჰიპერგლიკემიის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. სისხლში გლუკოზის დონის ამაღლებას ლიპოლიზიც ხელს უწყობს, რაც ასევე კორტიზოლის გავლენით ძლიერდება. კორტიზოლი აფერხებს აგრეთვე თირკმლის არხებში გლუკოზის რეაბსორბციას (10)⁶, რასაც თან ახლავს შარდში გლუკოზის გაჩენა (გლუკოზურია). მეორე არის სიმპატო-ადრენერგული სისტემა, რომლის აქტივაცია ინვეს ნერვული დაბოლოებებიდან და თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან შრიდან ცენტრალურ სტრუქტურებში და სისხლში ადრენალინის და ნორადრენალინის გამოყოფას (11)⁷. ფიზიოლოგიური რეაქციები (პასუხები) სტრესის გამღიზიანებელზე (სტიმულატორზე), სისხლის წნევის მომატება, გულის რიტმის გახშირება, სხეულის ტემპერატურის მატება და ACTH-ის კონცენტრაციის ზრდა, ურთიერთობაშია სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურებასთან, რაც ორგანიზმის დამცველობით – თვითმარეგულირებელი მექანიზმების მდგრადობის გაძლიერებაზე მიანიშნებს და განიხილება ბიოლოგიურად დადებითი ადაპტაციური ხასიათის რეაქცია, რომელიც ზრდის ორგანიზმის მდგრადობას სხვადასხვა პათოგენური ფაქტორების მიმართ. სტრესის მიერ კორტიზოლის ზეგავლენით წარმოქმნილმა ცვლილებებმა გლუკოზასა და ცხიმების მეტაბოლიზმში, შეიძლება ხელი შეუწყოს შაქრიანი დიაბეტისა და გულ – სისხლძარღვთა ავადმყოფობების განვითარებას.

სტრესის საკითხით მრავალი მკვლევარია დაინტერესებული და დღეისათვის იგი კვლავ აქტუალურია. ხშირ შემთხვევაში ტერმინი „სტრესი“ საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც ბიოლოგიურად უარყოფითი, სახიფათო, არასასურველი მდგომარეობის გამომხატველი, რაც ცხადია, მოითხოვს სტრესის მკურნალობას. სტრესის უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა ორგანიზმის დაცვა ზედღიერი გამღიზიანებლის მოქმედებისგან, ამიტომ ამ დროს აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ გამოვლენილ მექანიზმების ჩართვაზე, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის მდგრადობის დონის აწევას ჯანმრთელობისთვის

4 Ю.Шутеу, Т.Бендилэ, А.Кафрицэ и друг. – Шок. Терминология и классификация шоковая клетка. Патофизиология и лечение, /– Бухарест. 1981. с.515. Росин Я. А. – Регуляция Функции – Москва. Наука. 1984. с.172.

5 Кассиль Г.Н., – Внутренняя среда организма, Москва. Наука. 1983. с.224. Селье Г. – Стресс без дистресса – Москва. Прогресс. 1982. с.127.

6 Базарнова М.А. – Гормоны в норме и при патологии// в кн.: Руководство по клинической лабораторной диагностике. Часть 3, Клиническая биохимия/Под. ред.: М.А. Базарновой и В. Т. Морозовой, Киев, Здоровья, 1986. с.5-64

7 Mason J.W. – A review of psychoendocrine research on the sympathetic – adrenal medullary system. psychosom. Med. 1968, v.30, p.631-653.

სახიფათო სტრესოგენური ფაქტორებისადმი (12)⁸

მიუხედავად მრავალი ექსპერიმენტული კვლევისა, მონაცემები სტრესის ზემოქმედების, მეტაბოლური ცვლილებების შესახებ, კომპლექსურად არ არის შესწავლილი ფსიქოგენური სტრესის სხვადასხვა ტიპის სტრესოგენური გამლიზიანებლებით გამოწვეული ქცევითი და ემოციური მაჩვენებლები, ორგანიზმში (სისხლში) მიმდინარე ბიოქიმიური (კორტიზოლის, გლუკოზის, ქოლესტერინის) პროცესების ცვლილებები სტრესის განვითარების ეტაპების მიხედვით.

ფსიქოგენური სტრესის განვითარების ეტაპებზე, თვითრეგულაციური ქცევის ცენტრალური მექანიზმების შესწავლისას, ერთობლივად განვსაზღვრეთ ორგანიზმში (სისხლში) მიმდინარე მეტაბოლური ცვლილებები, ადაპტაციური ჰორმონი კორტიზოლისა და ნახშირწყლოვანი და ლიპიდური ცვლის მაჩვენებელი განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში. აქედან გამომდინარე, ქცევის ცენტრალური მექანიზმების, მეტაბოლური და ჰორმონალური მაჩვენებლების განსაზღვრა ფსიქოგენური სტრესის პირობებში არამართო აქტუალურია, არამედ დროულიც.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია თავის ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების ქცევითი კომპონენტების იდენტიფიკაცია, ქცევითი აქტების გამოვლინების კანონზომიერების დადგენა „ინფორმაციული ტრიადის“ არახელსაყრელი შერწყმით გამოწვეულ ფსიქოგენურ სტრესის პირობებში (სხვადასხვა ეტაპზე) და მათი გავლენა მეტაბოლიზმის ადაპტაციურ მაჩვენებლებზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

სტრესირების პირველ ეტაპზე (აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება და განმტკიცება მეტრონომზე – 2ჰც) – შევისწავლეთ ცხოველების ემოციური მდგომარეობა „ღია-ველისა“ და „პროკონფლიქტური“ ტესტით და განისაზღვრა სისხლში კორტიზოლის, გლუკოზისა და ქოლესტერინის კონცენტრაცია.

სტრესირების მეორე ეტაპზე (აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება და განმტკიცება ტონზე – 500 ჰც) – განისაზღვრა ცხოველების ემოციური მდგომარეობა „ღია-ველისა“ და „პროკონფლიქტური“ ტესტით და სისხლში კორტიზოლის, გლუკოზისა და ქოლესტერინის კონცენტრაციის მაჩვენებელი.

სტრესირების მესამე ეტაპზე (ორი აქტიური განრიდების რეაქციის „გაერთიანება“ 14 დღის განმავლობაში, მათი ერთდროული ტესტირება შემთხვევით თანმიმდევრობაში – გელერმანის სტოქასტური პროგრამის შესაბამისად) – ამ ეტაპზეც განისაზღვრა ცხოველების ემოციური მდგომარეობა „ღია-ველისა“ და „პროკონფლიქტური“ ტესტით და სისხლში კორტიზოლის, გლუკოზისა და ქოლესტერინის კონცენტრაცია.

8 **ხანანაშვილ მ.** – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.21-26.

თავი I. სტრესის გავლენა ორგანიზმის ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე

თანამედროვე მედიკო – ბიოლოგიურ მეცნიერებაში ორგანიზმის ადაპტაციის პრობლემა მუდმივად ცვალებად გარემო პირობებთან ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ავერსიულ ზემოქმედებაზე ორგანიზმის რეაქცია დამოკიდებულია, როგორც ნერვული სისტემის ინდივიდუალურ თავისებურებებზე (გენოტიპზე), ისე ზემოქმედების ტიპზე. უოლტერ კენონმა (13)⁹ პირველმა აღნიშნა, რომ ორგანიზმი ერთნაირად პასუხობს სრულიად განსხვავებული ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებაზე – გამოყოფს რა თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან ნივთიერებიდან ადრენალინს. კენონის თანახმად, ეფექტები, რომლებიც სისხლში ადრენალინის სეკრეციას იწვევს, ორგანიზმსს ამზადებს ბრძოლისთვის, რომელიც ასოცირდება შიშთან, გააფთრებასთან და ტკივილთან. თანამედროვე წარმოდგენებით ადრენალინი და ნორადრენალინი სტრესული პასუხის სიმპატო-ადრენერგული კომპონენტის ძირითად მედიატორებს წარმოადგენენ, როგორც ორგანიზმის დამცველი ძალების სასწრაფო მობილიზაციის მთავარი ფაქტორი – დარღვეული ნონასწორობის აღსადგენად, ე.ი. გარემო პირობების ცვლილებები არ იწვევს ფიზიოლოგიური პროცესების სერიოზულ დარღვევებს, იმ მექანიზმების კომპლექსის წყალობით, რომლებიც უზრუნველყოფს ორგანიზმის მდგრადობას – ჰომეოსტაზს (14, 15)¹⁰. ჰომეოსტაზის შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. ჰომეოსტაზის ცნება აღნიშნავს არა მხოლოდ ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლოგიური კონსტანტის ცნობილ მუდმივობას, არამედ ის მოიცავს ფიზიოლოგიური რეაქციების ადაპტაციისა და კოორდინაციის პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის ერთიანობას, როგორც ნორმალურ პირობებში, ასევე მისი არსებობის პირობების შეცვლისას. ორგანიზმის სტრუქტურების და ფუნქციების ერთიანობის შენარჩუნებაში მთავარი როლი ეკუთვნის ნერვულ, ენდოკრინულ და იმუნურ სისტემებს. ნერვული სისტემის მოქმედება იწვევს ენდოკრინული ჯირკვლებისა და ვეგეტატიური ფუნქციების გააქტიურებას, რაც ძირითადად უზრუნველყოფს გარემოს პირობების ზემოქმედებისადმი ორგანიზმის ადაპტაციას.

უოლტერ კენონის მონაფემ კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ ჩამოაყალიბა თეორია სტრესის შესახებ (Stress – დაძაბულობა). სელიეს შეხედულებით სტრესი ორგანული თუ ფუნქციური ცვლილებების ერთობლიობაა, რომელიც ვითარდება ორგანიზმზე ნებისმიერი ზემოქმედების დროს (16)¹¹. მოგვიანებით იგი აღნიშნავდა, რომ სტრესი „ორგანიზმის არასპეციფიური რეაქციაა გარემოს ნებისმიერ მოქმედებაზე“ (17)¹².

სტრესი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ფსიქოლოგი-

9 **Canon W.B.** – *The emergency function of the adrenal medulla in pain and the major emotions* *Am. J. Physiol.* 1914. V.33. P. 356-372.

10 **McEwen B.S. Wingfield J.C.**, – *The concept of allostasis in biology and biomedicine. Horm. Behav.* 2003. 43. P. 2-15. **McEwen B.S.** – *Stress adaptation, and disease. Allostasis and allostatic load. ann N.Y. Acad. Sci.* 1998. 840. P. 33-44.

11 **Selye H.** – *Stress and the general adaptation syndrome, BMJ*, 1950, P. 1383-1392.

12 **Selye H.** – *Stress without distress.* – N.Y., Holder and stoughton, 1974. P.178-192

ური და ფიზიკური სტრესორები იწვევს ორგანიზმში ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რაც არღვევს ჰომეოსტაზს. ჰომეოსტაზის აღსადგენად რამოდენიმე ფიზიოლოგიური მექანიზმი ჩაირთვება, რასაც „ალოსტაზი“ (14, 18)¹³ ეწოდება. თუმცა, დარღვევის შემდგომ ბიოლოგიური ფუნქცია უბრუნდება „ნორმას“ ანუ ფონურს. სტრესს შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი გავლენა ინდივიდზე. სპეციფიური სტრესორები (მაგ. ჭარბი სიცივე, ვარჯიში და სხვ.) აქტიურებენ საერთო ნევროლოგიურ და ფიზიოლოგიურ ქსელს (16)¹⁴. სხვადასხვა ტიპის სტრესორები აუცილებლად არ იწვევს პარალელურ ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, სპეციფიური სტრესორები იწვევენ დიფერენციულ ფიზიოლოგიურ პასუხებს ტვინის აქტივაციის პატერნების ჩათვლით (19, 20)¹⁵ იმუნორეაქტიულობას (21)¹⁶, რეცეპტორულ ექსპრესიას (22)¹⁷ და ნეიროტრანსმიტერულ სეკრეციას (21)¹⁸. სელიეს მიხედვით, სტრესული რეაქციის განვითარებაში წამყვანი როლი ნეირო-ჰორმონალურ, კერძოდ, ჰიპოფიზ-ადრენერგულ სისტემას ენიჭება. ნაჩვენებია, რომ ენდოკრინული სისტემის მძლავრ აქტივატორს ფსიქოგენური ფაქტორებიც წარმოადგენენ, მათი ზემოქმედების შედეგად შესამჩნევად „სტრეს-ჰორმონები“ იზრდება, როგორცაა ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის (23)¹⁹ და კორტიკოსტეროიდების (24, 25),²⁰ კონცენტრაცია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავის ტვინის აგზნებადობაზე (26, 27)²¹. თუმცა რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე სელიე არ უარყოფდა ნერვული სისტემის მნიშვნელობას ადაპტუ-

13 **McEwen B.S. Wingfield J.C.**, – *The concept of allostasis in biology and biomedicine. Horm. Behav.* 2003. 43. P. 2-15. **Dhabhar F.S. Satoskar A.R. Bluethmann H. David J.R. McEwen B.S.** – *Stress – induced enhancement of skin immune function: A role for Y interferon. Proc. Natl. Acad. Sci.* 2000, USA 97, 2846-2851.

14 **Selye H.** – *Stress and the general adaptation syndrome, BMJ*, 1950, P. 1383-1392.

15 **Dayas C.Y. Buller K.M. Crane K.W, Xu Y. Day T.A.** – *Stressor categorization: acute physical and psychological stressors elicit distinctive recruitment patterns in the amygdala and in medullary noradrenergic cell groups, Eur. J. Neurosci*, 14, 2001. P. 1143-1152. **Reyes T.M. Walker J.R. Decino C. Hogenesch J.B, Sawchenko P.E.** – *Categorically distinct acute stressors elicit dissimilar transcriptional profiles in the paraventricular nucleus of the hypothalamus J.Neurosci.* 23, 2003, P. 5607-5616

16 **Pacak K. Palkovits M.** – *Stressor specificity of the central neuroendocrine responses: implications for stressrelated disorders. 2001. Endocr. Rev.* 22(4), 502-548.

17 **Ghi P. Ferretti C. Blengio M.** – *Effects of different types of stress on histamine – H3 receptors in the rat cortex, Brain Res.* 1995, 690, 104-107

18 **Pacak K. Palkovits M.** – *Stressor specificity of the central neuroendocrine responses: implications for stressrelated disorders. 2001. Endocr. Rev.* 22(4), 502-548.

19 **Bartanusz V, Jazova D. Bertizi L.T. Tiders F.J.H. Aubry J.M , Kiss J.Z.** – *stress – induced increase in vasopressin and corticotropin – releasing factor expression in hypophysiotropic paraventricular neurons. Endocrinology.* 1993, v.132, p.895-902.

20 **Bruhn T.O. Plotsky P.M, Vale W.W.** – *Effect of faraventricular lesions on Corticotropin – Releasing Factor (CRF) – like Immunoreactivity in the STalk – Median Eminence: Studies on the Aolrenocorticotropin Response to Ether Stress and Exogenous CRF//Endocrinology – 1984. y.114, №1, p.57-62. ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ.* – გლუკოზისა და ქოლესტერინის მაჩვენებლის განსაზღვრა განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XIV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა სერია. თბ. 2016.გვ. 143-154

21 **Mason J.W. A** – *review of psychoendocrine research on the sympathetic – adrenal medullary. system. psychosom. Med.* 1968, v.30, p.631-653. **Walker C.D. Sapolsky R.M, Meaney M.J. et.al.** – *Increased pituitary sensitivity to glucocorticoid feed back during the stress nonresponsiwe period in the neonatal tat// Endocrinology, v.1996, №4, p.1816-1821.*

რი პასუხის ფორმირებაში. ჰორმონებს, რომლებიც აქტიურად ერთვებოდნენ სტრესის რეალიზაციაში – ადაპტური უნოდა, სტრესოგენურ გამლიზიანებლად ფსიქიკურ ფაქტორებსაც მიიჩნევდა (28)²².

სტრესის დროს წარმოქმნილ არასპეციფიურ დამცავ-შემგუებლობით რეაქციებს სელიემ გენერალიზებული ადაპტაციური სინდრომი უნოდა, რომლის განვითარება ვლინდება: 1) განგამის (შფოთვის), 2) რეზისტენტობის და 3) გამოფიტვის (განლევის) რეაქციებით. თითოეული მათგანი ხასიათდება ქრონოლოგიით, ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური მახასიათებლებით (17)²³. ადაპტაციური სინდრომის ჩართვას წინ უძღვის პირველადი შოკის განვითარება, რომლის დროსაც ადგილი აქვს ორგანიზმის რეზისტენტობის მკვეთრ დაქვეითებას, რასაც მოსდევს „განგამის“ (შფოთვის) სტადია; იგი ხასიათდება შინაგანი ორგანოების დაზიანებით (მაგ. კუჭის წყლული, ნეკროზული უბნების გაჩენა ფარისებრ ჯირკვალში, სისხლის შემადგენლობის ცვლილებები, თირკმელზედა ჯირკვლის მოცულობის ზრდა), ეს მოვლენები შესაძლებელია ისეთი სიღრმის იყოს, რომ, სიცოცხლისათვის სახიფათო გახდეს, მაგრამ თუ ორგანიზმმა დაძლია ეს „ხიფათი“, მაშინ განვითარდება სტრესული რეაქციის მეორე სტადია, რომელსაც სელიემ „რეზისტენტობის“ სტადია უნოდა. ამ სტადიაში იწყება საადაპტაციო მექანიზმების მობილიზაცია, ხდება წინა სტადიაში განვითარებული ცვლილებების ჩაქრობა. ამ სტადიისთვის დამახასიათებელია რეზისტენტობის მომატება სტრესორის მიმართ, მაგრამ თუ სტრესორის მოქმედება არ შეწყდა, იწყება სტრესული რეაქციის „გამოფიტვის“ (განლევის) სტადია და ადგილი აქვს ორგანიზმის საადაპტაციო რეზერვების ამონურვას, სპეციფიკური და არასპეციფიკური რეზისტენტობის დაქვეითებას, ორგანოების დეგენერაციას და ატროფიას. ამ სტადიას მეორად შოკს უნოდებენ და შესაძლებელია ორგანიზმის დაღუპვაც კი მოყვეს. ზემოთ აღწერილ პირველ და მეორე სტადიას სელიემ ადაპტურ ცვლილებებად მიიჩნევდა და ამ სტადიების ერთობლიობას „ეუსტრესი“ უნოდა, ხოლო სტრესული რეაქციის გამოფიტვის სტადიაში მიმდინარე მოვლენები გააერთიანა ტერმინით „დისტრესი“, რომელსაც განიხილავდა როგორც პათოლოგიას. მაშასადამე, გენერალიზებული ადაპტაციური სინდრომის სამივე სტადია განსაზღვრავს ორგანიზმის არა მარტო ბიოლოგიურ მდგომარეობას, არამედ ცვლადი პროცესების საერთო ზოგად ბალანსს.

სტრესის საკითხით მრავალი მკვლევარი დაინტერესდა და დღეისათვის იგი კვლავ აქტუალურია. ხშირ შემთხვევაში ტერმინი „სტრესი“ საყოველთაოდ გამოიყენება, როგორც ბიოლოგიურად უარყოფითი, სახიფათო, არასასურველი მდგომარეობის გამომხატველი, რაც ცხადია მოითხოვს მის მკურნალობას, მაშინ როდესაც სტრესის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ორგანიზმის დაცვაც ზეძლიერი გამლიზიანებლების მოქმედებისგან, აუცილებელია ყურადღების გამახვილება სტრესის დროს, გამოვლენილ იმ ფუნქციებზე, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის მდგრადობის დონის აწევას ჯანმრთელობისთვის სახიფათო სტრესოგენური ფაქტორებისადმი (12)²⁴. სტრესის როლი დამტკიცებულია

22 *Селье Г. – Стресс без дистресса, Москва. Прогресс. 1979. с.124.*

23 *Selye H. – Stress without distress. – N.Y., Holder and stoughton, 1974. P.178-192*

24 *ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა.*

მრავალი დაავადების და პათოლოგიური პროცესების განვითარებისას. სტრესი ხელს უწყობს წყლულოვანი და ჰიპერტონული დაავადებების წარმოშობას ან მიმდინარეობის გაუარესებას, აგრეთვე ათეროსკლეროზს, გულის სტრუქტურის და ფუნქციის დარღვევას (29, 30, 31)²⁵.

მენციერთა ფართო წრე სტრესს განიხილავს, როგორც ბიოლოგიურად დადებით, ადაპტური ხასიათის ინტეგრალურ რეაქციას, რომელიც ზრდის ორგანიზმის მდგრადობას სხვადასხვა პათოგენური ფაქტორების მიმართ (32, 33)²⁶. მიხეილ ხანანაშვილის მიხედვით, ფსიქოგენური სტრესის კლასიფიკაციის ბიოლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით, ბიოლოგიურად დადებითი ფსიქოგენური სტრესი არის ნორმოსტრესი, ფსიქო-ბიოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება ფსიქიკური ფუნქციების მუდმივ დაძაბულობაში. იგი ხელს უწყობს ადაპტაციას ცხოვრების პირობებთან, რათა უზრუნველყოს მუდმივად ცვალებად გარემოში ორგანიზმის ფსიქიკური ფუნქციების ოპტიმალური მდგომარეობა (12)²⁷.

სტრესის გამომწვევი მიზეზი მრავალფერონია, გარემოს ძლიერი ცვლილება თვით ორგანიზმზე და მის ფსიქიკაზე შეიძლება სტრესის გამომწვევ მიზეზად ჩაითვალოს. ზემოქმედებებს, რომლებიც იწვევენ სტრესს სტრესორებს უწოდებენ. სტრესის კლასიფიკაციის შექმნის დროს გამოიყენება არა ერთი, არამედ მოვლენის რამოდენიმე ტიპური მაჩვენებელი (ნიშან-თვისება), რითაც ფართოდება კლასიფიკაციის ჩარჩო.

ხანანაშვილის მიხედვით, სტრესის გამომწვევ მიზეზთა კლასიფიკაციაში განასხვავებენ ორ ძირითად ფორმას: ფიზიკური (არაფსიქოგენური) და ფსიქოლოგიური (ფსიქოგენური) სტრესორები. ფიზიკური სტრესორები (მაღალი და დაბალი ტემპერატურა, ტრავმა, ძლიერი ფიზიკური დატვირთვა და სხვა) უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ორგანიზმზე, ორგანოებზე, ქსოვილებზე. ფსიქოგენური სტრესორები, იმის გათვალისწინებით თუ რა მოვლენათა ჯგუფს მიეკუთვნება სტრესის გამომწვევი მიზეზი, შეიძლება იყოს: ფიზიკური (ფიზიკურის ქვეშ პირობითად იგულისხმება ყველა არაფსიქიკური წარმოშობის გამლიზიანებელი) და ფსიქიკური. ფსიქიკური ფაქტორებით გამომწვეულია ფსიქოგენური სტრესი. მის გამომწვევ გამლიზიანებლებს ეკუთვნის: სიტყვა („ვერბალური სტრესი“), პირობითრეფლექსური სიგნალიზაცია (პირობითრეფლექსური სტრესი), ფსიქონერვული სტრესი (ხატით წარმართული ქცევა), თანდაყოლილი ფსიქოგენური სიგნალიზაცია(იმპრიტინგი), ფსიქოგენური სიგნალ-

თბილისი, 2008. გვ.21-26.

25 *Van Der Does FE, De Neeling JN, Snoek FJ, Kostense PJ, Grootenhuys PA, Bouter LM, Heine RJ: – Symptoms and Well – being in relation to glycemc control in type II diabetes, Diabetes Care, 1996, 19, P. 204-210. Kemmer FW, Bisping R, Steingruber HJ, Baar H, Hardtmann F., Schlayhecke R., Berger M: – Psychological stress and metabolic control in patients with type I diabetes mellitus. N. Engl J.Med., 1986, 314, P. 1078-1084. Горизонтов П.Д., Белоусова О.И., Федотова М.И. – Стресс и система крови, Москва. Медицина. 1983. с.20.*

26 *Вальдман А.В., Козловская М.М. Медведев О.С. – Фармакологическая регуляция эмоционального стресса. М. Медицина. 1979, с.359. Жуков Д.А. – Психогенетика стресса. Поведенческие и эндокринные корреляты генетических детерминантов при неконтролируемой ситуации. Санкт-Петербург. 1997. с.150..*

27 *ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ. 25.*

იზაცია (თავის ტვინის ქვეცნობიერი მოქმედება – ფსიქოგენური სტრესი) (12)²⁸. რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული სტრესი, მისი გამოვლინება ერთგვაროვანია, თუ არ ჩავთვლით იმ სისტემის (რეცეპტორი, ორგანო) პირველად რეაქციას, რომელიც განიცდის სტრესოგენური ფაქტორის ზემოქმედებას ანუ რა არის სტრესის გამომწვევი ფაქტორის ორგანიზმში შესასვლელი „ჭიშკარი“? (34)²⁹. ფსიქოგენური სტრესი, თავისი ბიოლოგიური მნიშვნელობით არის ორი განსხვავებული მდგომარეობის გამომხატველი: დადებითის და უარყოფითის. მათ განსხვავებული მექანიზმები, თავის ტვინის განსხვავებული სისტემები განაპირობებს და ეს მდგომარეობები ერთმანეთს არ ჩაენაცვლება, ე.ი. არ არის ერთმანეთის ეტაპები (12)³⁰. ფსიქოგენური სტრესი აღმოცენდება ფსიქიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, უპირველესად იძაბება ის მექანიზმები, რომლებიც ფსიქიკურ ფუნქციებს განაპირობებენ და პირველად მოქმედებენ თავის ტვინის უმაღლეს ფუნქციებზე, როგორცაა მეხსიერება, მოტივაცია, ემოცია, გადაწყვეტილების მიღების პროცესი და სხვა. ამ შემთხვევაში სტრესოგენური ფაქტორის შესასვლელი „ჭიშკარი“ ტვინია, რომელსაც შეუძლია სტრესულ მდგომარეობაში ჩაითრიოს სხვადასხვა სისტემები: ენდოკრინული, იმუნური, გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, გამომყოფი და სხვა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არაფსიქოგენური (ფიზიკური) ფაქტორებით გამოწვეულ სტრესს ყოველთვის თან სდევს უარყოფითი ემოციები. ამგვარად, მეორადად ერთვება სტრესის ფსიქოგენური ფაქტორი, რაც თავისთავად სტრესის აღმოცენების პირველად „ჭიშკარზე“ მოქმედებს, რასაც თან მოსდევს სტრესისთვის დამახასიათებელი სურათის განვითარება (2, 34)³¹. ფსიქოგენური სტრესის მასობრივ წარმოშობას განაპირობებს ინფორმაციის მოზღვაება, თუმცა ინფორმაციის ზრდა, მისი მოზღვაება თავისთავად არ იწვევს სტრესს: ადამიანის თავის ტვინს, უამრავი ინფორმაციის აღქმა და გადაამუშავება შეუძლია, ინფორმაციის მოზღვაება განსაზღვრული პირობებში შეიძლება გადაიქცეს ძლიერ სტრესოგენურ ფაქტორად და შესაძლოა გამოიწვიოს დაავადება, რომელსაც ხანანაშვილმა 1975 წელს “ინფორმაციული ნერვოზი” უწოდა, ხოლო შემდგომში უფრო ფართო გაგებით “ინფორმაციული დაავადება” (12, 35)³². ინფორმაციული სტრესი, ფსიქოგენური სტრესის ფორმაა, ის გამოიწვევა იმ სამი ფაქტორის ზემოქმედებით, რომლებიც ინფორმაციული დაავადების აღმოცენებას განაპირობებს. ეს ფაქტორებია: 1) ინფორმაციის რაოდენობა, 2) ინფორმაციის გადაამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო

28 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.21-24

29 *Хананашвили М. М.* - В. кн. *Патофизиология*. Москва. Изд-во Томского университета, 2001. с.683-704.

30 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ. 19

31 *Хананашвили М. М.* – *Психогенный стресс: теория, эксперимент, практика*. Вестник, Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина. 1998. с.13-16. *Хананашвили М. М.* - В. кн. *Патофизиология*. Москва. Изд-во Томского университета, 2001. с.683-704.

32 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.47-64. *Хананашвили М. М. Реберг Г.* - *Саморегуляция поведения в условиях возрастающих нагрузок на аналитико-синтетическую деятельность мозга у кошек*. Журн. В.Н.Д. 1981. т. 31. №4. с. 123- 129.

დრო და 3) გადაწყვეტილების მიღების მოტივაციის დონე. ცნობილია, რომ, ეს სამივე ფაქტორი, რომელთა ერთობლიობას „ინფორმაციული ტრიადა“ უწოდეს თავისთავად ბევრად განაპირობებს ნორმალურ ქცევას. მაგრამ შესაძლებელია ეს ფაქტორები არახელსაყრელ პირობებში სტრესოგენური გახდეს. მაგ. ჭარბი ინფორმაციის მოზღვავეების (ან დეფიციტის), დროის ქრონიკული უკმარისობის და ქცევის მაღალი მოტივაციის პირობებში. ფსიქოგენური სტრესის ერთ-ერთი ფორმა, ინფორმაციული სტრესით გამონვეული მექანიზმების ცვლილებები, თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს ცვლის ტვინის ორგანიზაციის ყველა დონეზე – დანყებული მოლეკულური დონით და დასრულებული ქცევით (12)³³. ხანანაშვილის მიხედვით, ბიოლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით ფსიქიკური სტრესის ფორმები ორ ჯგუფად იყოფა: ბიოლოგიურად დადებითი და ბიოლოგიურად უარყოფითი. „ბიოლოგიურად დადებითი ფსიქიკური სტრესი“- ადაპტაციურ როლს თამაშობს, ამაღლებს და აძლიერებს მდგრადობას სტრესოგენური გამლიზიანებლებისადმი და უზრუნველყოფს ფსიქიკის ჰომეოსტაზს. „ბიოლოგიურად უარყოფითი ფსიქიკური სტრესი“ ორგანიზმში ინვესტს დეზადაპტაციურ მოვლენებს, აკნინებს მდგრადობას სტრესოგენური გამლიზიანებლებისადმი, არღვევს ფსიქიკის ჰომეოსტაზს და ხელს უწყობს პათოლოგიის განვითარებას. ბიოლოგიური მნიშვნელობის გათვალისწინებით სტრესის ამგვარი დაყოფა მისაღები და საკმაოდ გავრცელებულია, მათ აღსანიშნავად ვიყენებთ სხვა ტერმინებს: ბიოლოგიურად დადებითი – „ფიზიოლოგიური სტრესი“ და ბიოლოგიურად უარყოფითი – „პათოლოგიური სტრესი“ (12)³⁴.

ტკივილს, როგორც ფსიქიკური ფაქტორის გამლიზიანებელს, მობილიზაციაში მოჰყავს დამცავი მექანიზმები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია კომპლექსატორული – შემგუელობითი რეაქციებით, ეს უკანასკნელი კი მიმართულია, არა მხოლოდ გალიზიანების წყაროს აღმოსაფხვრელად არამედ ჰომეოსტაზის შესანარჩუნებლადაც (36)³⁵. ამ დროს ხდება სიმპატიკო – ადრენალური სისტემის მობილიზაცია, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დაძაბულობისთვის მზადყოფნის მდგომარეობას და ასევე არასასურველი ზემოქმედების გადალახვას (37)³⁶. ლიტერატურაში არსებობს ცნობები, დაძაბული გონებრივი მოქმედებით გამონვეულ სტრესს ახასიათებს თავის ტვინის ქერქში სისხლის მიმოქცევის გაძლიერება, კერძოდ იმ უბნებში, რომლებიც რთულ ფსიქიკურ ფუნქციას განაპირობებს (37)³⁷. მრავალრიცხოვანი დაკვირვებები და ექსპერიმენტები მონიშნობს, ფსიქიკური ფაქტორის საპასუხოდ, ორგანიზმის რეაქციის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მრავალი ნერვული ქსელი განიცდის აქტივაციას (38)³⁸, მათგან მნიშვნელოვანია გამოვყოთ ორი ძირითადი სისტემა, რომ-

33 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.47.

34 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.24-25

35 Вальдман А.В. – Нервная система и гомеостаз// в кн. Гомеостаз// Под ред. П.Д. Горизонтова, 2-е изд. – Москва. Медицина. 1981. с.29-73.

36 Кенон В. – Физиология эмоций – Л.Прибой. 1927. с.145.

37 Федоров Б. М. – Стресс и система кровообращения 1991. М. С.178-190.

38 Vermenten E., Bremner J.D. – Circuits and system in stress: I.Preclinical studies. *Depress Anxiety*. 2002, v.15, p.126-147.

ლებიც ჩართულია სტრესული პასუხის რეალზაციაში, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ლიმბურ – ჰიპოთალამო – ჰიპოფიზურ-ადრენერგული (LHPA) სისტემა, რომლის აქტივაციის შედეგად თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრიდან სისხლში გამოიყოფა გლუკოკორტიკოიდები: კორტიზოლი ან კორტიკოსტერონი. მეორე არის სიმპატიკ – ადრენერგული სისტემა (SA), რომლის აქტივაცია იწვევს ვეგეტატიური ნერვული სისტემის ადრენერგული ბოჭკოებიდან (ნერვული დაბოლოებებიდან) და თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან შრიდან ცენტრალურ სტრუქტურაში და სისხლში კატეხოლამინების გამოყოფას (39, 40, 41)³⁹. ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი განყოფილებები, რომლებიც არეგულირებენ კატეხოლამინების სეკრეციას, მდებარეობს თავის ტვინის ქერქში, მეოთხე პარაკუჭის, ჰიპოთალამუსის, რეტიკულური ფორმაციის უბნებში. კატეხოლამინების მატება აღნიშნავს რეაქციული სინდრომის აღმოცენების დასაწყისს (9)⁴⁰, ხოლო ადრენალინი ითვლება ავარიულ ჰორმონად, იგი კრიტიკულ სიტუაციაში ინარჩუნებს ცირკულაციურ ჰომეოსტაზს (42)⁴¹. აღსანიშნავია, რომ ნორადრენალინი ჩართულია თავის ტვინის თვითრეგულაციის პროცესებში, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სხვადასხვა კოგნიტიური და ქცევითი რეაქციები, თავის ტვინის ნორადრენერგული სისტემა აქტივირდება სტრესოგენური გამლიზიანებლების ზემოქმედებისას, ყურადღების კონცენტრირებისას, მოძრაობითი აქტიურობის გაძლიერებისას, ერთი მოქმედებიდან მეორე მოქმედებაზე გადასვლისას და სხვა (41, 42, 43)⁴². ავერსიული სტიმულის არსებობის შემთხვევაში გაძლიერებული მოძრაობითი აქტივობა შესაძლებელია შფოთვის და დაძაბულობის გამომხატველი იყოს, რომელიც შეიძლება მოიხსნას ანტიდეპრესანტებით და თავის მხრივ შეამციროს ნორადრენალინის სინთეზი და სეკრეცია (44)⁴³. სტრესოგენურ ზემოქმედებაზე ასევე რეაგირებს სეროტონინერგული სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად ერთვება თავის ტვინის მრავალ ფუნქციაში, მათ შორის ემოციის პროცესებში. ცნობილია, რომ ვირთაგვების თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურაში სეროტონინის კონცენტრაციის მომატება აღინიშნება ფსიქოსოციალური კონფლიქტისა და ქცევითი რეაქციების გაძლიერების დროს (45, 46)⁴⁴. სტრესოგენური ზემოქმედებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, დოფამინერგული პასუხიც, დოფამინი წარმოადგენს ნეირომედიატორს, რომელიც ჩართულია

39 **Кулагин В.К.** – Патологическая физиология травмы и шока – Л., Медицина. 1978. с.296. **Меерсон Ф.З.** – Адаптация, стресс и профилактика – Москва. Наука. 1981. с.278. **Папин Л.Е.** – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232.

40 **Селье Г.** – Стресс без дистресса – Москва. Прогресс. 1982. с.127.

41 **Schulz C., Lehnert H.** – Activation of noradrenergic neurons in the locus coeruleus by corticotropin – releasing factor, a microdialysis study. *Neuroendocrinology*, 1996, v.63, p.454-458.

42 **Папин Л.Е.** – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232. **Schulz C., Lehnert H.** – Activation of noradrenergic neurons in the locus coeruleus by corticotropin – releasing factor, a microdialysis study. *Neuroendocrinology*, 1996, v.63, p.454-458. **Розен В.Б.** Основы эндокринологии, Москва. Высшая школа, 1980. с.133.

43 **Григорян Г.А.** – Стресс и наркозависимость (исследования на животных) Журнал высш. нервн. деят. 2004 т. 54 №3. с. 304-319.

44 **Gardner C. R.** – Recent developments in 5-HT-related pharmacology of animal models of anxiety. *Pharmacol. Biochem. Behav.* 1986. v.24#5. p.1474. **Jakobs B. L. Azmitia E.C.** – Structural and function of the brain serotonin system. *Physiol. Rev.* 1992. v. 72. p. 165-229.

დადებითი ემოციების რეალიზაციაში (47)⁴⁵. დოფამინის დიდი რაოდენობით გამოთავისუფლება იწვევს დოფამინერგული რეცეპტორების გააქტივებას, რაც სიამოვნების შეგრძნებას ან შიშის რეაქციის დათრგუნვას განაპირობებს. დადებითი ემოციის რეგულაციის მექანიზმის დარღვევა დაკავშირებულია დოფამინის ნაკლებობასთან და დოფამინერგული რეცეპტორების აქტივობის დაქვეითებასთან. ტვინში დოფამინის შემცველობა შეიძლება ასახავდეს ორგანიზმის რეაქციას სტრესოგენურ ზემოქმედებაზე. თავის ტვინის ნეიროქიმიურ სისტემებს შორის არსებობს დინამიური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ჩართულია ნეირონული რეგულაციის საერთო სისტემაში. სწორედ, ზემოთ აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სტრესოგენურ სიტუაციაში ორგანიზმის ადაპტაციას და წარმოადგენს ორგანიზმის მდგრადობას, ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე აღნიშნული მექანიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც თვითრეგულაციური, რომელიც მიმართულია ორგანიზმის მდგრადობის ასამაღლებლად ავერსიული ზემოქმედების საპასუხოდ. მას გააჩნია გარკვეული სტრუქტურულ – ფუნქციონალური ორგანიზაცია, რომელიც ვლინდება სპეციფიკური ფსიქოსომატური რეაქციების სახით (35, 48, 49)⁴⁶. ლოკომოტორული თვითგალიზიანების მეთოდით ძაღლებში კარგად არის ნაჩვენები თავის ტვინის ის სისტემა, რომელიც პირველად რეაგირებს პათოგენურ ზემოქმედებაზე. აღნიშნულ სისტემას ქმნის ლიმბური ტვინის სტრუქტურები. ამ სტრუქტურებიდან პირველად რეაგირებს გამჭვირვალე ძგიდე (Septum), შემდეგ ჰიპოთალამუსის ლატერალური ნაწილი, ნუშისებრი სხეულის მედიალური ნაწილები და ბოლოს ჩაერთვება დორსალური ჰიპოკამპი. ეს სისტემა მაღალი მგრძობელობით გამოირჩევა, ის აქტივებს სომატურ, ჰორმონალურ, იმუნურ და სხვა ფუნქციურ სისტემებს, რომელთა აქტივაცია ზრდის ორგანიზმის მდგრადობას პათოგენური ზემოქმედებისადმი. მრავალრიცხოვანი კვლევებზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ თავის ტვინის ზემოთ აღნიშნული ფუნქციონალური სისტემა ერთვება ორგანიზმის დამცველობით, კომპენსატორული მექანიზმების რეგულაციაში და წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს ბიოლოგიურად დადებითი სტრესული რეაქციის აქტივაციასა და ფორმირებაში (50, 51,) ⁴⁷. „ინფორმაციული ტრიადის“ ფაქტორთა (52)⁴⁸ არახელ-

45 **Blum K. Braverman E.** – Holder J. Lubar J. et al. – Reward deficiency syndrome: a biogenetic model for the diagnosis and treatment of impulsive, addictive and compulsive behaviors. *Jour. Psychoactive Drugs*. 2000. v. 32. p.1-112.

46 **Хананашвили М. М. Реберг Г.** – Саморегуляция поведения в условиях возрастающих нагрузок на аналитико-синтетическую деятельность мозга у кошек. *Журн. В.Н.Д.* 1981. т. 31. №4. с. 123- 129.
Чикадзе А. – Особенности саморегуляции ВНД в условиях патологии поведения у кошек. Автореф. канд. диссерт. Тб. 1990. с.79. **Судаков К.В** – Эмоциональный стресс и психосоматическая патология. *Журн. бюлл. <<Экспер. Биол. и мед.>> РАМН.* М. 1998.

47 **Хананашвили М. М.** – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. *Вестник, Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина.* 1998. с.13-16. **ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ.** – ქცევითი და ემოციური მარეგულირებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XII. საბუნებისმეტყველო სერია.* 2014 წ. გვ. 100-106;

48 **Хананашвили М.М.** – Теоретические предпосылки возникновения и развития проблемы стресса. *Ред. "Журн. Бюлл. экп. биол. и мед."* РАМН, М.: 1988. с.

საყრელი შერწყმით განვითარებული ფსიქოგენური სტრესის პირობებში აღწერილი და შესწავლილია თავის ტვინის თვითმარეგულირებელი მექანიზმების მოქმედების სხვადასხვაგვარი ქცევითი გამოვლინებანი (53)⁴⁹. დადგენილია, რომ ცხოველები (ძაღვები, კატები, ვირთაგვები) გადასამუშავებელი ინფორმაციის დიდი მოცულობის და დროის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, თავის ტვინის ანალიზურ – სინთეზური მოქმედების გართულებისას, თვითონ არეგულირებენ საერთო საექსპერიმენტო დროს. მაგ. სინჯთაშორის ინტერვალის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში ცხოველები ზრდიან საკვებურთან მისვლის ან სასტარტო ადგილზე დაბრუნების დროს ან თვითონ იცილებენ დროის დეფიციტს. ასეთი ქცევა მნიშვნელოვნად ზრდიდა პათოლოგიური რეაქციების ფორმირების დროს, ხოლო რიგ შემთხვევაში კი სრულად აღკვეთდა უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის განვითარებას (54)⁵⁰. თუ დროის ფაქტორი მკაცრად არის განსაზღვრული ექსპერიმენტატორის მიერ, მაშინ ცხოველები რეაგირებენ არა ყველა პირობით გამლიზიანებელზე, არამედ მხოლოდ ნაწილზე. მართალია, ამ დროს მათ საკვების რაოდენობა უმცირდებათ, მაგრამ ამავე დროს მცირდება დატვირთვაც თავის ტვინზე (მცირდება ანალიზურ – სინთეზური მოქმედებაზე დატვირთვა). „ინფორმაციული ტრიადის“ ფაქტორთა არახელსაყრელი შერწყმის შედეგად ცხოველებში იზრდება სიგნალთშორის რეაქციების რიცხვი, ანუ ისინი ჩვეულებრივზე ხშირად გადაადგილდებიან სიგნალთშორის ინტერვალების დროს; ასეთი ქცევის შედეგად საგრძნობლად იზრდება იმ პერიოდის ხანგრძლივობა, რომელიც წინ უსწრებს პათოლოგიური რეაქციების ჩამოყალიბებას, ზოგჯერ კი პათოლოგიაც არ ვითარდება (12)⁵¹, ვლინდება დანმენდა დასუფთავების რეაქციები (55)⁵². პირობითი სიგნალების სტოქასტური მინოდების შემთხვევაში ცხოველები ცვლიან ქცევის სტრატეგიას, კერძოდ პირობითი გამლიზიანებელზე რეაგირებენ ერთის გამოტოვებით ან მოძრაობენ მხოლოდ ერთი საკვებურისკენ. რამდენადაც სტერეოტიპულ ქცევას არ ახასიათებს ისეთი ემოციური დაძაბულობა, როგორც სიგნალების შემთხვევითი ტესტირებისას ვითარდება, იგი განიხილება, როგორც ემოციური დაძაბულობის განმუხტვის საშუალება. ემოციური დაძაბულობის შესუსტებას აგრეთვე უნდა ემსახურებოდეს ისეთი ქმედება, როგორიცაა დიფუზური მოძრაობითი აქტიურობის გაძლიერება და სიგნალთშორის გადასვლების გახშირება (56)⁵³. ცხოველთა ასეთი ქცევა მნიშვნელოვნად ზრდის პათოლოგიის ფორმირების ლატენტიურ პერიოდს, ხოლო რიგ შემთხვევაში კი სრულიად აღკვეთს უმაღლესი

49 **Гогоберидзе М. М.** – Особенности поведения крыс в условиях возрастающей нагрузки на функцию краткосрочной памяти. Материалы 10-го симпозиума <<экспериментальные и клинические неврозы.>>. Берлин. 1988. с. 57.

50 **Хананашвили М. Чхубიანიშвили Л, Мещеряков В.** – Предневротические состояния и информационные неврозы при сложной интегративной деятельности мозга, изд. АН, ГССР, 1976, №1, с.1-8.

51 **ხანანაშვილი მ.** – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008.

52 **Гогоберидзе М.** – М. Особенности формирования краткосрочной памяти у крыс при разных интервалах времени между пробами. Журн. Высш. нерв. деят. 1989. т.39 №3. с. 393-498.

53 **ლოლობერიძე მ.** – ქცევის თვითრეგულაციის თავისებურებანი და ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები უმაღლესი ნერვული მოქმედების ინფორმაციული პათოლოგიის სხვადასხვა საფეხურზე თეთრ ვირთაგვებში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1994.

ნერვული მოქმედების პათოლოგიის განვითარებას (12)⁵⁴. აღწერილი ქცევა განიმარტება, როგორც ბიოლოგიურად დადებითი სტრესის გამოვლინება და ქცევითი რეაქციები ასახავს თავის ტვინის თვითრეგულაციურ მოქმედებას. ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების გაძლიერება უნდა იწყებოდეს დაავადების წინა სტადიაზე, როდესაც ეს მექანიზმები კარგად არის გამოხატული, მათ მიზანდასახულმა გაძლიერებამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ტვინის და საერთოდ სტრესოგენურ ფაქტორებისადმი ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებაში (34, 50)⁵⁵. ამრიგად, სტრესირების დროს გამოვლენილი სიმპტომები პათოლოგიის გაღრმავებას კი არ უწყობს ხელს, არამედ, პირიქით, ორგანიზმის დამცველობით მექანიზმებს წარმოადგენს. შესაბამისად, თავის ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაავადების პროფილაქტიკისთვის, არამედ ტვინის ფუნქციონირების ოპტიმიზაციისათვისაც. რაც ცხადყოფს, ფსიქოგენური სტრესის პირობებში თვითრეგულაციური ქცევის ცენტრალური მექანიზმების კვლევის აქტუალობას.

ფსიქოგენური ფაქტორების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა ლიმბური ტვინის სტრუქტურები; კერძოდ, ჰიპოკამპი, ნუშისებრი სხეული, პრეფრონტალური ქერქი, რომლებიც ინფორმაციას ლებულობენ სხვადასხვა სენსორული სისტემებიდან. ფსიქოგენური ფაქტორებით გამოწვეული ინტრალიმბური პროცესების მიმდინარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განხორციელებულ ქცევით რეაქციებზე. ლიმბურ სტრუქტურაში თავმოყრილი ინფორმაციის გადამუშავება იწვევს ქცევით რეაქციებს და მეტაბოლურ ცვლილებებს (57)⁵⁶. ჰიპოკამპი და ნუშისებრი სხეული ნორმაში შემაკავებელ გავლენას ახდენს ჰიპოთალამუსზე, სტრესოგენური ზემოქმედების შემდეგ აღნიშნული შემაკავებელი კავშირი ბლოკირდება, რაც იწვევს ჰიპოთალამუსის პარავენტრიკულარულ ბირთვში სპეციფიკური ნეირომედიატორის კორტიკოტროპინ – რილიზინგ-ჰორმონის (CRH) გამოთავისუფლებას (58,)⁵⁷. აღნიშნული ჰორმონი მოქმედებს ჰიპოთალამო – ჰიპოფიზურ სისტემაზე და არეგულირებს ჰიპოფიზიდან ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის (ACTH), ვაზოპრესინისა და ოქსიტოცინის სინთეზსა და სეკრეციას (23)⁵⁸.

ჰიპოთალამუსი თავისი უჩვეულო მონოპოლიობის წყალობით ნერვული სისტემიდან მომავალ სწრაფმოქმედ სიგნალებს გარდასახავს ენდოკრინული სისტემის ნელა მიმდინარე სპეციფიკურ რეაქციებად, ამიტომ კანონზომიერია ჰიპოთალამუსის განხილვა, როგორც ორგანიზმის სიცოცხლის უზრუნ-

54 **ხანანაშვილი მ.** – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ. 21-26

55 **Хананашвили М. М.** – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. Вестник, Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина. 1998. с.13-16. **Хананашвили М. М.** – В кн. Патофизиология. Москва. Изд-во Томского университета, 2001. с.683-704.

56 **Wiener H.** – Perturbing the organism. The biology of stressful experience. Chicago: University of Chicago Press, 1992.

57 **Nemeroff C.B.** – The corticotropin – releasing factor (CRF) hypothesis of depression: new findings and new directions. Mol. Psychiatry: 1996, v.1, 336-342.

58 **Bartanusz V, Jazova D, Bertizi L.T, Tiders F.J.H, Aubry J.M, Kiss J.Z.** – stress – induced increase in vasopressin and corticotropin – releasing factor expression in hypophysiotropic paraventricular neurons. Endocrinology. 1993, v.132, p.895-902.

ველმყოფი ყველა ჰომეოსტაზური პარამეტრის დისპეტჩერი (6, 59)⁵⁹. ჰიპოთალამუსში გამოიმუშავდება სპეციფიკური ყველა ნეირომედიატორი – რილიზინგ ფაქტორები, რომლებიც სისხლის მიმოქცევის პორტალური სისტემის გავლით ხვდება ჰიპოფიზში (60, 61)⁶⁰. ამგვარად, ჰიპოფიზის მეშვეობით ჰიპოთალამუსი წარმართავს, ასტიმულირებს და თრგუნავს მთელ რიგ ჰუმორულ-ჰორმონალურ რეაქციებს, რომლებიც დამახასიათებელია როგორც ნორმალური, ასევე სტრესული მდგომარეობისთვისაც (62)⁶¹.

სტრესულ სიტუაციაში ჰიპოთალამო – ჰიპოფიზ – თირკმელზედა ჯირკვლების სისტემის რეგულაცია ექვემდებარება ცენტრალურ ნერვულ სისტემას, რაც გამოიხატება ვეგეტატიური ნერვული სისტემის სიმპატიკური განყოფილების ტონუსის დაუყოვნებელ ზრდაში. ეს ცვლილება, თავის მხრივ, უშუალო რეფლექსურ გავლენას ახდენს ჰიპოთალამუსზე (59, 63)⁶². ჰიპოთალამუსის მიერ კორტიკოლიბერინების გამოყოფა წარმოადგენს პირველ ეტაპს სტრესულ სიტუაციაზე საპასუხო რეაქციების ჯაჭვში და ასახავს ნერვული და ჰუმორული რეგულაციის ინტეგრაციას სტრესის განვითარების დროს (24, 64, 65)⁶³.

მძიმე და ხანგრძლივი სტრესის პირობებში ACTH-ის ზეგავლენით, თირკმელზედა ჯირკვალში და პერიფერიულ სისხლში მატულობს კორტიკოსტეროიდების დონე, ამის პარალელურად ჯირკვლებიდან ხდება ასკორბინის მჟავის გამოყოფა და მისი დანაზოგის გამოფიტვა, აგრეთვე მცირდება თირკმელზედას ქოლესტერინის და მისი ეფირების რაოდენობა. სუდანოფილური ლიპიდების მარცვლები, რომელსაც ქერქის უჯრედები შეიცავენ ქრება. თირკმელზედას ქერქის უჯრედები განიცდიან ჰიპერპლაზიას და ჰიპერტროფიას, რაც ახდენს ქერქის ფენის სისქის და ჯირკვლის მასის ზრდას (31)⁶⁴.

ფიზიოლოგიურ პირობებში ACTH-ის სეკრეციის რეგულაცია ხორციელდება უარყოფითი უკუკავშირის (feed-back) მექანიზმებით, რაც დამოკიდებულია

59 Шок. Терминология и классификация шоковая клетка. Патофизиология и лечение, /Ю.Шутеу, Т.Бендильэ, А.Кафрица и друг. – Бухарест. 1981. с.515. Безверхая Т.П. – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. Киев. здоровья.1985. с.5-67.

60 Поленов А.Л. – Гипоталамическая нейросекреция. – Ленинград. Наука. 1971. с.159. Юдаев Н.А. Евтихина З.Ф. – Современные представления о гипоталамических релизинг – факторах// в кн.: Современные вопросы эндокринологии/ Под ред. Н.А. Юдаева. – Москва. Медицина. 1972. с.8-20.

61 Дильман В.М. – Большие биологические часы, Москва. Знание. 1986. с.256.

62 Безверхая Т.П. – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. Киев. здоровья.1985. с.5-67. Makara C.B, Kvetransky R, Jezora D. et.al. – Plasma catecholamines do not participate in pituitary – adrenal activation by immobilization stress in rats with transection of nerve fibers to the median eminence// Endocrinology. 1986, v.119, №4, p.1757-1762.

63 Bruhn T.O. Plotsky P.M, Vale W.W. – Effect of faraventricular lesions on Corticotropin – Releasing Factor (CRF) – like Immunoreactivity in the STalk – Median Eminence: Studies on the Aolrenocorticotropin Response to Ether Stress and Exogenous CRF//Endocrinology – 1984. y.114, №1, p.57-62. Hylka V.W. Sonntag W.E. Meites J. – Reduced ability of old male rats to release ACTH and corticosterone in response to CRF administration// Proceeding of the society for Experimental biology and medicine. 1984, v.175, p.1-4. Plotsky P.M., Vale W.K. Hemorrhage – induced secretion of corticotropin – relasing factor. Like immunoreactivity and its inhibition by glucocorticoids // Endocrinology. 1984, v.114, №1, p.164-169.

64 Горизонтов П.Д., Белоусова О.И., Федотова М.И. – Стресс и система крови, Москва. Медицина. 1983. с.20.

სისხლში თავისუფალი კორტიზოლის კონცენტრაციაზე („გრძელი“ feed-bask კორტიზოლის მაპროდუცირებელი თირკმელზედა ჯირკვლის ქერქი – კორტიკოტროპინ რილიზინგ ფაქტორის მაპროდუცირებელი ჰიპოთალამუსის ბირთვები – ჰიპოფიზი და „მოკლე“ feed-bask ჰიპოთალამუსი – ჰიპოფიზი) (59, 90)⁶⁵.

ACTH-ის მოქმედების ძირითადი ადგილი თირკმელზედა ჯირკვლებია. ნარმოადგენს რა კორტიკოსტეროიდების სეკრეციის მძლავრ სტიმულატორს, იგი არეგულირებს აგრეთვე თირკმელზედა ჯირკვლების უჯრედების ზრდასა და გამრავლებას, ხელს უწყობს მათი მორფოლოგიური სტრუქტურისა და ფუნქციონალური აქტივობის შენარჩუნებას (66, 67, 68)⁶⁶. სტრესოგენური ფაქტორების ზემოქმედებისას ACTH-ის მოქმედებით თირკმელზედა ჯირკვლის ქერქოვან შრიდან სისხლში გამოიყოფა გლუკოკორტიკოიდები: კორტიზოლი ან კორტიკოსტერონი.

კორტიზოლი – კორტიკოსტერონი, რომელიც გამომუშავდება თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის კონოვანი ზონის მიერ, ნარმოადგენს ყველაზე აქტიურ გლუკოკორტიკოიდს. პერიფერიულ სისხლში იგი ცირკულირებს ძირითადად α-გლობულინთან – ტრანსკორტინთან შეკავშირებული ფორმით. ორგანიზმზე კორტიზოლის ზემოქმედება ხასიათდება დიდი მრავალმხრივობით. იგი მონაწილეობს ცილოვანი და ნახშირწყლოვანი ცვლის რეგულაციაში. ზოგიერთ ქსოვილში (ლიმფოიდურში, კუნთოვანში, შემაერთებელში) მეტაბოლური ზემოქმედების შედეგად იგი თრგუნავს (აინჰიბირებს) ცილის სინთეზს, ამავე დროს კორტიზოლი ხელს უწყობს ცილის სინთეზს ღვიძლში (ანაბოლური ეფექტი), ფლობს ანთების სანინაალმდეგო და დესენსიბილიზაციის მოქმედებას, კერძოდ, თრგუნავს ანთებითი პროცესის ყველა ელემენტის კაპილარების განვლადობას, დიაპედეზს, ექსუდაციას, ანტისხეულების წარმოშობას, გრანულომატოზურ პროლიფერაციას და აქვეითებს აღდგენით პროცესებს; მისი გავლენით მცირდება პოხიერი უჯრედების რაოდენობა და ჰისტამინის განთავისუფლება. კორტიკოსტერონი ამცირებს უჯრედული მემბრანების განვლადობას, ხელს უწყობს გლუკოზისა და ამინომჟავების ასიმილაციის დამუხრუჭებას. იგი მონაწილეობს გლუკონეოგენეზში ანუ ამინომჟავებიდან გლუკოზის შექმნაში, ამავე დროს ღვიძლში ზრდის გლიკოგენის შემცველობას. კორტიზოლის ზემოქმედების საშუალებით მცირდება კუნთებში გლიკოგენის სინთეზი და ქსოვილებში გლუკოზის დაჟანგვა, რაც ჰიპერგლიკემიის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს. სისხლში გლუკოზის დონის ამაღლებას ლიპოლიზიც ხელს უწყობს, რაც აგრეთვე

65 **Безверхая Т.П.** – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. – Киев. здоровья. 1985. с.5-67. **Walker C.D. Sapolsky R.M, Meaney M.J. et al.** – Increased pituitary sensitivity to glucocorticoid feed back during the stress nonresponsiwe period in the neonatal tat//Endocrinology, v.119, №4, 1996. p.1816-1821.

66 **Морозова М.С. Макаровская Е.Е.** – АКГГ. Механизм его действия и выделения в норме и при болезни Иценко-Куминга// В кн.: Современные вопросы эндокринологии// Под ред. Н.А. Юдаева, – Москва. Медицина. 1975. вып. 5, с.29-44.

Bing R.F, Schulster D, – Steroidogenesis in isolated adrenal glomerulosa cells: Response and effect of potassiu, serotonin and (ser¹-Aia²) – angiotensin. II//J.Endocrinology, 1974, v.74, p.261-272. **Mc Cann S.M. Ajika K. Fawcett C.P. et al.,** – Hypothalamic control and inhibiting newrohormones//In:Hormone metabolism and stress. Recent progress and perspectives: proceding of an international symposium. Smolenice. September 17-20, 1972, /Ed.S. Nemea R. Bratislawa, 1973, p.67-77.

კორტიზოლის გავლენით ძლიერდება. კორტიზოლი ინვევს ცხიმის თავისებურ გადანაწილებას კანქვეშა უჯრედანაში, მისი მოქმედებით იზრდება საერთო ლიპიდების შემცველობა ღვიძლში და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების მობილიზაცია. ჰიპერგლიკემია ინვევს ინსულინის გაძლიერებულ სეკრეციას, ინსულინი თავის მხრივ აკავებს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების კორტიზოლით გამონვეულ მობილიზაციას. ინსულინის გავლენით ცხიმის წარმოშობა ძლიერდება და გადაფარავს ნახშირწყლებიდან კორტიზოლით გამონვეულ ცხიმების სინთეზის დაქვეითებას. კორტიზოლი მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სისხლის წარმოქმნაზე ძვლის ტვინის მიერ, ჰორმონი აფერხებს თირკმლის არხებში გლუკოზის რეაბსორბციას, რასაც თან ახლავს შარდში შაქრის აღმოჩენა (გლუკოზურია). კორტიზოლის გავლენით მცირდება კოლაგენის პროდუქცია, რაც აადვილებს მის გამოძევებას; ასტიმულირებს სხვადასხვა ფერმენტულ სისტემას, რაც ავლენს თავისუფალი მარილმჟავასა და მჟავიანობის მნიშვნელოვან მომატებას, კუჭის წვენში პეპსინის პროდუქციის ნაკლებობამ და კუჭის ლორწოს გათხელებამ კორტიზოლის სიჭარბისას შეიძლება გამოიწვიოს კუჭის პეპტიკური წყლულის განვითარება (10, 69, 70)⁶⁷. კორტიზოლის ხანგრძლივი სიჭარბე ინვევს ორგანიზმში ცილებით გაღარიბებას, კუნთების ატროფიას, შეშუპებების გაჩენას და ოსტეოპოროზის განვითარებას ძვლის ცილოვანი საფუძვლის კატაბოლიზმისა და შემდგომ მარილების გამორეცხვის შედეგად. ცილების დაშლა, თავის მხრივ ინვევს ეპიფიზური ხრტილების წარმოქმნის დარღვევას და ორგანიზმში ზრდის პროცესების შენელებას. ჰიპერკორტიზოლიზმის შემთხვევაში შესაძლებელია შარდთან ერთად ძვლოვანი ქსოვილის ცილის კატაბოლიზმის და ძვლების დეკალციაციის შედეგად კალციუმის გაძლიერებულმა გამოყოფამ ხელი შეუწყოს თირკმელებში კენჭის წარმოქმნას. აგრეთვე კორტიზოლის ხანგრძლივი სიჭარბე აქვეითებს კუნთებში ამინომჟავების ჩართვას და შემკუმშავი ელემენტები მიყავს დესტრუქციამდე, ნეკროზამდე, უჯრედოვან ინფილტრაციამდე, ფაგოციტოზისკენ და კუნთებში გლუკოზის დაგროვების შემცირებისკენ (10)⁶⁸.

კორტიზოლი მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემით სენსორული იმპულსების აღქმასა და ინტეგრაციაში, ჰორმონი მნიშვნელოვნად აქვეითებს ტვინის ელექტრული აგზნებადობის ზღურბლს, რაც ზრდის ეპილეფსიური გულყრებით განვითარების ტენდენციას – ამ დაავადებისადმი მიდრეკილ პირებში. კორტიკო-სტეროიდები უზრუნველყოფენ გულ-სისხლძარღვთა ფუნქციის შენარჩუნებასა და დაცვას გარემოს არახელსაყრელი პირობებისაგან; ჰორმონი აუმჯობესებს სისხლის ნორმალურ ცირკულაციას შოკის დროს, ზრდის სისხლში ცირკულირებადი ლიპიდების დონეს, აქვეითებს ქოლესტერინის დიფუზიას სისხლძარღვთა კედელში და მისი ხანგრძლივი სიჭარბე სისხლში

67 *Базарнова М.А.* – *Гормоны в норме и при патологии* // в кн.: *Руководство по клинической лабораторной диагностике. Часть 3, Клиническая биохимия/Под. ред.: М.А. Базарновой и В. Т. Морозовой, Киев, Здоровья, 1986. с.5-64. ბარანოვი ვ. გ., ლეიბსონი ლ. გ. სავჩენკო ო. ნ. და სხვ. – ენდოკრინული სისტემის ფიზიოლოგია. თბილისი, 1991, გვ. 323-333. Сергеев П.В. – *Стероидные гормоны, Москва. Медицина. 1984. с.240.**

68 *Базарнова М.А.* – *Гормоны в норме и при патологии* // в кн.: *Руководство по клинической лабораторной диагностике. Часть 3, Клиническая биохимия/Под. ред.: М.А. Базарновой и В. Т. Морозовой, Киев, Здоровья, 1986. с.5-64.*

აჩქარებს ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებას (10, 70)⁶⁹.

თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის მიერ კორტიზოლის სეკრეცია გამუდმებით არ მიმდინარეობს. ცირკადული რითმი ხასიათდება სისხლში კონცენტრაციის მაქსიმუმით – დილით (6-9 სთ) და მინიმუმით შუალამისას (71)⁷⁰. კორტიზოლის მერყეობის ეს რითმი მთლიანად დამოკიდებულია ACTH-ის მერყეობის რითმზე და კონტროლირდება უარყოფითი უკუკავშირის (feed-back) მექანიზმით, რომელიც არსებობს თირკმელზედა ჯირკვლის ქერქსა, ჰიპოთალამუსსა და ჰიპოფიზს შორის. ორგანიზმის ექსტრემალური მდგომარეობის დროს (სტრესი, შოკი) ხდება კორტიზოლის მნიშვნელოვანი განმუხტვა ადენოჰიპოფიზის კორტიკოტროპული ფუნქციის აქტივაციის შედეგად (72, 73, 74)⁷¹.

ხმაურის ზემოქმედებით და იმობილიზაციით გამოწვეული სტრესი ხასიათდება კორტიზოლემიის მაღალი დონით (75, 76, 77)⁷², მოცირკულირე სისხლის მოცულობის შემცირებისთვის დამახასიათებელი მდგომარეობა ასევე გამოირჩევა გლუკოკორტიკოიდების მაღალი დონით (78)⁷³.

მრავალრიცხოვანი დაკვირვებები და ექსპერიმენტები მოწმობს, რომ ქრონიკული იმობილიზაციური სტრესი იწვევს პიტუიტარულ – ადრენო – კორტიკალური და სიმპატო – ადრენალური სისტემების გააქტიურებას, ასევე, ორგანიზმში მეტაბოლურ ცვლილებებს, ერთის მხრივ, სისხლის პლაზმაში ეპინეფრინისა და ნორეპინეფრინის მომატებას (79, 80)⁷⁴, მეორეს მხრივ, გლუკოზის კონცენტრაციის ზრდას (25, 81, 82)⁷⁵ რაც ჰიპერგლიკემიის განვითარე-

69 **Базарнова М.А.** – *Гормоны в норме и при патологии // в кн.: Руководство по клинической лабораторной диагностике. Часть 3, Клиническая биохимия/Под. ред.: М.А. Базарновой и В. Т. Морозовой, Киев, Здоровья, 1986. с.5-64. Сергеев П.В.* – *Стероидные гормоны, Москва. Медицина. 1984. с.240.*

70 **Fulkerson W.J. Tang B.Y.** – *Ultradian and circadian Rhythmus in the plasma Concentration of cortisol in Sheep// J.Endocr. – 1979, v.81, p.135-141.*

71 **Медведева Н.А., Медведев О.С.** – *Глюкокортикоиды и гуморальная регуляция кровообращения. Гуморальные факторы в регуляции адаптационных реакции сердечно-сосудистой системы//Итоги науки и техники. Физиология человека и животных, Москва. Медицина. 1990. т.41, с.79-83. Даниелов М.М.* – *Гормональные и Гемодинамические сдвиги при постагрессивной реакции организма// Дисс. канд. мед. наук., Тбилиси. 1985. с.203. Sapolsky R.M. Krey L.C. Merwen B.S.* – *stress Down – regulates corticosterone receptors in a site – specific manner in the brain// Endocrinology, – 1984, v.114, №1, p.287-302.*

72 **ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ. ჩიხლაძე მ.** – *კორტიზოლის მაჩვენებლის ცვლილებები განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები X. საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა სერია. თბ. 2011.გვ. 58-66. Crassler J., Krentnansky R., Jarova D., Dobrakovova M., Hemorrhage – evoked hormonal responses and their changes in rat previously exposed to immobilization stress// stress: Neurohumoral and humoral mechanisms/ Ed. C.R. Van Loon, R. Krentnansky, R. McCarty, J.Axelrod – New-York, Cordon and breach Science Publishers, 1989, p.665-677. Vigas M.* – *Neuroendocrine responses to psychosocial and somatic stress in rat and humans// stress: Neurohumoral and humoral mechanisms/ Ed., G.R. Van Loon, R. Kvernansky, R.McCarty, J.Axelrod. – New-York, Cordon and breach science Publishers, 1989, p.15-28.*

73 **Lilly M.P., Endelang E.C., Cann D.S.** – *Responses of cortisol secretion to repeated Reamorrhage in the anaesthetized dog// Endocrinology. 1983, v.112, p.681-688.*

74 **Kubo T., Mumakura H., Endo S., Hagiwara Y., Fukumori R.** – *Angiotensin receptor blockade in the anterior hypothalamic areal inhibits stress – induced pressor responses in rats. Brain Res Bull. 2001, 56, 569-574. Saiki Y, Watanabe T., Tan N., Matsuzaki M., Nakamura S:* – *Role of central ANC // receptors in stress – induced cardiovascular and hyperthermic responses in rats. Am J. Physiol. 1997, 272, R26-R33.*

75 **ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ.** – *გლუკოზისა და ქოლესტერინის მაჩვენებლის განსაზღვრა*

ბას ინვევს (30)⁷⁶. გლუკოზა მარტივი ნახშირწყალია (C₆H₁₂O₆), მიეკუთვნება მონოსაქარიდების ჯგუფს. ყველა მონოსაქარიდი უფერო, წყალში კარგად ხსნადი, კრისტალური ტკბილი გემოს მქონე ნივთიერებაა. ნახშირწყლები საკვების უმთავრესი ენერგეტიკული კომპონენტია. ენერგეტიკული ცვლის გარდა ნახშირწყლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მეტაბოლიზმის ნებისმიერ სფეროში, აუცილებელია ორგანიზმის ცხოველმოქმედებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათ ნერვული სისტემისთვის, რომელიც სისხლში არსებული გლუკოზის 2/3-ს იყენებს. ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლის ძირითადი ეტაპებია: ჰიდროლიზი, შენოვა, გლიკოგენის სინთეზი, გლუკონეოგენეზი, ნახშირწყალ შემცველი ნივთიერებების სინთეზი (გლუკორონიდები, გლიკოზამინგლიკანები, გლიკოპროტეინები და სხვ.), მონაწილეობს ენერგეტიკულ ცვლაში ანაერობულ და აერობულ პროცესებში.

მეტაბოლიზმი შეიძლება დაირღვეს ნებისმიერ ამ ეტაპებიდან. ნახშირწყლების ცვლის დარღვევისა და ჰიპერგლიკემიის ძირითადი მიზეზია, მისი ნერვულ-ჰუმორული რეგულაციის მოშლა. ნერვული სისტემის გავლენას ნახშირწყლების ცვლაზე ადასტურებს ისიც, რომ ჰიპერგლიკემია თან სდევს ჰიპოთალამუსის რუხი ბირთვის, ზოლიანი სხეულის გალიზიანებას, ფსიქიკურ დაძაბულობას, ემოციებს („ემოციური ჰიპერგლიკემია“), რომლის დროსაც ტვინის ქერქის აგზნება ირადირდება ქერქქვეშა წარმონაქმნებისკენ. ცენტრალური წარმოშობის ნებისმიერი ჰიპერგლიკემიის შემთხვევაში იმპულსები სიმპატიკური ბოჭკოების საშუალებით გადაეცემა თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან ნივთიერებას, რაც ინვევს ადრენალინის გამოყოფას (41, 39)⁷⁷. ადრენალინი ასტიმულირებს გლიკოგენოლიზს ღვიძლში და გლუკოზის გადასვლას სისხლში მწვავე ნერვული სტრესის დროს; გლუკოზის დონე დამოკიდებულია სტრესორის ხარისხზე და ინტენსიურობაზე (83)⁷⁸. გლიკოგენოლიზს აძლიერებს აგრეთვე სიმპატიკური ბოჭკოებით ღვიძლამდე მისული იმპულსები (41)⁷⁹. ნახშირწყლების ცვლის ჰორმონული რეგულაციის დარღვევა ვითარდება არამარტო ენდოკრინული ჯირკვლების ცენტრალური რეგულაციის მოშლისას, არამედ თვით ჯირკვლების პათოლოგიის ან ჰორმონების მოქმედების პერიფერიული მექანიზმების ცვლილებების დროსაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ნახშირწყლების ცვლაში აქვს პანკრეასის ჰორმონებს ინსულინსა და გლუკაგონს. ინსულინი ხელს უწყობს ნახშირწყლების ფიქსაციას, წვას, ათვისებას

განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XIV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა სერია. თბილისი 2016. გვ. 143-154. ახალაძე ლ. – ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013. გვ. 63-71. Yagiz Üresin, Bahar Erbas, Mehmet Özek, – Lasartan may prevent the elevation of plasma clucose levels induced by chronic stress. Pol, J.Pharmacol... 2004, 56, 271-273.

76 Kemmer FW, Bisping R, Steingruber HJ, Baar H, Hardtmann F., Schlayhecke R., Berger M: – Psychological stress and metabolic control in patients with type I diabetes mellitus. N. Engl J.Med., 1986, 314, 1078-1084.

77 Папин Л.Е. – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232. Кулагин В.К. – Патологическая физиология травмы и шока – Л., Медицина. 1978. с.296.

78 Armario A. Marti J, Gil M. – The serum glucose response to acute stress is sensitive to the intensity of the stressor and to habituation. J.Psychoneuroendocrinology, 1990, 15(5-6):341-7.

79 Папин Л.Е. – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232.

და ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას. მისი მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია გლუკოზის ფოსფორილებაში მონაწილე ფერმენტების (ჰექსო და გლუკოკინაზების) და გლიკოლიზის პროცესში მონაწილე სხვა ნაერთების აქტივაციასთან. პარასიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურება ამუხრუჭებს ინსულინის სეკრეციას (41)⁸⁰. სწორედ, ამ ჰორმონის (ინსულინი) დეფიციტი იწვევს ჰიპერგლიკემიას, რაც დაკავშირებულია გლუკოზის მიმართ უჯრედთა განვლადობის შემცირებასთან, გლუკოზის ფოსფორირების ჰექსოკინაზური რეაქციის შენელებასთან, გლუკონეოგენეზის პროცესის გაძლიერებასთან. ინსულინის სეკრეციას სისხლში ასტიმულირებს გლუკოზა, ქოლინერგული ნერვები, ზოგიერთი ამინომჟავა, სულფონილ შარდოვანას პრეპარატები, ACTH-ი. ის ფაქტი, რომ ინსულინის სეკრეცია იწყება მიღებული საკვების ნაწილაკებში შენოვამდე, მიუთითებს ინსულინის სეკრეციაში ნერვულ – რეფლექსური მექანიზმის გარკვეულ როლზე (84)⁸¹. სიმპატიკური ნერვული სისტემის აქტიურობაზე გავლენას ახდენს რამოდენიმე ფაქტორი, როგორცაა ანგიოტენზინი (AII) – (რენინ-ანგიოტენზინის სისტემა). ორივე ცენტრალური (85)⁸² და პერიფერიული (86)⁸³ ანგიოტენზინი (II)-მა შესაძლებელია ხელი შეუწყოს სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურებას. ცენტრალურ A(II)-ის სისტემას აქვს აგზნებითი როლი (ფუნქცია) სიმპატიკურ რეაქციებში სტრესისადმი (80)⁸⁴, რადგან A(II)-ის სეკრეცია ძლიერდება (იზრდება) ცენტრალურ და პერიფერიულ ქსოვილებში სტრესის გამომჟღავნების შედეგად, ამიტომ კლასიფიცირდება A(II) როგორც მნიშვნელოვანი სტრეს-ჰორმონი (87)⁸⁵. ფიზიოლოგიური რეაქციები (პასუხები) სტრესის გამღიზიანებელზე (სტიმულატორზე), რომელიც მოიცავს სისხლის წნევის მომატებას, გულის რიტმის გახშირებას, სხეულის ტემპერატურის მატებას და ACTH-ის კონცენტრაციის ზრდას ურთიერთობაშია სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურებასთან. მაშასადამე, არსებობს კავშირი სიმპატიკური ნერვული სისტემის აქტიურობასა და რენინ – ანგიოტენზინი (RAS) სისტემას შორის.

სიმპატიკური ნერვული სისტემის მომატებული აქტიურობა დიდ როლს თამაშობს გლუკოზისა და ცხიმების ნივთიერებათა ცვლის დარღვევაში (88)⁸⁶. სისხლის პლაზმაში, სტრესირების ხანგრძლივობა იწვევს კატეხოლამინების, კორტიკოსტერონის და გლუკოზის მომატებას (25, 81, 89)⁸⁷. სტრესის მიერ წარ-

80 *Панун Л.Е.* – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232.

81 *Raikkonen K., Keltikangas – Jarvinen L., Adlercreutz H., Hautanen A:* – Psychological stress and the insulin resistance syndrome: *Metabolism*, 1996, 45, 1533-1538.

82 *Wright J.W., Hardling JW.* – Brain angiotensin receptor subtypes in the control of physiological and behavioral responses. *Neurosci Biobehav Rev*, 1994, 18, 21-53.

83 *Hilgers KF, Veelken R., Rupprecht G, Reeh PW, Luft FC, Feiger H, Mann JFE:* – Angiotensin II facilitates sympathetic transmission in rat hind limb circulation. *Hypertension*, 1993, 21, 322-328.

84 *Saiki Y, Watanabe T., Tan N., Matsuzaki M., Nakamura S:* – Role of central ANI // receptors in stress – induced cardiovascular and hyperthermic responses in rats. *Am J. Physiol.* 1997, 272, R26-R33.

85 *Yang G., Wan Y., Zhu Y:* – Angiotensin II an important stress hormone. *Biol Signals*, 1996, 5, 1-8.

86 *Nonogaki K. Iguchi A.* – Stress acute hyperglycemia and hyperlipidemia: role of the autonomic nervous system and cytokines. *Trends Endocrinol Metab*, 1997, 8, 192-197.

87 *ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ.* – გლუკოზისა და ქოლესტერინის მაჩვენებლის განსაზღვრა განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XIV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებება სერია. თბილისი 2016. გვ. 143-154. *ახალაძე ლ.*

მოქმნილმა ცვლილებებმა გლუკოზასა და ცხიმების მეტაბოლიზმში კორტიზოლის ზეგავლენით შეიძლება ხელი შეუწყოს დაავადებების წარმოშობას (ეტიოლოგიას) – შაქრიანი დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა ავადმყოფობების განვითარებას (29)⁸⁸. რენინ-ანგიოტენზინ სისტემის (RAS) ქრონიკულმა ბლოკადამ შესაძლებელია შეამციროს სიმპატიკური ნერვული სისტემის რეაქცია სტრესისადმი და აიცილოს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და II შაქრიანი დიაბეტის განვითარება (82)⁸⁹.

მიუხედავად იმისა, რომ ციტირებულ ლიტერატურულ წყაროებში არსებობს მონაცემები სტრესის გავლენის შესახებ ქცევით და ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე, ფსიქოგენური სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე გამოვლენილი ქცევითი მაჩვენებლების ცვლილებები კომპლექსურად არ არის შესწავლილი ორგანიზმში მეტაბოლურ პროცესების მიმდინარეობასთან, რაც ხელს შეუწყობს წინაპათოლოგიური მდგომარეობის ხასიათის გამოვლინებას (ბიოლოგიურად დადებითი თუ უარყოფითი) სტრესის შედეგად და მოგვცემდა საშუალებას სტრესით გამოწვეული დაავადებებისადმი დროულ პროფილაქტიკას.

– ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013. გვ. 63-71. **De Boer SF, Koopmans S., Slangen J., Van der Gugten J.** – Plasma catecholamine, Corticosterone and glucose responses to repeated stress in rats: effect of interstressor interval length. *J. Physiol behav*, 1990 Jun; 47(6):/17-24.

88 **Van Der Does FE, De Neeling JN, Snoek FJ, Kostense PJ, Grootenhuis PA, Bouter LM, Heine RJ:** Symptoms and Well – being in relation to glycemic control in type II diabetes, *Diabetes Care*, 1996, 19, 204-210.

89 **Yagiz Üresin, Bahar Erbas, Mehmet Özek,** Lasartan may prevent the elevation of plasma glucose levels induced by chronic stress. *Pol, J.Pharmacol...* 2004, 56, 271-273.

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები

ცდები ჩატარებულია 180-200 გრ. წონის მამრობითი სქესის 90 თეთრ ლაბორატორიულ ვირთაგვაზე. ექსპერიმენტში კვლევის ორ საფეხურზე გამოყოფილი იყო ცხოველების სამი ჯგუფი:

- 1) **საცდელი** (საექსპერიმენტო) **ცხოველები** – (64 ვირთაგვა)
- 2) **საკონტროლო ცხოველები** – (20 ვირთაგვა)
- 3) **ინტაქტური ცხოველები** – (8 ვირთაგვა)

კვლევის პირველ საფეხურზე ფსიქოგენური სტრესის მოდელირებისთვის გამოიყენებოდა აქტიური განრიდების რეაქციის მოდიფიცირებული მეთოდი. ცხოველების ემოციური მდგომარეობა შეისწავლებოდა ვირთაგვების სტრესირებამდე და სტრესირების შემდეგ „ღია ველისა“ და „პროკონფლიქტური“ ტესტით.

კვლევის მეორე საფეხურზე სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე (სტრესირების შემდეგ) ცხოველებს ნარკოზის პირობებში ჩაუტარდა დეკაპიტაცია, ბიოქიმიური პარამეტრების (კორტიზოლი, გლუკოზა, ქოლესტერინი) კონცენტრაციის განსასაზღვრად. ინტაქტური და სტრესირებული ვირთაგვების პერიტონეუმში შეგვყავდა ანესთეზიისთვის ქლორჰიდრატის 4% ხსნარი (0,4 გრ. ქლორჰიდრატს ვხსნიდით 25 მლ. დისტილირებულ წყალში). აღნიშნული ნივთიერების 1 მლ-ი შეგვყავდა 100 გრამიან ცხოველში, 180 – 200 გრამიან ცხოველში კი 2 მლ-ი. ოპერაციის დროს ცხოველს რეაქცია არ ჰქონდა, რაც ისინჯებოდა კუდზე ხელის მოჭერით, შემდეგ მაკრატლით კისრის ნაწილში ერთიანად გადაიჭრებოდა სისხლძარღვები და სისხლს 5 გრამიანი შპრიცით ვიღებდით.

II.1. ფსიქოგენური სტრესის მოდელირება აქტიური განრიდების რეაქციის მოდიფიცირებული მეთოდით

ფსიქოგენური სტრესის მოდელირება აქტიური განრიდების რეაქციის მოდიფიცირებული მეთოდით ტარდებოდა სპეციალურ კაბინაში (სურ.1) – „Stress box“-ში (90)⁹⁰. კაბინა შედგებოდა 10 სმ სიმაღლის ტიხრით გაყოფილი სამი თანაბარი ზომის (20X20X35სმ) – ერთი ცენტრალური (სურ.1ა) და ორი გვერდითი განყოფილებისაგან (სურ.1.ბ,გ). გალიის მარჯვენა და მარცხენა გვერდით კედლებზე დამაგრებული იყო ბგერითი სიგნალის წყაროები (მარჯვნივ – მეტრონომი – 2 ჰც, მარცხნივ ტონი – 500 ჰც). „Stress box“-ის სამივე განყოფილების იატაკი და ბარიერები ელექტროფიცირებული იყო (40V, ცვლადი დენი), რაც იძლეოდა ვირთაგვის თათების ელექტრომტკივნეული გაღიზიანების საშუალებას.

ერთ-ერთ ბგერით სიგნალზე (მეტრონომი-2ჰც) აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება ხდებოდა შემდეგნაირად: გალიის მარცხენა გვერდით განყოფილება იკეტებოდა, ცხოველს ვათავსებდით ცენტრალურ (სასტარტო)

90 *Хананашвили М. М., Доминидзе Т. Г. – Способ моделирования невроза. Авторское свидетельство, №1506474, 1989. СССР.*

განყოფილებაში. 60 წამის შემდეგ ვაძლევდით ბგერით სიგნალს (მეტრონომი – 2ჰც), რომლის იზოლირებული მოქმედების დრო შეადგენდა 5 წმ-ს, ამ დროის განმავლობაში ვირთაგვა უნდა გადასულიყო გვერდით სიგნალიზირებულ განყოფილებაში. იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი არ განახორციელებდა აღნიშნულ ქცევას, ბგერითი სიგნალის იზოლირებული მოქმედების დროის (5წმ) გავლის შემდეგ იგი ლეზულობდა თათებზე ელექტრულ დარტყმას. გვერდით განყოფილებაში გადასვლიდან 10 წმ-ის განმავლობაში ვირთაგვა უნდა დაბრუნებულიყო სასტარტო განყოფილებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კვლავ ლეზულობდა თათებზე მტკივნეულ გაღიზიანებას.


აქტიური განრიდების რეაქცია ითვლებოდა გამომუშავებულად, როცა მეტრონომზე სწორი რეაქციების რაოდენობა ზედიზედ ხუთი საექსპერიმენტო დღის განმავლობაში 80%-იან კრიტერიუმს აღწევდა. აქტიური განრიდების რეაქცია მე-2 პირობითი სიგნალის (ტონი – 500 ჰც) საპასუხოდ უნდა განეხორციელებინა, ანუ ის ბგერითი სიგნალის 5 წმ-იანი იზოლირებული მოქმედების პერიოდში უნდა გადასულიყო „Stress box“-ის მარცხენა განყოფილებაში (ამ დროს გალიის მარჯვენა განყოფილება დაკეტილი იყო) და 10 წმ-ის განმავლობაში დაბრუნებულიყო სასტარტო ნაწილში. აღნიშნული სახის აქტიური განრიდების რეაქციის შესრულების შემთხვევაში ვირთაგვა ისჯებოდა და თათებზე ლეზულობდა ელექტრო-მტკივნეულ გაღიზიანებას, რომლის მოქმედებაც გრძელდებოდა, ვიდრე ცხოველი არ განახორციელებდა აქტიურ თავდაცვით რეაქციას. როგორც ტონზე, ისე მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისას პირობითი სიგნალი ცხოველს ეძლეოდა მხოლოდ მაშინ, როცა ის იმყოფებოდა სასტარტო განყოფილებაში. ერთი ცდა მოიცავდა 20 სინჯს, ერთ წუთიანი სიგნალთშორის ინტერვალებით.

ორი აქტიური განრიდების რეაქციის ცალცალკე გამომუშავება – განმტკიცების შემდეგ ვინყებდით ტონზე და მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციების ტესტირებას ერთი ცდის განმავლობაში. ცხოველს კვლავ ვათავსებდით „Stress box“-ის ცენტრალურ განყოფილებაში. ამ დროს საექსპერიმენტო გალიაში ტიხრები მოხსნილი იყო და ვირთაგვას თავისუფლად შეეძლო გადასულიყო გალიის, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა განყოფილებაში. ექსპერიმენტის ამ ეტაპზე ვირთაგვას უნდა განეხორციელებინა შემდეგი ქცევა: მეტრონომის სიგნალიზირებისას ცხოველი უნდა გადასულიყო „Stress box“-ის მარჯვენა განყოფილებაში და 10 წმ-ის განმავლობაში დაბრუნებულიყო სასტარტო ადგილზე, ხოლო ტონზე – მარცხენა განყოფილებაში და 10 წმ-ში დაბრუნებულიყო უკან. პირობით სიგნალებზე არასწორი რეაქციების შემთხვევაში ცხოველი ლეზულობდა თათებზე ელექტრო-მტკივნეულ გაღიზიანებას. პირობითი სიგნალების (მეტრონომი, ტონი) მონაცვლეობა ხდებოდა გელერმანის სტოქასტური პროგრამის შესაბამისად (91)⁹¹, ანუ პირობითი სიგნალების შემთხვევით-თანაბარალბათური (50/50) გამოყენებით. ყოველი მომდევნო პირობითი სიგნალი ერთწუთიანი ინტერვალით ცხოველს ეძლეოდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი იმყოფებოდა ცენტრალურ განყოფილებაში.

ცდის მიმდინარეობისას ტარდებოდა საკონტროლო ექსპერიმენტიც,

91 *Gellerman S.W. Change orders of alternating stimuli in visual discrimination experiments. J.Cenet. Psychol, 1933. V.42, P.207-208.*

ვირთაგვები მოთავსებული იყვნენ საექსპერიმენტო გალიის გვერდით, ელექტროფიცირებული იატაკის მქონე (40V, ცვლადი დენი) იზოლირებულ მეოთხე განყოფილებაში, ჯამში ცხოველები იღებდნენ იგივე რაოდენობით მტკიცეულ გალიზიანებას, როგორც საცდელი ვირთაგვები. იმ განსხვავებით, რომ მათ არ ჰქონდათ მტკიცეული გალიზიანებისგან თავის არიდების საშუალება. ექსპერიმენტის მსვლელობისას აღირიცხებოდა შემდეგი ქცევითი მაჩვენებლები: „გრუმინგის“, ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომების ხანგრძლივობა, სიგნალთმორის გადასვლების, თავის აწევათა და ფეკალური ბოლუსების რაოდენობა.




სურ.1. „Stress box “- ის გალია (აღწერა ტექსტში)

II.2. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასება

II.2.1. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასება „ლია ველის“ ტესტით

„ლია ველი“ ნარმოადგენს 80 სმ დიამეტრის ფართობს (სურ.2.), რომელიც შემოსაზღვრული იყო 30 სმ სიმაღლის გაუმჭვირვალე კედლით. „ლია ველის“ იატაკი დაყოფილი იყო 16 ნაწილად: 4 ცენტრალური და 12 პერიფერიული. ცენტრალური კვადრატების კუთხეებში განლაგებული იყო 3 სმ დიამეტრის 9 სორო. „ლია ველი“ ნათდებოდა 80 ვატიანი სიმძლავრის ნათურით, რომელიც მოთავსებული იყო „ლია ველის“ ცენტრიდან 150 სმ სიმაღლეზე (92)⁹².

„ლია ველში“ ტესტირების დაწყებამდე ვირთავვას 5 წთ-ის განმავლობაში ვაყოვნებდით ინდივიდუალურ ბნელ ყუთში. შემდეგ იგი გადაგყავდა „ლია ველის“ ცენტრალურ კვადრატზე და მომდევნო 5 წუთის განმავლობაში აღირიცხებოდა: მოძრაობითი აქტიურობის ლატენტურ პერიოდი (დრო, რომელიც გადის ცხოველის „ლია ველში“ მოთავსების მომენტიდან მოძრაობითი რეაქციების დაწყებამდე), გადაკვეთილი კვადრატების, ცენტრში შესვლის, ვერტიკალური დგომების, გამოკვლეული სოროების, თავის აწევითა და ფეკალური ბოლუსების რაოდენობა და „გრუმინგის“ ხანგრძლივობაც.



სურ.2. „ლია ველის“ სქემა

92 Hall C.S. – Emotional behavior in the rat. I. Defecation and urination as measures of individual differences in emotionality. J. Comp. Psychol. 1934. V. №2, P.385-403.


II.2.2. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასება „პროკონფლიქტური“ ტესტით

შფოთვისა და შიშის რეაქციების დონის შესაფასებლად გამოყენებული იყო ფოგელის მიერ დამუშავებული მეთოდის კორდასა და ბიგგის მოდიფიკაციით (93)⁹³. აღნიშნულ მეთოდის პოზიტიური და ავერსიული სტიმული ერთიანდება უარყოფით ან ნეგატიურ სტიმულთან. პოზიტიური და ნეგატიური სტიმულების ძალაზე დამოკიდებულებით ცხოველი ავლენს სხვადასხვა ხარისხის რეაქციას. ძლიერი ნეგატიური სტიმულის ზემოქმედებისას ცხოველი გადის „კონფლიქტური“ სიტუაციაში უარყოფითი ემოციური დაძაბულობის განვითარების ფონზე, რაც ვლინდება შფოთვისა და შიშის რეაქციებით. ნეგატიური სტიმულის ძალის შემცირებისას ცხოველი „კონფლიქტური“ სიტუაციიდან გადადის „პროკონფლიქტური“ სიტუაციაში, რომლის დროსაც პოზიტიური სტიმული ვირთაგვისათვის არ კარგავს თავის მნიშვნელობას ანუ ამ პირობებში ცხოველის ქცევა ნეგატიური სტიმულის ზემოქმედებისას თითქმის არ იცვლება.

48 საათიანი წყლის დეპრივაციის შემდეგ ვირთაგვას, რომელსაც წინასწარ ვაჩვენებდით საექსპერიმენტო გარემოს, ვათავსებდით გალიაში (სურ.3), სადაც მას ჰქონდა საშუალება მიეღო წყალი მინის მილიდან (სურ.3.ა), რომელშიც გადიოდა ელექტროდი (სურ.3.ბ.). „პროკონფლიქტურ სიტუაციაში“ ცხოველის ტესტირება გრძელდებოდა 5 წთ-ის განმავლობაში. ავერსიული სტიმულის არარსებობისას ცხოველი მთელი ექსპერიმენტის (5 წთ) განმავლობაში ლოკავდა მილს და იღებდა დაახლოებით 50-60 ყლუპს, თითოეული ამ ყლუპის ხანგრძლივობა შეადგენდა 3 წმ-ს.

„პროკონფლიქტური“ სიტუაციის შესაქმნელად, ვირთაგვას წყლის მიღების დროს ყოველ მე-3 წმ-ზე წყლიანი მილიდან ვაძლევდით მტკივნეულ ელექტრულ გალიზიანებას (0,3 mA). ცდის განმავლობაში (5წთ) რეგისტრირდებოდა: მილთან მისვლის ლატენტური პერიოდი, დენთან შეუღლებული წყლის სმის აქტების რაოდენობა, მცდელობათა რაოდენობა (მილთან მისვლის რიცხვი წყლის მიღების გარეშე) და „გრუმინგის“ ხანგრძლივობა. დენთან შეუღლებული წყლის სმის აქტების რაოდენობა განსაზღვრავს წყურვილის მოტივაციას და ავერსიულ გამღიზიანებელს შორის კონფლიქტის ხარისხს. ვარაუდობენ, რომ კონფლიქტის სიღრმე მიუთითებს ცხოველში შიშისა და შფოთვის დონეზე.

93 Korda M.J., Biggio G. Stress and gabeargic transmission biochemical and behavior studies. *Advances in biochemical psychopharmacology*. 1986, V.41, P.121.



სურ.3. „პროკონფლიქტური“ ტესტის კაბინა

II.3. ბიოქიმიური პარამეტრების განსაზღვრა

II.3.1. კორტიზოლის განსაზღვრა ELISA (Enzyme Linked Immunosorbent Assay) მეთოდით ფირმა Humani-ის ნაკრებით

გამოყენებულია მყარფაზოვანი, პლანშეტური, იმუნოფერმენტული მეთოდი, რომლის პრინციპი დამყარებულია ანტიგენსა და პირველად და მეორად ანტისხეულებს შორის ფენოვანი („სენდვიჩის“ მსგავსი) კომპლექსის წარმოქმნაზე.


ანტიკორტიზოლური ანტისხეულები მიიღება თავგების კორტიზოლით იმუნიზაციის შედეგად. ანალიზისთვის გამოიყენება პლანშეტები, რომელთა ღრმულები დამზადებულია სპეციალური მასალისაგან, რომელზეც ანტისხეულები ეფექტურად ადსორბირდება. თავდაპირველად ღრმულებში შეჰყავთ პირველადი ანტიკორტიზოლური ანტისხეულები, შემდეგ ანტიგენის შემცველი გამოსაკვლევი მასალა და ბოლოს მეორადი ანტისხეულები.

პირველადი ანტისხეულები ფიქსირდება ღრმულების კედლებზე, მათ უერთდება ანტიგენი (ობიექტის კორტიზოლი) და ამ უკანასკნელის სხვა რეცეპტორებზე მაგრდება მეორადი ანტისხეულები, რომელიც ზედაპირულად შეიცავს ფ.პეროქსიდაზას (ფ.პ.ო). ამ ენზიმის აქტივობა კორტიზოლის რაოდენობის პირდაპირპროპორციულია. სპეციალური ბუფერით პლანშეტის გარეცხვის შემდეგ და 3,3 – 5,5 – ტეტრამეთილ ბენზიდინის და წყალბადის ზეჟანგის ნარევის ღრმულებში დამატებისას მიიღება ფერადი ხსნარი. მისი ინტენსიობა შეესაბამება კორტიზოლის შემცველობას, რომელიც ისაზღვრება ფოტომეტრზე (EL-X-800, $\Delta=450\text{nm}$) (94)⁹⁴, ნორმაში კორტიზოლის შემცველობა მოზრდილი ვირთაგვების შრატში (პლაზმაში) უდრის 5,2 – 6,2 მმოლ/ლ.

94 Oelkers W. et al., In: Rationell Diagnostik in der Endokrinologie (Ziegler R, et al. eds) Stuttgart: Thieme, 137 .1993.

II.3.3. გლუკოზის განსაზღვრა ენზიმური (გლუკოოქსიდაზური) PAP – მეთოდით ფირმა Humani-ის ნაკრებით

მეთოდის პრინციპი დამყარებულია ჰაერის ჟანგბადით ფერმენტ გლუკოოქსიდაზას (გ.ო) მონაწილეობით გლუკოზას დაჟანგვაზე, რის შედეგად წარმოიქმნება წყალბადის ზეჟანგი (H₂O₂). უკანასკნელის დაშლის დროს ფერმენტ პეროქსიდაზას ზემოქმედებით სწარმოებს ფენოლის და p-ამინოანტიპირინის კონდენსაცია შეფერილ (ქრომოგენულ) ნაერთად. ხსნარის ფერის ინტენსიობა ასახავს გლუკოზას რაოდენობას, რომელიც იზომება ბიოქიმიურ ანალზატორზე (Humalyzer junior, გერმანია):



პარალელურად სწარმოებს სტანდარტის (5,55 მმოლ/ლ) განსზღვრა და შემდეგ გლუკოზას რაოდენობის გამოთვლა:

$$\begin{array}{l}
 \text{ობიექტის ოპტ. ექსტინცია} \\
 \text{----- X 5, 55 (მმოლ/ლ)} \\
 \text{სტანდარტის ოპტ. ექსტინცია}
 \end{array}$$

ნორმაში გლუკოზას შემცველობა მოზრდილების შრატში/ პლაზმაში უდრის 4,2 – 6,2 მმოლ/ლ (96)⁹⁶.

ექსპერიმენტული შედეგების სტატისტიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამული პაკეტის Microsobt Excel-ის გამოყენებით. გამოვთვალეთ მაჩვენებლების საშუალო (M) მნიშვნელობა, საშუალო კვ. SD გადახრა და სარწმუნოების ალბათობა (P).

⁹⁶ *Tiets NW (Hrsg). Clinical Guide to Laboratory Tests, Auflage. Philadelphia, PA; WB Saunders Company; 1995:266-273.*

თავი III.

ფსიქოგენური სტრესის მოდელირებისას საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ბიოქიმიური სტატუსის შეფასება, ქცევითი და ემოციური მახასიათებლების განსზღვრა

თავი III.1. ქცევითი და ემოციური მაჩვენებლების ცვლილებები განსხვავებული ტიპის აქტიური განრიდების რეაქციებით გამოწვეულ ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე

თავი III.1.1. ატიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირების დინამიკა საცდელ ვირთაგვებში.

ორ სხვადასხვა ბგერით გამლიზიანებელზე (მეტრონომი – 2ჰც; ტონი – 500 ჰც) ცალ-ცალკე აქტიური განრიდების რეაქციის ფორმირების პროცესში საცდელი ვირთაგვების ქცევის, დასწავლისა და მეხსიერების შესწავლის მიზნით ექსპერიმენტის მსვლელობისას აღვრიცხავდით: ბგერით სიგნალზე ცხოველების მიერ შესრულებული სწორი რეაქციების რაოდენობას (როცა ბგერითი სიგნალის იზოლირებული მოქმედების პერიოდში ელექტრო-მტკიცენული გალიზიანების გარეშე ვირთაგვა გადავიდოდა გვერდით განყოფილებაში), პირობით სიგნალს შორის ინტერვალში ვირთაგვების მიერ გამოვლენილი ქცევითი აქტების რაოდენობას და ხანგრძლივობას, ვადგენდით ქცევით აქტებს შორის თანაფარდობის ხასიათს.

ექსპერიმენტის მსვლელობისას ცხოველებმა გამოავლინეს შემდეგი ქცევა: სიგნალთშორის გადასვლები, „გრუმინგი“, ვერტიკალური (ვირთაგვა ფეხზე დგას და თათები ჰაერში აქვს განვდილი) და ჰორიზონტალური (ვირთაგვა ზის და წინა თათი წინ ჰაერში აქვს განვდილი) დგომები, ფეკალური ბოლუსებისა და თავის აწევის რაოდენობა.


საცდელ ვირთაგვებში 80%-იანი კრიტერიუმის მისაღწევად პირველ ბგერით გამლიზიანებელზე (მეტრონომი-2ჰც) აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებასა და განმტკიცებას დასჭირდა 120-160 შეულლება. მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებასა და განმტკიცების შემდეგ, იწყებოდა აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება მეორე ბგერით გამლიზიანებელზე – ტონზე, ამ შემთხვევაში ცხოველებს თავდაცვითი რეაქცია უფრო სწრაფად გამოუმუშავდათ. კერძოდ, აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირებისას მეორე ბგერით გამლიზიანებელზე (ტონი-500ჰც) ცხოველებს დასწავლის კრიტერიუმის მისაღწევად 60-80 შეულლება დასჭირდათ (სურ.4).

ორი აქტიური განრიდების რეაქციის ცალცალკე გამომუშავება – განმტკიცების შემდეგ ვინყებდით მეტრონომზე და ტონზე აქტიური განრიდების რეაქციების ტესტირებას ერთი ცდის განმავლობაში. პირობითი სიგნალების მონაცვლეობა ხდებოდა გელერმანის შემთხვევით თანააღბათური (50/50) სქემის მიხედვით (იხ. მეთოდის). ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური

განრიდების რეაქციის ტესტირებისას პირობით გამლიზიანებელზე რეაქციების პროცენტული მაჩვენებელი 14 დღის (280 შეუღლება) განმავლობაში 30-45% არ აღემატებოდა.

ამრიგად, ცალ-ცალკე ბგერით სიგნალზე აქტიური თავდაცვითი რეაქციის შემონმებისას ნაჩვენები იქნა, რომ ცხოველებს მეორე ბგერით სიგნალზე (ტონი – 500ჰც) თავდაცვითი რეაქცია უფრო სწრაფად გამოუმუშავდათ (2-3 დღე), ხოლო 80%-იანი დასწავლის კრიტერიუმის მისაღებად პირველ ბგერით გამლიზიანებელზე (მეტრონომი – 2ჰც) შედარებით მეტი დრო (6-7 დღე) დასჭირდათ აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებას (სურ.4).

აქტიური განრიდების რეაქციის გამოუმუშავების დინამიკა საცდელ ვირთაგვებში



სურ.4. აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავების დინამიკა საცდელ ვირთაგვებში.

ჰორიზონტალურ ლერძზე – ექსპერიმენტის დღეები.

ვერტიკალურ ლერძზე – სწორი რეაქციების პროცენტული მაჩვენებელი.

III.1.2. საცდელი და საკონტროლო ცხოველების ქცევითი მაჩვენებლების ცვლილებები აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების პერიოდში

ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში ვსწავლობდით ვირთაგვების ქცევას ორ სხვადასხვა ბგერით გამლიზიანებელზე (მეტრონომი – 2 ჰც, ტონი – 500ჰც) – აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებასა და განმტკიცების პერიოდში (საცდელი ვირთაგვები). ცდის მიმდინარეობისას ტარდებოდა საკონტროლო ექსპერიმენტიც, ვირთაგვები მოთავსებული იყვნენ საექსპერიმენტო გალიის გვერდით, ელექტროფიცირებული იატაკის მქონე (40 V, ცვლადი დენი) იზოლირებულ მეოთხე განყოფილებაში, რომლებიც იღებდნენ იგივე რაოდენობით მტკივნეულ გალიზიანებას, რასაც საცდელი ცხოველები ჯამში, იმ განსხვავებით, რომ მათ არ ჰქონდათ მტკივნეული გალიზიანებისგან თავის არიდების საშუალება (საკონტროლო ვირთაგვები).

აქტიური განრიდების რეაქციის ფორმირების დროს პირობით სიგნალებს შორის ინტერვალში ვირთაგვებმა გამოავლინეს შემდეგი ქცევა: ვერტიკალური (როცა ვირთაგვა ფეხზე დგას და თათები ჰაერში აქვს განვდილი) და ჰორიზონტალური (როცა ვირთაგვა ზის და წინა თათი წინ ჰაერში აქვს განვდილი) დგომები, სიგნალთშორის გადასვლები, „გრუმინგი“ და თავის აწევა.

პირველ ბგერით გამლიზიანებელზე – (მეტრონომი – 2ჰც) აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების პერიოდში ორივე ჯგუფის ცხოველებში აღინიშნებოდა ჩვენს მიერ რეგისტრირებული ქცევითი მაჩვენებლების რაოდენობრივი ცვლილებები, სადაც ორივე ჯგუფის ცხოველები თანაბარი რაოდენობით ელექტრო გამლიზიანებლს ლეზულობდა (დენით დასჯა 16-ჯერ დარტყმით). ქცევითი ფორმებიდან საცდელ ვირთაგვებში „გრუმინგის“ ხანგრძლივობის პროცენტული მაჩვენებელი $0,6\%(\pm 0,5)$ -ით გაცილებით დაბალი იყო ვერტიკალური $4,7\%(\pm 2,3)$ და ჰორიზონტალური $2,6\%(\pm 1,1)$ დგომების ხანგრძლივობის პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო ვერტიკალური დგომების ხანგრძლივობა აჭარბებდა ჰორიზონტალური დგომების ხანგრძლივობას (სურ.5.ა. ცხრილი.1). სიგნალთშორის გადასვლების, თავის აწევათა და ფეკალური ბოლუსების რაოდენობა შესაბამისად $3,4(\pm 1,2)$; $22,2(\pm 7,8)$ და $5,6(\pm 1,7)$ იყო (სურ.5.ბ. ცხრილი.1). ექსპერიმენტში საკონტროლო ჯგუფის ცხოველებმა, საცდელი ცხოველებისგან განსხვავებით გამოავლინეს არსებითად განსხვავებული ქცევა: პირველ ბგერით გამლიზიანებელზე მეტრონომზე, თითოეულ ქცევით აქტებს შორის თანაფარდობა ასეთი იყო: ვერტიკალური დგომების $15,7(\pm 7,8)$ ხანგრძლივობის პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ აღემატებოდა ჰორიზონტალური დგომების $9,8(\pm 6,5)$ და „გრუმინგის“ $0,1(\pm 0,2)$ ხანგრძლივობის პროცენტულ მაჩვენებელს, თავის აწევათა და ფეკალური ბოლუსების რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისად $24,6(\pm 6,4)$ და $6(\pm 1,4)$ იყო (სურ.6.ა. ცხრილი.2).

ცხრილი. 1. ქცევითი მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული ტესტირების პერიოდში – საცდელ ვირთაგვებში.

| ქცევითი ფორმები | I ეტაპი (1) | | II ეტაპი (2) | | III ეტაპი (3) | | P 1-2 | P 2-3 |
|-------------------------|-------------|-----|--------------|-----|---------------|-----|-------|--------|
| | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | | |
| ვერტიკალური დგომები | 4,7 | 2,3 | 1,9 | 0,8 | 4 | 0,9 | 0,009 | 0,0001 |
| ჰორიზონტალური დგომები | 2,6 | 1,1 | 3,9 | 0,7 | 0,3 | 0,2 | 0,009 | 0,02 |
| თავის აწევა | 22,2 | 7,8 | 25,3 | 6,2 | 13,6 | 4 | 0,04 | 0,05 |
| ფეკალური ბოლუსები | 5,6 | 1,7 | 2,7 | 0,5 | 5,2 | 1,1 | 0,001 | 0,0001 |
| სიგნალთშორის გადასვლები | 3,4 | 1,2 | 1,7 | 0,5 | 3,8 | 1,4 | 0,009 | 0,003 |
| გრუმინგი | 0,6 | 0,5 | 2,1 | 1,1 | 0,1 | 0,1 | 0,005 | 0,02 |

გამოკვლევის მეორე ეტაპზე, მეორე ბგერით გამლიზიანებელზე – (ტონი-500ჰც) აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და ორი თავდაცვითი რეაქციის განმტკიცების პერიოდში, მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების პერიოდთან შედარებით, ვირთაგვებს თავდაცვითი რეაქცია უფრო სწრაფად გამოუმუშავდათ, ამ დროს ელექტრო გამლიზიანებელსაც შედარებით ნაკლები რაოდენობით ლებულობდნენ (დენით დასჯა 5-ჯერ დარტყმით), ქცევით მაჩვენებლებში საკმაოდ გამოიკვეთა რაოდენობრივი ცვლილებები: სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო შემცირებული ვერტიკალური დგომების ($1,9\pm 0,8$; $P=0,009$) ხანგრძლივობა, სიგნალთშორის გადასვლებისა ($1,7\pm 0,5$; $P=0,009$) და ფეკალური ბოლუსების ($2,7\pm 0,5$; $P=0,001$) რიცხობრივი რაოდენობა, ხოლო „გრუმინგისა“ ($2,1\pm 1,1$; $P=0,005$) და ჰორიზონტალური ($3,9\pm 0,7$; $P=0,009$) დგომების ხანგრძლივობის მაჩვენებლები სარწმუნოდ იყო გაზრდილი. ჰორიზონტალური დგომების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ვერტიკალური დგომების ხანგრძლივობის მაჩვენებელს (ცხრილი.1. სურ.5 ა.ბ). ორი თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცების პერიოდში კონტროლის ჯგუფში – ტონზე, მეტრონომთან შედარებისას ქცევით აქტებს შორის სარწმუნოდ შემცირებული იყო ვერტიკალური ($3,4\pm 0,6$; $P=0,009$) და ჰორიზონტალური ($7,3\pm 2,1$; $P=0,002$) დგომების ხანგრძლივობა, ფეკალური ბოლუსების ($4,8\pm 0,9$; $P=0,002$) და თავის აწევათა ($16\pm 4,8$; $P=0,008$) რიცხობრივი რაოდენობა. „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მხრივ ამ ეტაპზე სარწმუნოდ განსხვავება არ აღინიშნებოდა (ცხრილი.2. სურ. 6. ა. ბ).

ცხრილი. 2. ქცევითი მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული ტესტირების პერიოდში – საკონტროლო ვირთაგვებში.


| ქცევითი ფორმები | I ეტაპი (1) | | II ეტაპი (2) | | III ეტაპი (3) | | P 1-2 | P 2-3 |
|-----------------------|-------------|-----|--------------|-----|---------------|-----|-------|-------|
| | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | | |
| ვერტიკალური დგომები | 15,7 | 7,8 | 3,4 | 0,6 | 14,8 | 3,3 | 0,009 | 0,1 |
| ჰორიზონტალური დგომები | 9,8 | 6,5 | 7,3 | 2,1 | 1,1 | 1,5 | 0,002 | 0,003 |
| თავის აწევა | 24,6 | 6,4 | 16 | 4,8 | 14,5 | 3,3 | 0,008 | 0,001 |
| ფეკალური ბოლუსები | 6 | 1,4 | 4,8 | 0,9 | 6,4 | 1,8 | 0,002 | 0,005 |
| გრუმინგი | 0,1 | 0,2 | 0,6 | 1,2 | 0,5 | 0,5 | 0,2 | 0,4 |

საცდელ ვირთაგვებთან შედარებისას საკონტროლო ჯგუფში თითოეულ ქცევით აქტებს შორის, პირველ ბგერით გამლიზიანებელზე – მეტრონომზე სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო მომატებული ვერტიკალური ($15,7 \pm 7,8; P < 0,001$) და ჰორიზონტალური ($9,8 \pm 6,5; P < 0,002$) დგომების ხანგრძლივობის პროცენტული მაჩვენებლები და თავის აწევათა ($24,6 \pm 6,4; P < 0,001$) რაოდენობის რიცხვი. „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი ამ ეტაპზე არ შეცვლილა (ცხრილი.2). ორ ბგერით გამლიზიანებელზე თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცების პერიოდში, საკონტროლო ვირთაგვებში პირველ ბგერით გამლიზიანებელთან – მეტრონომთან შედარებისას სარწმუნოდ შემცირდა ვერტიკალური ($3,4 \pm 0,6; P = 0,009$) და ჰორიზონტალური ($7,3 \pm 2,1; P = 0,002$) დგომები, ფეკალური ბოლუსების ($4,8 \pm 0,9; P = 0,002$) და თავის აწევათა ($16 \pm 4,8; P = 0,008$) რაოდენობა, ხოლო „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელში ცვლილება არ აღინიშნებოდა (ცხრილი. 2. სურ. 6. ა. ბ).

მამასადამე, მეტრონომზე და ტონზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების პერიოდში ორივე ჯგუფის ვირთაგვების ქცევით აქტებს შორის თანაფარდობის შედარებამ გვიჩვენა, რომ, როდესაც გამომუშავების ეტაპზე ვირთაგვები ლეზულობს ელექტრო მტკივნეულ გამლიზიანებელს მეტი რაოდენობით (დენით დასჯა 16-ჯერ დარტყმით) – დომინირებულ ქცევას ვერტიკალური დგომები წარმოადგენს (განსაკუთრებით მაღალი იყო საკონტროლო ვირთაგვებში, როდესაც ცხოველებს არ ჰქონდათ მტკივნეული გალიზიანებისგან თავის არიდების საშუალება) (სურ.5.ა. სურ. 6.ა). გაავტომატებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდში – მეორე ეტაპზე, ცხოველები შედარებით ნაკლები რაოდენობით ელექტრო გამლიზიანებელს ლეზულობდა (დენით დასჯა 5-ჯერ დარტყმით), რაც გამოვლინდა ქცევით აქტებს შორის ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებებით. ამ ეტაპზე დომინირებულ ქცევას საცდელ ჯგუფ-


ში ჰორიზონტალური დგომების და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებლები წარმოადგენს. ხოლო საცდელ ვირთაგვებთან შედარებისას, საკონტროლო ჯგუფში დომინირებული ქცევის მანიშნებელია – საგრძობლად მომატებული ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომების აქტივობის მნიშვნელოვანი გაძლიერება (სურ. 5. ა. სურ. 6. ა.).

საცდელი ვირთაგვების ქცევა აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება-განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების პერიოდში




სურათი: 5 (ა)

საცდელი ვირთაგვების ქცევა აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება - განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების პერიოდში




სურათი: 5 (ბ)

საკონტროლო ვითარებების ქცევა აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება-განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული ტესტირების პერიოდში



სურათი: 6 (ა)

საკონტროლო ვითარებების ქცევა აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება - განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული ტესტირების პერიოდში



სურათი: 6 (ბ)

III.1.3. საცდელი და საკონტროლო ცხოველების ქცევა ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების პერიოდში

მეტრონომზე და ტონზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების შემდეგ ორივე გამლიზიანებელს ვიყენებდით ერთ ცდაში. გამლიზიანებლებს ვრთავდით მორიგეობით, გელერმანის სქემის მიხედვით (91)⁹⁷.

ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირებისას, განმტკიცებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებით, ორივე ჯგუფის ვირთაგვები მთელი ექსპერიმენტის პერიოდში (14 დღე) ისჯებოდნენ ელექტრო გამლიზიანებლის მეტი რაოდენობის მიღებით (დენით დასჯა 26-ჯერ დარტყმით, რადგან ცხოველებმა 14 დღის განმავლობაში, აქტიური განრიდების რეაქციის ფორმირება ვერ მოახერხეს), რაც გამოვლინდა ქცევით აქტებს შორის ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებებით. კერძოდ, საცდელ ვირთაგვებში სარწმუნოდ გაიზარდა ვერტიკალური დგომების ($4 \pm 0,9$; $P=0,0001$) ხანგრძლივობის პროცენტული მაჩვენებელი და სიგნალთაშორის გადასვლები-სა ($3,8 \pm 1,4$; $P=0,003$) და ფეკალური ბოლუსების ($5,2 \pm 1,1$; $P=0,0001$) რაოდენობის რიცხვი (სურ.5.ა.ბ., ცხრილი.1), ხოლო „გრუმინგისა“ ($0,01 \pm 0,1$; $P<0,02$) და ჰორიზონტალური ($0,3 \pm 0,2$; $P<0,02$) დგომების ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად შემცირდა, სადაც სარწმუნოდ განსხვავება არ აღინიშნებოდა. (ცხრილი.1. სურ.5.ა). პირველ პირობით გამლიზიანებელთან (მეტრონომი-2ჰც) შედარებისას, ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების დროს ცხოველთა ქცევით მაჩვენებლებში გამოვლინდა სარწმუნო ცვლილებები ჰორიზონტალური დგომების ($0,3 \pm 0,2$; $P=0,001$) ხანგრძლივობისა და თავის აწევათა ($13,6 \pm 4$; $P=0,002$) რიცხობრივი რაოდენობის მაჩვენებლების მხრივ (ცხრილი.1), ხოლო ვერტიკალური დგომებისა და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებლების მხრივ ცვლილებები უმნიშვნელო იყო (სურ.5.ა). საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებში, ორი თავდაცვითი რეაქციების (მეტრონომი და ტონი) გამომუშავება – განმტკიცების პერიოდთან შედარებისას ექსპერიმენტის ამ ეტაპზე, სარწმუნოდ შემცირებული იყო ჰორიზონტალური დგომების ($1,1 \pm 1,5$; $P=0,003$) ხანგრძლივობა და თავის აწევათა ($14,5 \pm 3,3$; $P=0,001$) რიცხობრივი რაოდენობა, მომატებული იყო ფეკალური ბოლუსების ($6,4 \pm 1,8$; $P=0,005$) მაჩვენებელი. აგრეთვე, აღინიშნებოდა ვერტიკალური დგომების ($14,8 \pm 3,3$; $P=0,01$) აქტივობის მნიშვნელოვანი გაძლიერება (სურ.6.ა). საკონტროლო ვირთაგვებში, საცდელ ვირთაგვებთან შედარებისას – ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების პერიოდში, სარწმუნოდ იყო გაზრდილი ვერტიკალური დგომების ($14,8 \pm 3,3$; $P<0,001$) ხანგრძლივობა, ფეკალური ბოლუსებისა ($6,4 \pm 1,8$; $P<0,01$) და თავის აწევათა რაოდენობის ($14,5 \pm 3,3$; $P<0,01$) მაჩვენებელში სარწმუნო მონაცემები არ აღინიშნებოდა (ცხრილი.1.და2.). კონტროლის ჯგუფში, ორ ბგერით გამლიზიანებელზე თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცების პერიოდთან შედარებისას კი, ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების პერიოდში, მოიმატა

97 *Gellerman S.W. Change orders of alternating stimuli in visual discrimination experiments. J.Cenet. Psychol, 1933. V.42, P.207-208.*

ვერტიკალური ($14,8\pm 3,3$; $P=0,1$) დგომების მაჩვენებელმა, სარწმუნოდ შემცირდა ჰორიზონტალური ($1,1\pm 1,5$; $P=0,003$) დგომები, თავის აწევათა ($14,5\pm 3,3$; $P=0,001$) და ფეკალური ბოლუსების ($6,4\pm 1,8$; $P=0,005$) რაოდენობა, ხოლო „გრუმინგის“ მაჩვენებელი უცვლელი იყო. ამრიგად, ერთი ცდის განმავლობაში (ორივე ჯგუფში) ორი აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირების პირობებში 14 დღის მანძილზე ქცევით მაჩვენებლებში კვლავ დომინირებს ვერტიკალური დგომები და იგი სარწმუნოდ ($0,0001$) არის გაზრდილი თავდაცვითი რეაქციების (II ეტაპი) გამომუშავება – განმტკიცების პერიოდთან შედარებით (სურ. 5 ა.ბ; სურ.6 ა.ბ).

III.2. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის მახასიათებლები განსხვავებული სირთულის აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების პერიოდში

III.2.1. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ქცევა „ღია ველის“ ტესტში

„ღია ველის“ ტესტში აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირებამდე საცდელი და საკონტროლო ცხოველების მიერ გამოვლენილი ქცევითი ფორმები ტესტის მიხედვით წარმოდგენილი იყო აქტიური (მოძრავი) და პასიური (უძრავი) მაჩვენებლებლით (სურ.7; სურ.8). საცდელი ცხოველების და ინტაქტური ვირთაგვების აქტიური მაჩვენებლები განისაზღვრებოდა შემდეგი ქცევითი მექანიზმებით: მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი 1 წმ-ს არ აღემატებოდა, კვლევითი ქცევის ისეთი გამოვლინებები, როგორცაა გადაკვეთილი კვადრატები, ვერტიკალური დგომები, თავის აწევა, დეფეკაცია და გამოკვლეული სოროების რაოდენობრივი მაჩვენებლები, შესაბამისად $37,5(\pm 15,6)$; $17,2(\pm 4,9)$; $20,6(\pm 9,7)$; $2(\pm 2)$; $4,4(\pm 1,7)$ შეადგენდა (სურ.9.ა), ხოლო „გრუმინგის“ სუმარული მნიშვნელობა 16 წმ-ის ($\pm 5,4$) ფარგლებში მერყეობდა (სურ. 9.ბ); პასიური მაჩვენებელი „ღია ველში“ იყო ცხოველის უძრაობის ფაზა (მექანიზმი) (სურ.7). პირველ ბგერით გამლიზიანებელზე – მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების შემდეგ „ღია ველში“ საცდელი ვირთაგვების ქცევის შესწავლისას სტატისტიკურად სარწმუნოდ გაზრდილი იყო ცენტრში შესვლისა ($2\pm 0,5$; $P=0,008$) და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის ($28,3\pm 8,9$ წმ; $P=0,001$) მაჩვენებელი, ხოლო შემცირებული ვერტიკალური დგომებისა ($10,5\pm 4,8$; $P=0,003$) და გამოკვლეული სოროების ($2,5\pm 0,7$; $P=0,004$) რაოდენობა. აღინიშნებოდა მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდის ზრდის და გადაკვეთილი კვადრატების, თავის აწევათა და ფეკალური ბოლუსების შემცირების ტენდენცია (სურ.9.ა. ბ; ცხრილი.3).

ცხრილი. 3. ქცევითი მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება „ღია ველის“ ტესტის ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საცდელ ვირთაგვებში

| ქცევითი ფორმები | ინტაქტური (1) | | I ეტაპი (2) | | II ეტაპი (3) | | III ეტაპი (4) | | P 1-2 | P 2-3 | P 3-4 |
|------------------------|---------------|------|-------------|------|--------------|------|---------------|------|-------|--------|--------|
| | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | | | |
| ცენტრში შესვლა | 1 | 1 | 2 | 0,5 | 2,8 | 0,7 | 3,5 | 1,1 | 0,008 | 0,05 | 0,08 |
| გადაკვეთილი კვადრატები | 37,5 | 15,6 | 27,8 | 19,7 | 15,5 | 8,9 | 5,7 | 3,6 | 0,1 | 0,05 | 0,003 |
| ვერტიკალური დგომები | 17,2 | 4,9 | 10,5 | 4,8 | 8,7 | 5,5 | 3,4 | 1,9 | 0,003 | 0,2 | 0,007 |
| სოროს რეფლექსი | 4,4 | 1,7 | 2,5 | 0,7 | 1,4 | 0,7 | 0,7 | 0,6 | 0,004 | 0,002 | 0,02 |
| თავის აწევა | 20,6 | 9,7 | 15,5 | 2,6 | 12,1 | 4,6 | 6,3 | 2 | 0,07 | 0,03 | 0,001 |
| ფეკალური ბოლუსები | 2 | 2 | 0,7 | 1,2 | 0,5 | 0,6 | 0,3 | 0,7 | 0,06 | 0,3 | 0,2 |
| ლატენტური პერიოდი | 0,8 | 0,3 | 3 | 1,2 | 5 | 0,5 | 6,7 | 1,3 | 0,05 | 0,0001 | 0,001 |
| გრუმინგი | 16,3 | 5,4 | 28,3 | 8,9 | 43,5 | 15,1 | 88,3 | 28,7 | 0,001 | 0,009 | 0,0003 |

მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების პერიოდთან შედარებით, ტონზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებასა და ორი თავდაცვითი რეაქციის განმტკიცების პერიოდში „ღია ველში“ სარწმუნოდ იყო გაზრდილი მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი ($5 \pm 0,5$ წმ; $P=0,0001$) და „გრუმინგის“ ($43,5 \pm 15,1$ წმ; $P=0,009$) ხანგრძლივობა (სურ.9.ბ; ცხრილი.3), შემცირებული იყო გამოკვლეული სოროების ($1,4 \pm 0,7$; $P=0,002$) რიცხოვნობა (სურ.9.ა). გადაკვეთილი კვადრატების, ვერტიკალური დგომების, თავის აწევისა და ფეკალური ბოლუსების რაოდენობრივ მაჩვენებლებში აღინიშნებოდა შემცირების ტენდენცია, რომლებიც სარწმუნო ცვლილებებით არ იყო გამოვლენილი (სურ.9.ა., ცხრილი.3). განმტკიცებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებით, ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთი ცდის განმავლობაში ტესტირების 14 დღის შემდეგ „ღია ველში“ სარწმუნოდ გაიზარდა მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი ($6,7 \pm 1,3$ წმ; $P=0,001$) და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი ($88,3 \pm 28,7$ წმ; $P=0,0003$) (სურ.9.ბ.), შემცირდა გადაკვეთილი კვადრატების რაოდენობის რიცხვი ($5,7 \pm 3,6$; $P=0,003$), ცენტრში შესვლისა და ფეკალური ბოლუსების რაოდენობრივ მაჩვენებლებში სარწმუნო ცვლილებები არ აღინიშნებოდა (სურ. 9; ცხრილი. 3).

საკონტროლო ჯგუფში ვირთაგვების ტესტირებისას „ღია ველში“ ნაჩვენები იქნა, რომ საცდელ ცხოველებთან შედარებით აქტიური განრიდების რეა-

ქციის გამომუშავებამდე სარწმუნოდ მაღალი იყო გადაკვეთილი კვადრატების ($49,2 \pm 2,9$; $P=0,008$) და გამოკვლეული სოროების ($8,2 \pm 4,3$; $P=0,001$) რაოდენობის რიცხვი (ცხრილი.4), ხოლო სარწმუნოდ შემცირებული „გრუმინგის“ ($3,7 \pm 3,3$; $P=0,0006$) ხანგრძლივობის მაჩვენებელი. მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდის, ცენტრში შესვლის, ფეკალური ბოლუსებისა და თავის აწევთა რაოდენობის მიხედვით საცდელი და საკონტროლო ვირთაგვებს შორის სარწმუნო ცვლილებები არ აღინიშნებოდა (ცხრილი.4. სურათი: 10. ა.ბ). მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების შემდეგ „ლია ველში“ ტესტირებისას, კონტროლის ჯგუფში სარწმუნოდ იყო შემცირებული გადაკვეთილი კვადრატების ($30,2 \pm 6,5$; $P=0,001$), ვერტიკალური დგომების ($12,7 \pm 8,3$; $P=0,002$) და გამოკვლეული სოროების ($4,7 \pm 2,5$; $P=0,001$) რაოდენობის რიცხვი (სურათი.10.ა. ცხრილი.4). სარწმუნოდ გაზრდილი იყო მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი ($3 \pm 0,8$ წმ; $P=0,001$) და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი ($11,2 \pm 0,9$ წმ; $P=0,002$) (სურ.10.ბ; ცხრილი.4). საცდელ ცხოველებთან შედარებისას, გამოკვლეული სოროების ($4,7 \pm 2,5$; $P=0,001$), გადაკვეთილი კვადრატებისა ($30,2 \pm 6,5$; $P=0,002$) და ვერტიკალური დგომების ($12,7 \pm 8,3$; $P=0,001$) მაჩვენებლები სარწმუნოდ მაღალი იყო საკონტროლო ჯგუფში, ხოლო თავის აწევისა ($16,5 \pm 1,7$; $P=0,02$) და ფეკალური ბოლუსების ($1,7 \pm 1,2$; $P=0,01$) რაოდენობა საცდელ ცხოველებთან შედარებისას უმნიშვნელოდ დაბალი იყო (სურ. 9. და 10).

მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება-განმტკიცების პერიოდთან შედარებით, ტონზე – ორი თავდაცვითი რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისას, საკონტროლო ჯგუფის „ლია ველის“ ტესტში სარწმუნოდ იყო გახანგრძლივებული მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი ($5,2 \pm 0,5$ წმ; $P=0,001$) და ცენტრში შესვლისა ($3,5 \pm 0,5$; $P=0,001$) და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის ($19,2 \pm 4,2$; $P=0,005$) მაჩვენებელი მომატებული იყო (ცხრილი. 4. სურ. 10. ა. ბ), ხოლო გადაკვეთილი კვადრატების მაჩვენებელი ($21,2 \pm 3,1$; $P=0,006$) სარწმუნოდ იყო შემცირებული. ვერტიკალური დგომების, გამოკვლეული სოროების, თავის აწევისა და ფეკალური ბოლუსების მაჩვენებლებში აღინიშნებოდა შემცირების ტენდენცია (ცხრილი. 4. სურ. 10. ა. ბ). საკონტროლო ჯგუფის ცხოველების მონაცემები – გადაკვეთილი კვადრატების ($21,2 \pm 3,1$; $P=0,001$), ვერტიკალური დგომებისა ($10,5 \pm 4,2$; $P=0,002$) და გამოკვლეული სოროების ($3 \pm 0,8$; $P=0,001$) რაოდენობა სარწმუნოდ მაღალი იყო საცდელ ცხოველებთან შედარებისას (ცხრილი. 3. ცხრილი. 4).


ცხრილი. 4. ქცევითი მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება „ლია ველის“ ტესტის ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საკონტროლო ვირთაგვებში

| ქცევითი ფორმები | ინტაქტურ (1) | | I ეტაპი (2) | | II ეტაპი (3) | | III ეტაპი (4) | | P 1-2 | P 2-3 | P 3-4 |
|------------------------|--------------|-----|-------------|-----|--------------|-----|---------------|-----|-------|-------|-------|
| | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | | | |
| ცენტრში შესვლა | 1 | 0,8 | 2 | 0 | 3,5 | 0,5 | 7,2 | 1,7 | 0,2 | 0,001 | 0,002 |
| გადაკვეთილი კვადრატები | 49,2 | 2,9 | 30,2 | 6,5 | 21,2 | 3,1 | 14,2 | 7,8 | 0,001 | 0,006 | 0,2 |
| ვერტიკალ. დგომები | 18,2 | 8 | 12,7 | 8,3 | 10,5 | 4,2 | 6,7 | 4 | 0,002 | 0,3 | 0,1 |
| სოროს რეფლექსი | 8,2 | 4,3 | 4,7 | 2,5 | 3 | 0,8 | 1 | 0,8 | 0,001 | 0,1 | 0,006 |
| თავის აწევა | 20,2 | 3,4 | 16,5 | 1,7 | 12,5 | 5,2 | 10 | 4 | 0,04 | 0,09 | 0,2 |
| ფეკალური ბოლუსები | 2,2 | 0,2 | 1,7 | 1,2 | 0,5 | 0,5 | 0 | 0 | 0,2 | 0,06 | 0,06 |
| ლატენტური პერიოდი | 0,5 | 0,5 | 3 | 0,8 | 5,2 | 0,5 | 8 | 0,8 | 0,001 | 0,001 | 0,006 |
| გრუმინგი | 3,7 | 3,3 | 11,2 | 0,9 | 19,2 | 4,2 | 32 | 4,5 | 0,002 | 0,005 | 0,003 |

ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთი ცდის განმავლობაში ტესტირების 14 დღის შემდეგ, განმტკიცებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებამ აჩვენა, რომ საცდელ ცხოველებში სარწმუნოდ გაიზარდა ლატენტური პერიოდის ($6,7 \pm 1,3$; $P=0,001$) და „გრუმინგის“ ($88,3 \pm 28,7$; $P=0,0003$) ხანგრძლივობის მაჩვენებელი, ხოლო სარწმუნოდ შემცირდა ვერტიკალური დგომების ($3,4 \pm 1,9$; $P=0,007$) ხანგრძლივობა, გადაკვეთილი კვადრატებისა ($5,7 \pm 3,6$; $P=0,003$) და თავის აწევითა ($6,3 \pm 2$ $P=0,001$) რაოდენობა. ცენტრში შესვლისა და გამოკვლეული სოროს მაჩვენებლებში აღინიშნება ცვლილებები შემცირებისა და მომატების მხრივ. საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვებში – ორი თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებისას, სარწმუნოდ იყო გაზრდილი ცენტრში შესვლის რიცხოვრები ($7,2 \pm 1,7$; $P=0,002$) რაოდენობა, მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი ($8 \pm 0,8$ წმ; $P=0,006$) და „გრუმინგის“ ($32 \pm 4,5$ წმ; $P=0,003$) ხანგრძლივობის მაჩვენებელი (სურ.10.ბ; ცხრილი.4), ხოლო გამოკვლეული სოროს რეფლექსის ($1 \pm 0,8$; $P=0,006$) მაჩვენებელი სარწმუნოდ შემცირებული იყო, აღინიშნებოდა გადაკვეთილი კვადრატების ($14,2 \pm 7,8$; $P<0,006$) რაოდენობის და ვერტიკალური დგომების ($6,7 \pm 4$; $P<0,1$) ხანგრძლივობის მაჩვენებლის შემ-

ცირების ტენდენცია. საკონტროლო ჯგუფში, საცდელ ცხოველებთან შედარებისას, სარწმუნოდ მაღალი იყო მოძრაობის აქტიურობის ლატენტური ($8 \pm 0,8$; $P=0,009$) პერიოდი, ვერტიკალური დგომების ($6,7 \pm 4$; $P=0,002$) ხანგრძლივობა და თავის აწევათა (10 ± 4 ; $P=0,002$) რაოდენობა. გადაკვეთილი კვადრატების ($14,2 \pm 7,8$; $P < 0,02$) რაოდენობის მაჩვენებელსა და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის ($32 \pm 4,5$; $P < 0,01$) მაჩვენებელში აღინიშნებოდა ცვლილებები მომატების და შემცირების მხრივ (სურ.9. სურ.10).





ამრიგად, „ღია ველის“ ტესტში ექსპერიმენტის სამივე ეტაპზე ორივე ჯგუფის ვირთაგვებში, ინტაქტურ ცხოველებში და ეტაპებს შორის ქცევით მაჩვენებლებში ურთიერთშედარებისას, აქტიური თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცებისა და ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების ფონზე სარწმუნოდ გაზრდილი იყო „გრუმინგის“ ($0,0003$) ხანგრძლივობა და მოძრაობითი აქტიურობის ლატენტური ($0,0001$) პერიოდი, ხოლო დანარჩენი კვლევითი აქტიურობის მაჩვენებლებში აღინიშნებოდა შემცირების ტენდენცია (სურ.7, 8. ცხრილი. 3, 4). გადაკვეთილი კვადრატების, ვერტიკალური დგომებისა და გამოკვლეული სოროების რაოდენობის მაჩვენებლები პირდაპირ კორელაციაშია უძრაობის ფაზის მომატებასთან (სურ.7,8), რაც ემოციური დაძაბულობის ზრდის მანიშნებელია.



სურ.7 „ღია ველის“ ტესტში ქცევითი მაჩვენებლების ცვლილებები საცდელ ვირთაგვებში

- ინტაქტური
- პირველი აქტიური განრიდების რეაქცია (მეტრონომი)
- მეორე აქტიური განრიდების რეაქცია (ტონი)
- ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული ტესტირება ორი კვირის შემდეგ (1+14)


| | |
|--|-------------------|
| | ცენტრში შესვლა |
| | ბალკონში კვალი |
| | ვერტიკალური ღბოვა |
| | სროს რეზულტი |
| | თავის აწევა |
| | ფეხური ბოლო |
| | ლატენტური პერიოდი |
| | ბრუნვა |
| | უპრობის წახა |



სურ. 8. „ღია ველის“ ტესტში ქცევითი მარკერების ცვლილებები საკონტროლო ვირთაგვებში


- ინტაქტური
- პირველი აქტიური განრიდების რეაქცია (მეტრონომი)
- მეორე აქტიური განრიდების რეაქცია (ტონი)
- ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული ტესტირება ორი კვირის შემდეგ (1+14)

საცდელი მითაბების ქვეა ღია ველში




სურათი. 9 (ა)

საცდელი მითაბების ქვეა ღია ველში



სურათი. 9 (ბ)


საპონტროლო მონიტორინგის ქვეპროექტი "ღია ველში"



ქვეპროექტი უორმები და რეგისტრაციის ვალები

სურათი. 10 (ა)

საპონტროლო მონიტორინგის ქვეპროექტი "ღია ველში"



ქვეპროექტი უორმები და რეგისტრაციის ვალები

სურათი. 10 (ბ)

III.2.2. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ქცევა „პროკონფლიქტურ“ ტესტში

ცხოველებში შიშისა და შფოთვის რეაქციების შეფასებისას „პროკონფლიქტური“ ტესტის მიხედვით ნაჩვენები იქნა, რომ აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირებამდე საცდელი ვირთაგვების ჯგუფში დენით დასჯილი წყლის სმის აქტების რაოდენობა $8,4(\pm 4,5)$ იყო. აღნიშნული ქცევითი რეაქციის მაჩვენებელი საცდელ ვირთაგვებში სარწმუნოდ იყო შემცირებული, როგორც მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისა ($3\pm 0,7$; $P=0,001$) და ორი აქტიური თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცების ($1,5\pm 0,7$; $P=0,002$) შემდეგ, ისე ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთ ცდაში ტესტირების 14 დღის ($0,6\pm 0,5$; $P=0,004$) შემდეგაც (სურ. 11 ა. ცხრილი 5).

ცხრილი. 5. ქცევითი მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება „ლია ველის“ ტესტის ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საცდელ და საკონტროლო ვირთაგვებში


| დენით დასჯილი წყლის სმის აქტების რაოდენობა | ინტაქტური (1) | | I ეტაპი (2) | | II ეტაპი (3) | | III ეტაპი (4) | | P 1-2 | P 2-3 | P 3-4 |
|--|---------------|-----|-------------|-----|--------------|-----|---------------|-----|-------|-------|-------|
| | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | საშ | SD | | | |
| საცდელი ვირთაგვები | 8,4 | 4,5 | 3 | 0,7 | 1,5 | 0,7 | 0,6 | 0,5 | 0,001 | 0,002 | 0,004 |
| საკონტროლო ვირთაგვები | 4,7 | 3,3 | 2,7 | 0,5 | 1,7 | 0,5 | 0,5 | 0,5 | 0,09 | 0,002 | 0,008 |

საკონტროლო ჯგუფში დენით დასჯილი ვირთაგვების წყლის სმის აქტების რაოდენობა ინტაქტურ ვირთაგვებთან შედარებისას, სარწმუნოდ იყო შემცირებული ორი აქტიური თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცების ($1,7\pm 0,5$; $P=0,002$) შემდეგ და კიდევ უფრო შემცირებული ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთ ცდაში ტესტირების 14 დღის ($0,5\pm 0,5$; $P=0,008$) განმავლობაში (ცხრილი. 5). მეტრონომზე – აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისას სარწმუნოდ განსხვავება ინტაქტურ ცხოველებთან შედარებით ($2,7\pm 0,5$; $P=0,09$) არ აღინიშნებოდა (სურ.11.ბ.).

საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების „პროკონფლიქტურ“ ტესტში აღნიშნულ ქცევით მაჩვენებელში სხვადასხვა ეტაპებზე ურთიერთშედარებისას სარწმუნოდ განსხვავებები არ აღინიშნება (ცხრილი 5).


ამრიგად, „პროკონფლიქტურ“ ტესტში ფსიქოგენური სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე ორივე ჯგუფის ვირთაგვებში, ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას, დენით დასჯილი წყლის სმის აქტების რაოდენობა სარწმუნოდ შემცირებულია, რაც შიშისა და შფოთვის გაძლიერების მანიშნებელია.

საცდელი ვითარების ძველი "პროკონვლიტურ" ტესტი



სურათი. 11 (ა)

საკონტროლო ვითარების ძველი "პროკონვლიტურ" ტესტი



სურათი. 11 (ბ)

III. 3. ბიოქიმიური პარამეტრების შეფასება განსხვავებული სირთულის აქტიური განრიდების რეაქციებით გამოწვეულ ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საცდელ და საკონტროლო ვირთაგვებში

III.3.1. ბიოქიმიური პარამეტრების კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის პლაზმაში აქტიური თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცებისა და ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების პერიოდში საცდელ და საკონტროლო ვირთაგვებში

საკვლევი თემის პირველ საფეხურზე ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში შევისწავლეთ ვირთაგვების ქცევითი მაჩვენებლები ორ სხვადასხვა ბგერით გამლიზიანებელზე (მეტრონომი – 2 ჰც, ტონი – 500 ჰც) აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებასა და ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების პერიოდში. კვლევის მეორე საფეხურზე, სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე (სტრესირების შემდეგ) ინტაქტურ და სტრესირებულ ვირთაგვებს ჩაუტარდათ დეკაპიტაცია (ანესთეზიის ქვეშ), სისხლის ნიმუშები შეგროვილი იყო ბიოქიმიური პარამეტრების კონცენტრაციის განსასაზღვრად.

ექსპერიმენტის მსვლელობისას სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე – ინტაქტური და სტრესირებული ვირთაგვების (საცდელი, საკონტროლო) სისხლის პლაზმაში განისაზღვრა ბიოქიმიური პარამეტრების (კორტიზოლი, გლუკოზა, ქოლესტერინი) შემცველობა.

ინტაქტური ვირთაგვების სისხლის პლაზმაში კორტიზოლის, გლუკოზისა და ქოლესტერინის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისად 28 მმოლ/ლ ($\pm 1,9$), 2,8 მმოლ/ლ ($\pm 0,8$), 1,4 მმოლ/ლ-ს ($\pm 0,1$) შეადგენდა (ცხრილი.6. სურ.12).

ცხრილი. 6. ბიოქიმიური მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საცდელ ვირთაგვებში

| ეტაპები | კორტიზოლი | | | გლუკოზა | | | ქოლესტერინი | | |
|-----------|-----------|-----|--------|---------|-----|-------|-------------|-----|-------|
| | საშ | SD | P | საშ | SD | P | საშ | SD | P |
| ინტაქტური | 28 | 1,9 | | 2,8 | 0,8 | | 1,4 | 0,1 | |
| I ეტაპი | 38,4 | 9,0 | 0,004 | 4 | 0,7 | 0,004 | 1,7 | 0,5 | 0,009 |
| II ეტაპი | 33,5 | 3,5 | 0,001 | 3,7 | 0,4 | 0,001 | 1,6 | 0,5 | 0,09 |
| III ეტაპი | 43,5 | 9,2 | 0,0001 | 3,8 | 0,4 | 0,003 | 1,7 | 0,2 | 0,002 |

პირველ ბგერით გამლიზიანებელზე – მეტრონომზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების შემდეგ ორივე ჯგუფში

ფის ვირთაგვებში, ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას, სისხლის პლაზმაში სტატისტიკურად სარწმუნოდ გაზრდილი იყო კორტიზოლის ($38,4 \pm 9,0$; $P=0,004$ (საცდ.); $38,8 \pm 6,8$; $P=0,004$ (საკონტ.)), გლუკოზისა ($4 \pm 0,7$; $P=0,004$ (საცდ.); $3,9 \pm 0,4$; $P=0,002$ (საკონტ.)) და ქოლესტერინის ($1,7 \pm 0,5$; $P=0,009$ (საცდ.) კონცენტრაციის მაჩვენებლები (ცხრილი 6 და 7). საკონტროლო ჯგუფში ქოლესტერინის კონცენტრაციის ($1,6 \pm 0,2$; $P=0,01$) მაჩვენებლის სარწმუნოდ მომატება არ აღინიშნებოდა (ცხრილი.7).

მეორე ბგერით გამლიზიანებელზე – ტონზე, ორი თავდაცვითი რეაქციის გამომუშავება – განმტკიცების პერიოდის შემდეგ, ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას, სისხლის პლაზმაში ბიოქიმიური მაჩვენებლების რაოდენობრივ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი: კერძოდ, სტატისტიკურად სარწმუნოდ გაიზარდა კორტიზოლისა ($33,5 \pm 3,5$; $P=0,001$ (საცდ.); $33,1 \pm 3$; $P=0,007$ (საკონტ.)) და გლუკოზის ($3,7 \pm 0,4$; $P=0,001$ (საცდ.); $3,7 \pm 0,4$; $P=0,008$ (საკონტ.)) კონცენტრაციის მაჩვენებლები. ხოლო პირველ პირობით სიგნალთან (მეტრონომი-23ც) შედარებისას, ორი თავდაცვითი რეაქციის განმტკიცების პერიოდის შემდეგ ქოლესტერინისა ($1,6 \pm 0,5$; $P=0,09$ (საცდ.), $1,4 \pm 0,2$; $P=0,3$ (საკონტ.) და გლუკოზის ($3,7 \pm 0,4$; $P=0,02$) (საცდ.), ($3,7 \pm 0,4$; $P=0,01$) (საკონტ.) კონცენტრაციის მაჩვენებლის ზრდის სარწმუნო განსხვავება არ აღინიშნებოდა (ცხრილი. 6 და 7. სურ.12 და 13).

ცხრილი. 7. ბიოქიმიური მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საკონტროლო ვირთაგვებში

| ეტაპები | კორტიზოლი | | | გლუკოზა | | | ქოლესტერინი | | |
|-----------|-----------|-----|-------|---------|-----|-------|-------------|-----|-------|
| | საშ | SD | P | საშ | SD | P | საშ | SD | P |
| ინტაქტური | 28 | 1,9 | | 2,8 | 0,8 | | 1,4 | 0,1 | |
| I ეტაპი | 38,8 | 6,8 | 0,004 | 3,9 | 0,4 | 0,002 | 1,6 | 0,2 | 0,01 |
| II ეტაპი | 33,3 | 3 | 0,007 | 3,7 | 0,4 | 0,008 | 1,4 | 0,2 | 0,3 |
| III ეტაპი | 31,5 | 2,7 | 0,005 | 3,8 | 0,5 | 0,005 | 1,8 | 0,3 | 0,002 |


ტონზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისას, მეტრონომთან შედარებით – საკონტროლო ვირთაგვებში გამოიკვეთა ბიოქიმიურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებები, კორტიზოლის კონცენტრაციის მაჩვენებელი ($33,1 \pm 3$; $P=0,007$) სარწმუნოდ შემცირებული იყო, ხოლო საცდელ ვირთაგვებში – საკონტროლო ცხოველებთან შედარებით კორტიზოლისა ($33,5 \pm 3,5$; $P=0,08$) და გლუკოზის ($3,7 \pm 0,4$; $P=0,08$) კონცენტრაციის მაჩვენებლებში ცვლილებები არ აღინიშნებოდა (სურ. 12 და 13; ცხრილი.6 და 7). ქოლესტერინის კონცენტრაციის მაჩვენებელი საკონტროლო ვირთაგვებში საცდელ ვირთაგვებთან შედარებით ოდნავ შემცირებული იყო, ე.ი. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ბიოქიმიურ პარამეტრებში, ექსპერიმენტის ამ

ეტაპზე ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებები არ აღინიშნებოდა (ცხრილი. 6 და 7; სურ.12 და 13).

მაშასადამე, მეტრონომზე და ტონზე აქტიური განრიდების რეაქციის გამოუმუშავება – განმტკიცების პერიოდში (ორივე ჯგუფის – საექსპერიმენტო ვირთაგვების), სისხლის პლაზმის ბიოქიმიური პარამეტრებში ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებებმა მოგვცა კორტიზოლისა და გლუკოზის მაჩვენებლის სტატისტიკურად სარწმუნო ($P=0,001$) ზრდა, ხოლო ქოლესტერინის პარამეტრის კონცენტრაციის ცვლილებას ამ ეტაპზე სარწმუნო განსხვავება არ ჰქონდა.

ერთი ცდის განმავლობაში, ორი აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირების შემდეგ, ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას, ორივე ჯგუფის ვირთაგვებში კორტიზოლის ($43,5\pm 9,2$; $P=0,0001$ (საცდ.); $31,5\pm 2,7$; $P=0,005$ (საკონტ.)), გლუკოზისა ($3,8\pm 0,4$; $P=0,003$ (საცდ.); $3,8\pm 0,5$; $P=0,005$ (საკონტ.)) და ქოლესტერინის ($1,7\pm 0,2$; $P=0,002$ (საცდ.); $1,8\pm 0,3$; $P=0,002$ (საკონტ.)) კონცენტრაციის პარამეტრები სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო მომატებული (ცხრილი.6 და 7). განმტკიცებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებისას კი, საცდელ ვირთაგვებში სარწმუნოდ მაღალი იყო კორტიზოლის ($43,5\pm 9,2$; $P=0,004$) კონცენტრაციის მაჩვენებელი, გლუკოზისა ($3,8\pm 0,4$; $P<0,1$) და ქოლესტერინის ($1,7\pm 0,2$; $P<0,1$) მაჩვენებლებში სარწმუნო განსხვავებები არ აღინიშნებოდა (სურ.12. ცხრილი.6). ექსპერიმენტის ამ ეტაპზე საკონტროლო ვირთაგვებში აღნიშნული პარამეტრები ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას სარწმუნოდ იყო მომატებული (ცხრილი.7). ამრიგად, ერთი ცდის განმავლობაში, ორი აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირებისას, ორივე ჯგუფის ვირთაგვებში შეიმჩნევა ბიოქიმიური პარამეტრების ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებები: პირველ ბგერით გამლიზიანებელზე აქტიური განრიდების რეაქციის გამოუმუშავება – განმტკიცებისას და ორი თავდაცვითი რეაქციების გამოუმუშავება – განმტკიცების პერიოდთან შედარებისას, სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო მომატებული კორტიზოლის, გლუკოზის და ქოლესტერინის კონცენტრაციის მაჩვენებელი.


ბიოქიმიური მაჩვენებლები საცდელი ვირთაგვების სისხლის პლაზმაში
ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე



რეგისტრაციის ვადები

სურათი. 12

ბიოქიმიური მაჩვენებლები საკონტროლო ვირთაგვების სისხლის
პლაზმაში ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე



რეგისტრაციის ვადები

სურათი.13

თავი IV. კვლევის შედეგების განხილვა

მრავალრიცხოვანი კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევებით დადგენილია, რომ ნერვული სისტემის კონტროლს დაქვემდებარებული ადაპტური ხასიათის რეაქცია ემსახურება ორ მიზანს: 1) უზრუნველყოს სისტემის „ორგანიზმი – გარემოს“ სტაბილურობა და 2) შეინარჩუნოს თვით ნერვული სისტემის ფუნქციონირების ნორმალური რეჟიმი, იმ მექანიზმების კომპლექსის წყალობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის მდგრადობას – ჰომეოსტაზს. ჰომეოსტაზის შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ბიოლოგიისა და მედიცინის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას. ჰომეოსტაზის ცნება აღნიშნავს არა მხოლოდ ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლოგიური კონსტანტის ცნობილ მუდმივობას, არამედ მოიცავს ფიზიოლოგიური რეაქციების ადაპტაციისა და კოორდინაციის პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის ერთიანობას, როგორც ნორმალურ პირობებში, ასევე მათი არსებობის პირობების შეცვლისას. ორგანიზმის სტრუქტურების და ფუნქციების ერთიანობის შენარჩუნებაში მთავარი როლი ეკუთვნის ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებს. ნერვული სისტემის მოქმედება იწვევს ენდოკრინული ჯირკვლებისა და ვეგეტატიური ფუნქციების გააქტიურებას, რაც ძირითადად უზრუნველყოფს გარემოს პირობების ზემოქმედებისადმი ორგანიზმის ადაპტაციას. ქცევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეფექტორული რეაქციის დროს მეორადად ერთვება ჰუმორალური (ენდოკრინული) და ნერვული მექანიზმები, რომლებიც უკუკავშირით მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე, მის ოპტიმალურ მუშაობაზე. ტვინის ამგვარ მუშაობას უმაღლესი ნერვული მოქმედების თვითრეგულაციას უწოდებენ.

მრავალწლიანი ემპირიული კვლევის მიზანი იყო თავის ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების ქცევითი კომპონენტების იდენტიფიკაცია, ქცევითი აქტების გამოვლინების კანონზომიერების დადგენა „ინფორმაციული ტრიადის“ არახელსაყრელი შერწყმით გამოწვეულ ფსიქოგენური სტრესის პირობებში და მათი გავლენის შესწავლა მეტაბოლიზმის ადაპტაციურ მარეგულირებაზე (კორტიზოლი, გლუკოზა, ქოლესტერინი). ფსიქოგენური სტრესი აღმოცენდება ფსიქიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, უპირველესად იძაბება ის მექანიზმები, რომლებიც ფსიქიკურ ფუნქციებს განაპირობებენ და პირველად მოქმედებენ თავის ტვინის უმაღლეს ფუნქციებზე, მესხიერებაზე, მოტივაციაზე, ემოციაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და სხვა. ამ შემთხვევაში სტრესოგენური ფაქტორის შესასვლელი ჭიშკარი ტვინია, რომელსაც შეუძლია სტრესულ მდგომარეობაში ჩაითრიოს სხვადასხვა სისტემები: ენდოკრინული, იმუნური, გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, გამომყოფი და სხვა.

ფსიქოგენური სტრესის ექსპერიმენტული მოდელირებისთვის ხშირად გამოიყენება იმ კონფლიქტის მოდელი, რომელიც აღმოცენდება ცხოველის თავდაცვის მოთხოვნილებასა და ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ნიადაგზე. ამ კონფლიქტის რეალიზაციას შემდეგნაირად ახორციელებენ: ცხოველს აძლევენ მტკივნეულ გაღიზიანებას და ართმევენ ამ ტკივილისაგან თავის დაღწევის საშუალებას. ფსიქოგენური სტრესის ამგვარი მოდელირების პირობებში აღინიშნა სტრესული რეაქციის ინტენსიურობა და მასთან დაკავშირებული

დარღვევების ხარისხის მომატება, რაც აძლიერებს ემოციური აპარატის აქტიურობას.

ფსიქოგენური სტრესის მოდელირებისას ცხოველებს თავდაპირველად თითოეულ გამლიზიანებელზე ცალ-ცალკე გამოვუმუშავებდით აქტიური განრიდების რეაქციას. ამ დროს პირობითი სიგნალის ჩართვისას მტკივნეულ გალიზიანებისაგან თავდაცვის მიზნით, ვირთაგვა ხტებოდა იმ განყოფილებაში, რომელშიც გადახტომის საშუალებაც ჰქონდა (მეორე განყოფილება ჩაკეტილი იყო). უკვე გამომუშავებული თავდაცვითი რეაქციების „გაერთიანების“ დროს ცხოველის წინაშე დგებოდა ახალი ამოცანა, იგი მტკივნეულ გალიზიანებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დააღწევდა თავს, თუ სიგნალის ჩართვისას განახორციელებდა სივრცით ორიენტაციულ ქცევას, ე. ი. გადახტებოდა არა მხოლოდ ძგიდეზე, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ გადავიდოდა სიგნალიზირებულ განყოფილებაში. ვირთაგვა ამ ამოცანას თავს ვერ ართმევდა და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სიგნალზე ახორციელებდა განრიდების რეაქციას, მაინც ისჯებოდა ელექტრული დენით. ის გარემოება, რომ ცხოველი ერთი ცდის განმავლობაში ორი სხვადასხვა პირობითი გამლიზიანებლის შემთხვევითი სქემით წარდგინებისას ვერ ახერხებს გამოიმუშავოს ადექვატური ქცევა, შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: ექსპერიმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ვითარებაში ვირთაგვა ვერ იღებს ინფორმაციას, რომლის მიხედვით იგი განახორციელებდა სივრცით ორიენტაციულ ქცევას ანუ ცხოველის თავის ტვინი ფუნქციონირებს „ინფორმაციული ტრიადის“ ფაქტორების – ინფორმაციის, მოტივაციისა და დროის ფაქტორის არახელსაყრელი შერწყმის პირობებში. კერძოდ, ვირთაგვები ხანგრძლივი დროის მანძილზე აღმოჩნდნენ მაღალი მოტივაციის, დროისა და პრაგმატული ინფორმაციის დეფიციტის პირობებში, რაც მათთვის რთულ ამოცანას და ძლიერ სტრესოგენურ ფაქტორს წარმოადგენდა – ცხოველის უმაღლესი ნერვული მოქმედების ფუნქციებზე (2)⁹⁸. ფსიქოგენური სტრესის მასობრივ წარმოშობას განაპირობებს ინფორმაციის მოზღვავება, თუმცა ინფორმაციის ზრდა თავისთავად არ იწვევს სტრესს: ადამიანის თავის ტვინს უამრავი ინფორმაციის აღქმა და გადამუშავება შეუძლია, ინფორმაციის მოზღვავება განსაზღვრულ პირობებში შეიძლება გადაიქცეს ძლიერ სტრესოგენურ ფაქტორად და შესაძლოა გამოიწვიოს დაავადება, რომელსაც ხანანაშვილმა 1975 წელს „ინფორმაციული ნევროზი“, ხოლო შემდგომ უფრო ფართო გაგებით „ინფორმაციული დაავადება“ (12,35)⁹⁹ უწოდა. ინფორმაციული სტრესი ფსიქოგენური სტრესის ფორმაა, ის გამოიწვევს იმ სამი ფაქტორის ზემოქმედებით, რომლებიც ინფორმაციული დაავადების აღმოცენებას განაპირობებს. ეს ფაქტორებია: 1) ინფორმაციის რაოდენობა, 2) ინფორმაციის გადამუშავებისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო დრო, 3) გადაწყვეტილების მიღების მოტივაციის დონე. ეს სამივე ფაქტორი, რომელთა ერთობლიობას „ინფორმაციული ტრიადა“ უწოდეს თავისთავად ბევ-

98 *Хананаишвили М. М. – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. Вестник Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина. 1998. с.13-16*

99 *ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.30-46. Хананаишвили М. М. Реберг Г. – Саморегуляция поведения в условиях возрастающих нагрузок на аналитико-синтетическую деятельность мозга у кошек. Журн. В.Н.Д.1981.т.31.№4.с.123- 129.*

რად განაპირობებს ნორმალურ ქცევას. მაგრამ შესაძლებელია ეს ფაქტორები არახელსაყრელ პირობებში სტრესოგენური გახდეს. მაგ. ჭარბი ინფორმაციის მოზღვაების (ან დეფიციტის), დროის ქრონიკული უკმარისობის და ქცევის მაღალი მოტივაციის პირობებში (12)¹⁰⁰.

ექსპერიმენტის მსვლელობისას გამოყოფილი იყო ცხოველების ორი ჯგუფი: საცდელი (საექსპერიმენტო) და საკონტროლო ვირთაგვები. საცდელი ცხოველები ტესტირდებოდნენ ჩვენს მიერ გამოყენებული აქტიური განრიდების რეაქციის მოდიფიცირებული მეთოდით. საკონტროლო ცხოველები ცდის მსვლელობისას მოთავსებული იყვნენ საექსპერიმენტო გალიის გვერდით ელექტროფიცირებული იატაკის მქონე (40V, ცვლადი დენი) იზოლირებულ მეოთხე განყოფილებაში, რომლებიც იღებდნენ იგივე რაოდენობით მტკივნეულ გალიზიანებას, რასაც იღებდა საცდელი ცხოველები ჯამში. მაგრამ, მათ არ ჰქონდათ მტკივნეული გალიზიანებისგან თავის არიდების საშუალება. აღნიშნული ჯგუფის ცხოველების მიერ რეგისტრირებული ქცევითი რეაქციებისა და მეტაბოლიზმის მაჩვენებლების (კორტიზოლი, გლუკოზა, ქოლესტერინი) შედარებისას აღმოჩნდა, რომ საკონტროლო ვირთაგვებში საცდელ ვირთაგვებთან შედარებით დარღვევები სტატისტიკურად სარწმუნოდ კარგად იყო გამოვლენილი.

მეტრონომზე – აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირებისას დასწავლის კრიტერიუმის მისაღწევად საექსპერიმენტო ცხოველებს დასჭირდათ 120-160 შეუღლება, აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების ფორმირება მიმდინარეობდა 6-8 დღე – ცხოველისთვის უცნობ გარემოში უცხო გამლიზიანებლის ზემოქმედების პირობებში. როცა ვირთაგვა პირველად დგებოდა რთული ამოცანის გადაწყვეტის წინაშე, ორივე ჯგუფში განისაზღვრებოდა რეგისტრირებული ქცევითი მაჩვენებლებისა და ბიოქიმიური პარამეტრების (კორტიზოლი, გლუკოზა, ქოლესტერინი) რაოდენობრივი ცვლილებები. ვირთაგვები ამ ეტაპზე ელექტრო გამლიზიანებელს თანაბარი რაოდენობით ლებულობდნენ (დენით დასჯა 16-ჯერ). საცდელ ცხოველებში ქცევითი და ბიოქიმიური მაჩვენებლების შედარებისას, გამოვლინდა, რომ ქცევით მაჩვენებლებში დომინირებდა ვერტიკალური დგომები, მისი ხანგრძლივობა მთელი ექსპერიმენტის დროს $4,7 \pm 2,3$ -ს შეადგენდა. „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომების ხანგრძლივობის მაჩვენებლებს (ცხრილი.1) საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების ქცევით მაჩვენებლებში კვლავ დომინირებდა ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომები, ხოლო „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი საგრძნობლად დაბალი იყო (ცხრილი.2). ბიოქიმიური პარამეტრებიდან კორტიზოლის, გლუკოზისა და ქოლესტერინის კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში, ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას სტატისტიკურად სარწმუნოდ მაღალი იყო (ცხრილი.6). საკონტროლო ჯგუფში ამ ეტაპზე, კორტიზოლისა და გლუკოზის პარამეტრებთან შედარებით, ქოლესტერინის მაჩვენებელი სარწმუნოდ არ შეცვლილა (ცხრილი.7). ცხოველისთვის უცხო გარემოში უცხო გამლიზიანებლის ზემოქმედების პირობებში, ტკივილს, როგორც ფსიქიკური ფაქტორის გამლიზიანებლს, დამცველი მექანიზმები მოყავს მობილიზაციაში, რომლებიც ერთმა-

100 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.30-46

ნეთთან დაკავშირებულია კომპესატორული – შემგუებლობითი რეაქციებით, ეს უკანასკნელი კი მიმართულია, არა მხოლოდ გალიზიანების წყაროს აღმოსაფხვრელად, არამედ შინაგანი გარემოს მუდმივობის (ჰომეოსტაზის) შესანარჩუნებლადაც (36, 97)¹⁰¹. ექსპერიმენტული დაკვირვებები მოწმობს, რომ ფსიქიკური ფაქტორის გამლიზიანებელზე, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მრავალი ნერვული ქსელი განიცდის აქტივაციას (38)¹⁰². ფსიქოგენური ფაქტორების მიმართ განსაკუთრებით მგრძობიარეა ლიმბური ტვინის სტრუქტურები, კერძოდ, ჰიპოკამპი, ნუშისებური სხეული, პრეფრონტალური ქერქი, რომლებიც ინფორმაციას ღებულობენ სხვადასხვა სენსორული სისტემებიდან. ფსიქოგენური ფაქტორებით გამონვეული ინტრალიმბური პროცესების მიმდინარეობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია განხორციელებულ ქცევით რეაქციებზე. ლიმბურ სტრუქტურაში თავმოყრილი ინფორმაციის გადაამუშავება იწვევს ქცევით რეაქციებს (57)¹⁰³, რასაც თან ახლავს ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიური კომპონენტების მეტაბოლური ცვლილებები. პირველ ბგერით გამლიზიანებელზე – მეტრონომზე გამოვლენილი ქცევითი რეაქციები და ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ასახავს ცხოველის ემოციურ მდგომარეობას, თვითრეგულაციური მექანიზმების მუშაობას, რაც განაპირობებს გარემოს შეცვლილი პირობებისადმი ორგანიზმის ადაპტაციას. ვერტიკალური დგომები ვირთაგვის ძლიერი ემოციური დაძაბულობის გამომხატველია, „გრუმინგი“ კი საშუალო სიძლიერის კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოცენდება, იგი ემოციური დაძაბულობის დროს არ გამოვლინდება. ადაპტური ჰორმონი კორტიზოლის კონცენტრაციის მომატება და ნახშირწყლოვანი და ლიპიდური ცვლის მაჩვენებლების მეტაბოლური ცვლილებები კი ორგანიზმს ამზადებს ბრძოლისთვის, რომელიც ასოცირდება შიშთან, გააფთრებასთან და ტკივილთან. ცხოველების ამგვარი ქცევა რთული ამოცანის გადაჭრის დროს ემსახურება ემოციური დაძაბულობის განმუხტვას და განიხილება, როგორც თვითრეგულაციური ქცევა (35, 50, 98)¹⁰⁴, ხოლო ბიოქიმიური კომპონენტების ცვლილებები წარმოადგენენ სტრესული პასუხის ძირითად მედიატორებს, როგორც ორგანიზმის დამცველი ძალების სასწრაფო მობილიზაციის მთავარ ფაქტორს – დარღვეული წონასწორობის აღსადგენად.

ემოციური დაძაბულობის დროს გამოვლენილ ქცევით რეაქციებს, ორგანიზმი პასუხობს ჰომეოსტაზური სისტემების მობილიზაციით, რომელთაგან უმთავრესია ჰიპოთალამო – ჰიპოფიზ – თირკმელზედა ჯირკვლების სისტემის

101 *Вальдман А.В.* - Нервная система и гомеостаз// в кн. *Гомеостаз// Под ред. П.Д. Горизонтова*, 2-е изд. – Москва. Медицина. 1981. с.29-73. *Вальдман А.В. Игнатов Ю.Д.* – Центральные механизмы боли – Ленинград. Наука. 1976. с. 280.

102 *Vermentten E., Bremner J.D.* Circuits and system in stress: I. Preclinical studies. *Depress Anxiety*. 2002, v.15, p.126-147.

103 *Wiener H.* Perturbing the organism. *The biology of stressful experience*. Chicago: University of Chicago Press, 1992. P.34 – 42

104 *Хананаишвили М. М. Реберг Г.* – Саморегуляция поведения в условиях возрастающих нагрузок на аналитико-синтетическую деятельность мозга у кошек. *Журн. В.Н.Д.* 1981. т. 31. №4. с. 123- 129. *Хананаишвили М. М.* – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. *Вестник, Российской Академии Медицинских Наук.* Москва. Медицина. 1998. с.13-16. *Хананаишвили М.М.* – Саморегуляция высшей нервной деятельности у животных в состоянии предневроза. Исследования механизмов нервной деятельности. М.: Наука, 1984. С. 228-233.

აქტიურობა – რეგულაცია, იგი ექვემდებარება ცენტრალურ ნერვულ სისტემას და დაუყოვნებლივ ვლინდება ვეგეტატიური ნერვული სისტემის სიმპატიკური განყოფილების ტონუსის გაზრდაში. ეს ცვლილება, თავის მხრივ, უშუალო რეფლექსურ გავლენას ახდენს ჰიპოთალამუსზე (59, 63)¹⁰⁵. ნორმაში, სტრესოგენური ზემოქმედების შემდეგ ჰიპოკამპისა და ნუშისებური სხეულის შემაკავებელი გავლენა ჰიპოთალამუსზე – ბლოკირდება, რაც იწვევს ჰიპოთალამუსის პარავენტრიკულარულ ბირთვში სპეციფიკური ნეირომედიატორის კორტიკოტროპინ – რილიზინგ – ჰორმონის (CRH) გამოთავისუფლებას (58)¹⁰⁶. აღნიშნული ჰორმონი მოქმედებს ჰიპოთალამო – ჰიპოფიზურ სისტემაზე და არეგულირებს ჰიპოფიზიდან ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის (ACTH), ვაზოპრესინისა და ოქსიტოცინის სინთეზსა და სეკრეციას (23)¹⁰⁷. ჰიპოთალამუსი თავისი უჩვეულო მონოკლინობის წყალობით ნერვული სისტემიდან მომავალ სწრაფმოქმედ სიგნალებს გარდასახავს ენდოკრინული სისტემის ნელა მიმდინარე სპეციფიკურ რეაქციებად, ამიტომაც ჰიპოთალამუსის განვიხილავთ, როგორც ორგანიზმის სიცოცხლის უზრუნველმყოფი ყველა ჰომეოსტაზური პარამეტრის დისპეჩერს (6, 59)¹⁰⁸. ჰიპოფიზის მეშვეობით ჰიპოთალამუსი წარმართავს, ასტიმულირებს და თრგუნავს მთელ რიგ ჰუმორულ – ჰორმონალურ რეაქციებს, რომლებიც დამახასიათებელია, როგორც ნორმალური, ასევე სტრესული მდგომარეობისთვისაც (62)¹⁰⁹. ე.ი. ჰიპოთალამუსის როლი გამოიხატება მისი ნერვული უჯრედების სეკრეტორული აქტივობაში, რაც გამოიწვევს კორტიკოტროპინ – რილიზინგ ფაქტორის ზრდას. ამ პროცესის გამშვებ მექანიზმს წარმოადგენს სიმპატიკ – ადრენერგული სისტემის აქტივაცია, ხვდება რა სისხლის მიმოქცევის პორტული სისტემით ჰიპოფიზში და იწვევს ACTH-ის სინთეზისა და გამოყოფის პოტენცირებას (77),¹¹⁰ თავის მხრივ, ACTH-ი თირკმელზედა ჯირკვლებში აქტივებს სტეროიდულ ჰორმონებს გლუკო და მინერალოკორტიკოიდების სინთეზს, რომელთაგან მნიშვნელოვანია ადაპტური ჰორმონი კორტიზოლის კონცენტრაციის ცვლილებები, განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში. ეს კი ორგანიზმში ნახშირწყლოვანი (გლუკოზის) და ლიპიდური (ქოლესტერინის) ცვლის მაჩვენებლების

105 **Безверхая Т.П.** – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. – Киев. здоровья. 1985. с.5-67. **Makara C.B., Kvetransky R, Jezora D. et.al.** – Plasma catecholamines do not participate in pituitary – adrenal activation by immobilization stress in rats with transection of nerve fibers to the median eminence// *Edocrinology*. 1986, v.119, №4, p.1757-1762.

106 **Nemeroff C.B.** – The corticotropin – releasing factor (CRF) hypothesis of depression: new findings and new directions. *Mol. Psychiatry*: 1996, v.1, 336-342.

107 **Bartanusz V, Jazova D. Bertizi L.T. Tiders F.J.H. Aubry J.M, Kiss J.Z.** – stress – induced increase in vasopressin and corticotropin – releasing factor expression in hypophysiotropic paraventricular neurons. *Endocrinology*. 1993, v.132, p.895-902.

108 **Ю.Шутей, Т.Бендиль, А.Кафрицэ и друг** -Шок. Терминология и классификация шоковая клетка. Патофизиология и лечение, / – Бухарест. 1981. с.515. **Безверхая Т.П.** – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. – Киев. здоровья. 1985. с.5-67.

109 **Дильман В.М.** – Большие биологические часы, Москва. Знание. 1986. с.256.

110 **Vigas M.** – Neuroendocrine responses to psychosocial and somatic stress in rat and humans//stress: Neurohumoral and humoral mechanisms/ Ed., G.R. Van Loon, R. Kvernansky, R.McCarty, J.Axelrod. – New-York, Cordon and breach science Publishers, 1989, p.15-28.

მეტაბოლურ ცვლილებებს იწვევს. კორტიზოლსა და ACTH-ის შორის არსებობს უკუკავშირი (feed-back), რაც პირველი მათგანის სიჭარბისას იწვევს მეორეს სინთეზის დაქვეითებას (59, 66)¹¹¹. კორტიზოლი – კორტიკოსტერონი გამომუშავდება თირკმელზედა ჯირკვლების ქერქის კონოვანი ზონის მიერ, ის წარმოადგენს ყველაზე აქტიურ გლუკოკორტიკოიდს. პერიფერიულ სისხლში იგი ძირითადად α – გლობულინთან – ტრანსკორტინთან შეკავშირებული ფორმით ცირკულირებს. ორგანიზმზე კორტიზოლის ზემოქმედება ხასიათდება დიდი მრავალმხრივობით. იგი მონაწილეობს ცილოვანი, ცხიმოვანი და ნახშირწყლოვანი ცვლის რეგულაციაში. ზოგიერთ ქსოვილში (ლიმფოციტურში, კუნთოვანში, შემადგენელში) მეტაბოლური ზემოქმედების შედეგად იგი თრგუნავს (აინჰიბირებს) ცილის სინთეზს, ამავე დროს კორტიზოლი ხელს უწყობს ცილის სინთეზს ღვიძლში (ანაბოლური ეფექტი). მისი ზემოქმედებით მცირდება კუნთებში გლიკოგენის სინთეზი და ქსოვილებში გლუკოზის დაჟანგვა, რაც ჰიპერგლიკემიის ერთ – ერთ მიზეზს წარმოადგენს. სისხლში გლუკოზის დონის მომატებას ლიპოლიზიც ხელს უწყობს, რაც კორტიზოლის ზეგავლენით ძლიერდება (75)¹¹². კორტიზოლი იწვევს ცხიმების თავისებურ გადაწვლას კანქვეშა უჯრედანაში, მისი მოქმედებით იზრდება საერთო ლიპიდების შემცველობა ღვიძლში და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების მობილიზაცია. ჰიპერგლიკემია იწვევს ინსულინის გაძლიერებულ სეკრეციას, ინსულინი კი თავის მხრივ აკავებს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების კორტიზოლით გამოწვეულ მობილიზაციას. ინსულინის გავლენით ცხიმის წარმოშობა ძლიერდება და გადაფარავს ნახშირწყლებიდან კორტიზოლით გამოწვეულ ცხიმების სინთეზის დაქვეითებას. თავის ტვინის უმაღლეს ფუნქციებზე ქრონიკულად ან მწვავედ ზეძლიერი, უჩვეულო გამღიზიანებლის ზემოქმედებით, ჰიპერკორტიზოლიზმის შემთხვევაში შესაძლებელია კუნთებში დაქვეითდეს ამინომჟავების ჩართვა, რასაც შემკუმშავი ელემენტები მიყავს დესტრუქციამდე, ნეკროზამდე, უჯრედოვანი ინფილტრაციამდე, ფაგოციტოზისკენ და კუნთებში გლუკოზის დაგროვების შემცირებისკენ (10)¹¹³. კორტიზოლის მოჭარბებამ შესაძლებელია გამოიწვიოს სხვადასხვა ფერმენტული სისტემის გააქტიურებაც, რაც ავლენს თავისუფალი მარილმჟავასა და მჟავიანობის მნიშვნელოვან მომატებას. კუჭის წვენში პეპსინის პროდუქციის ნაკლებობა და კუჭის ლორწოს გათხელება საბოლოოდ ავლენს კუჭის წყლულის განვითარებას (31, 99)¹¹⁴, ეს ცვლილებები არის ნორ-

111 **Безверхая Т.П.** – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. – Киев. здоровья. 1985. с.5-67. **Морозова М.С. Макаровская Е.Е.** – АКТГ. Механизм его действия и выделения в норме и при болезни Иценко-Кушинга// В кн.: Современные вопросы эндокринологии// Под ред. Н.А. Юдаева, – Москва. Медицина. 1975. вып. 5, с.29-44.

112 **ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ. ჩიხლაძე მ.** – კორტიზოლის მაჩვენებლის ცვლილებები განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები X. საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა სერია. თბ. 2011. გვ. 58-66.

113 **Базарнова М.А.** – Гормоны в норме и при патологии // в кн.: Руководство по клинической лабораторной диагностике. Часть 3, Клиническая биохимия/Под. ред.: М.А. Базарновой и В. Т. Морозовой, Киев, Здоровья, 1986. с.5-64.

114 **Горизонтов П.Д., Белоусова О.И., Федотова М.И.** Стресс и система крови, Москва. Медицина. 1983. с.20. **Куземкин В.А.** – О полифункциональном анализе адаптивных реакций при моделировании умственного напряжения, Физиология человека, 1982. т.8, №1, с.100-103.

მოსტრესიდან პათოლოგიაში გარდამავალი მდგომარეობა, რაც გამოიხატება ფსიქიკის ფუნქციების ჰომეოსტაზის შესუსტებაში და განიხილება ფსიქო-ბიოლოგიური მდგომარეობით, ბიოლოგიურად უარყოფითი ჰიპერსტრესი (12)¹¹⁵. კორტიზოლი მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემით (ცნს) სენსორული იმპულსების აღქმასა და ინტეგრაციაში, ჰორმონი მნიშვნელოვნად აქვეითებს ტვინის ელექტრული აგზნების ზღურბლს, რაც ზრდის ეპილეფსიური გულყრებით განვითარების ტენდენციას ამ დაავადებისადმი მიდრეკილ პირებში. კორტიკოსტეროიდების ნორმა უზრუნველყოფს გულ-სისხლძარღვთა ფუნქციის შენარჩუნებასა და დაცვას გარემოს არახელსაყრელი პირობებისაგან, ჰორმონი აუმჯობესებს სისხლის ნორმალურ ცირკულაციას შოკის დროს, ზრდის სისხლში ცირკულირებადი ლიპიდების დონეს. სტრესირების დროს კორტიზოლის, როგორც სტრეს – ჰორმონის პროცენტული მაჩვენებლის ეტაპობრივმა მომატებამ, გამოიწვია გლუკოზისა და ქოლესტერინის შემცველობის ცვლილებებიც, რაც ფსიქოგენური სტრესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი განიხილება ფსიქო-ბიოლოგიური მდგომარეობით, ბიოლოგიურად დადებით ფსიქიკურ სტრესად, რომელიც ადაპტურ როლს თამაშობს, ამაღლებს და აძლიერებს მდგრადობას სტრესოგენური გამღიზიანებლებისადმი და უზრუნველყოფს მუდმივად ცვალებად გარემოში ფსიქიკური ფუნქციების ოპტიმალურ მდგომარეობას, ე.ი. ექსპერიმენტში ცხოველების მიერ გამოვლენილი ქცევით აქტებს შორის თანაფარდობის ხასიათი და ბიოქიმიური (კორტიზოლის, გლუკოზისა და ქოლესტერინის) პარამეტრების მეტაბოლური ცვლილებები გამოხატავს თვითრეგულაციური მექანიზმების ჩართვას, რაც განაპირობებს ორგანიზმის მდგრადობის დონის აწევას – ჯანმრთელობისთვის სასიფათო სტრესოგენური ფაქტორებისადმი.

გამოკვლევის შემდგომ ეტაპზე – ტონზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებასა და განმტკიცების ფონზე ვირთაგვებს თავდაცვითი რეაქცია უფრო სწრაფად გამოუმუშავდათ, დასჭირდათ დაახლოებით 60-80 შეუღლება, სადაც 3-4 დღის განმავლობაში ვამონმებდით უკვე გამომუშავებული აქტიური განრიდების რეაქციის სიმტკიცეს. ამ ვითარებაში ორივე ჯგუფის ვირთაგვებმა, შედარებით ნაკლები რაოდენობით მიიღეს ელექტრო გამღიზიანებელი (დენით დასჯა 6-ჯერ), სადაც ცხოველებმა გამოავლინეს გაავტომატებული ადექვატური თავდაცვითი ქცევა, ე.ი. ისინი უკვე საექსპერიმენტო გარემოსთან ადაპტირებული ცხოველები არიან: ცნობილია, რომ ამგვარი ვითარება ნაკლები ემოციური დაძაბულობით ხასიათდება, რაც ქცევით აქტებსა და ბიოქიმიურ მაჩვენებლებს შორის ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებებით გამოვლინდა. კერძოდ, საექსპერიმენტო ცხოველებში გაიზარდა „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი ($P=0,005$), რომელიც საშუალო სიძლიერის კონფლიქტურ სიტუაციაში გამოვლინდება, ხოლო შემცირდა ვერტიკალური დგომების ($P=0,009$) ხანგრძლივობა, რაც ძლიერი ემოციური დაძაბულობის გამოხატველია და სიგნალთაშორის გადასვლების ($P=0,009$) რაოდენობა. ექსპერიმენტში „გრუმინგის“ მაჩვენებელი თავს იჩენს მას მერე, როცა ვერტიკალური დგომები კლებულობს, ცხოველებში ამგვარი ვითარება ნაკლებ ემოციურ დაძაბულობა-

115 ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ.ეროვნ.აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.27.

ზე მიაწინებს, რაზეც მიუთითებს სისხლის პლაზმაში ბიოქიმიური პარამეტრების ცვლილებები, კერძოდ, პირველ ბგერით გამლიზიანებელზე აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – გამტკიცების პერიოდთან შედარებისას, კორტიზოლის ($33,5 \pm 3,5$; $P=0,001$) კონცენტრაციის მაჩვენებელი სარწმუნოდ შემცირდა, ინტაქტურ ცხოველებთან ($28,0 \pm 1,9$) შედარებისას კი, კორტიზოლი, როგორც სტრესს ჰორმონის ($P=0,001$) და გლუკოზის ($P=0,001$) კონცენტრაცია სარწმუნოდ იყო მომატებული, ქოლესტერინის ($1,6 \pm 0,4$; $P<0,09$) მაჩვენებელმა კი სარწმუნოდ ცვლილება არ მოგვცა, თითქმის გაუთანაბრდა ინტაქტური ცხოველების კონცენტრაციის მაჩვენებელს. საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომების მაჩვენებლები პირველ ეტაპთან შედარებით სარწმუნოდაა დაკლებული, „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი კი უცვლელია, ხოლო კორტიზოლის კონცენტრაციის მაჩვენებელი ($33,1 \pm 3$; $P=0,007$) სარწმუნოდ იყო შემცირებული, გლუკოზის ($3,7 \pm 0,4$) და ქოლესტერინის ($1,4 \pm 0,2$) მაჩვენებლები კი დაუბრუნდა ნორმას. გაავტომატებული ადექვატური თავდაცვითი ქცევის დროს გამოვლენილი ქცევითი მაჩვენებლების „გრუმინგის“ ხანგრძლივობის ზრდამ და ვერტიკალური დგომების შემცირებამ, კორტიზოლის კონცენტრაციის ცვლილებამ საცდელ და საკონტროლო ვირთაგვებში, გამოიწვია გლუკოზისა და ქოლესტერინის ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებები, რამაც ორგანიზმში დაარღვია ჰომეოსტაზის პარამეტრები, მაგრამ ასეთი დარღვევების საპასუხოდ, ჰომეოსტაზის აღსადგენად რამოდენიმე ფიზიოლოგიური მექანიზმია დაკავებული, რასაც „ალოსტაზი“ (14, 18)¹¹⁶ ეწოდება. დარღვევის შემდგომ ბიოლოგიური ფუნქციები უბრუნდება „ნორმას“ ანუ ფონურს. ეს პროცესი ფსიქო-ბიოლოგიური მდგომარეობით ბიოლოგიურად დადებითი ფსიქოგენური სტრესია, იგი ხელს უწყობს ადაპტაციას ცხოვრების პირობებთან, იმ ადაპტაციის მექანიზმია, რომელიც უბრუნველყოფს ფსიქიკის ჰომეოსტაზს. სტრესს შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი გავლენა ინდივიდზე. სპეციფიკური სტრესორები (მაგ. ჭარბი სიცივე, ვარჯიში და სხვა) ააქტიურებენ საერთო ნევროლოგიურ და ფიზიოლოგიურ ქსელს ტვინის აქტივაციის პატერნების ჩათვლით (19, 20)¹¹⁷, იმუნორეაქტიულობას (21)¹¹⁸, რეცეპტორულ ექსპრესიას (22)¹¹⁹ და ნეიროტრანსმიტერულ სეკრეციას (21)¹²⁰. სტრესული პასუხის რეალიზაციაში ჩართულია სიმპატიკ – ადრენერგული სისტემა,

116 **McEwen B.S. Wingfield J.C.**, – *The concept of allostasis in biology and biomedicine. Horm. Behav.* 2003. 43. P. 2-15. **Dhabhar F.S. Satoskar A.R. Bluethmann H. David J.R.**- *McEwen B.S. – Stress – induced enhancement of skin immune function: A role for Y interferon. Proc. Natl. Acad. Sci.* 2000, USA 97, 2846-2851.

117 **Dayas C.Y. Buller K.M. Crane K.W, Xu Y. Day T.A.** – *Stressor categorization: acute physical and psychological stressors elicit distinctive recruitment patterns in the amygdala and in medullary noradrenergic cell groups, Eur. J. Neurosci*, 14, 2001 1143-1152. **Reyes T.M. Walker J.R. Decino C. Hogenesch J.B, Sawchenko P.E.** – *Categorically distinct acute stressors elicit dissimilar transcriptional profiles in the paraventricular nucleus of the hypothalamus J.Neurosci.* 23, 2003, 5607-5616.

118 **Pacak K. Palkovits M.** – *Stressor specificity of the central neuroendocrine responses: implicitions for stressrelated disorders.* 2001. *Endocr. Rev.* 22(4), 502-548.

119 **Ghi P. Ferretti C. Blengio M.** – *Effects of different types of stress on histamine – H3 receptors in the rat cortex, Brain Res.* 1995, 690, 104-107.

120 **Pacak K. Palkovits M.** – *Stressor specificity of the central neuroendocrine responses: implicitions for stressrelated disorders.* 2001. *Endocr. Rev.* 22(4), 502-548.

რომლის აქტივაცია იწვევს ვეგეტატიური ნერვული სისტემის ადრენერგული ბოჭკოებიდან (ნერვული დაბოლოებებიდან) და თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან შრიდან ცენტრალურ სტრუქტურაში და სისხლში კატეხოლამინების გამოყოფას (5, 26, 100)¹²¹. კატეხოლამინების სეკრეციას არეგულირებენ ცენტრალური ნერვული სისტემის უმაღლესი განყოფილებები, რომლებიც მდებარეობს თავის ტვინის ქერქში, მეოთხე პარაკუჭის, ჰიპოთალამუსის, რეტიკულური ფორმაციის უბნებში. კატეხოლამინები აღნიშნავენ რეაქციული სინდრომის აღმოცენების დასაწყისს, ხოლო ადრენალინი ითვლება ავარიულ ჰორმონად, იგი კრიტიკულ სიტუაციაში ინარჩუნებს ცირკულაციურ ჰომეოსტაზს (101)¹²². აღსანიშნავია, რომ ნორადრენალინი ჩართულია თავის ტვინის თვითრეგულაციის პროცესებში, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სხვადასხვა კოგნიტიური და ქცევითი რეაქციები, თავის ტვინის ნორადრენერგული სისტემა აქტივირდება სტრესოგენური გამლიზიანებლების ზემოქმედებისას, ყურადღების კონცენტრირებისას, მოძრაობითი აქტიურობის გაძლიერებისას, ერთი მოქმედებიდან მეორე მოქმედებაზე გადასვლისას და სხვა (42)¹²³. ეფექტები, რომლებიც სისხლში კორტიზოლისა და ადრენალინის სეკრეციას იწვევს ორგანიზმს ამზადებს ბრძოლისთვის და წარმოადგენს სტრესული პასუხის სიმპატიკო-ადრენერგული კომპონენტის ძირითად მედიატორებს, როგორც ორგანიზმის დამცველი ძალების სასწრაფო მობილიზაციის მთავარ ფაქტორს – დარღვეული ნონასწორობის აღსადგენად. ე.ი. სტრესის დროს, ქცევით აქტებს შორის ურთიერთთანაფარდობითი ცვლილებები და ორგანიზმში ჰორმონებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა აღნიშნავს სტრესული მდგომარეობის რეაქციული სინდრომის დასაწყისს, რომელიც მართავს ყველა ცირკულაციურ და მეტაბოლურ პროცესებს, რასაც საბოლოოდ მივყავართ გარემოს შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციასთან (102)¹²⁴. ვეგეტატიური ნერვული სისტემის სიმპატიკური ბოჭკოების გააქტიურება იწვევს ადრენალინის გამოყოფას, ადრენალინი თავის მხრივ ასტიმულირებს გლიკოგენოლიზს ღვიძლში და გლუკოზის გადასვლას სისხლში. გლუკოზა მარტივი ნახშირწყალია ($C_6H_{12}O_6$), მიეკუთვნება მონოსაქარიდების ჯგუფს. ყველა მონოსაქარიდი უფერო, ნყალში კარგად ხსნადი, კრისტალური ტკბილი გემოს მქონე ნივთიერებაა. ნახშირწყლები საკვების უმთავრესი ენერგეტიკული კომპონენტია. ენერგეტიკული ცვლის გარდა ნახშირწყლები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მეტაბოლიზმის ნებისმიერ სფეროში, ის აუცილებელია ორგანიზმის ცხოველმოქმედებისთვის, განსაკუთრებით ნერვული სისტემისთვის, რომელიც სისხლში არსებული გლუ-

121 **Меерсон Ф.З.** – *Адаптация, стресс и профилактика* – Москва. Наука. 1981. с.278.

Mason J.W. *A review of psychoendocrine research on the sympathetic – adrenal medullary. system. psychosom. Med.* 1968, v.30, p.631-653. **Меерсон Ф.З.** – *Физиология адаптационных процессов*, М., 1986, с.492-520.

122 **Теплов С.И.** – *Гормональные факторы регуляции*// В кн.: *Физиология кровообращения. Регуляция кровообращения.* Ленинград. Наука. 1986. с.94-111.

123 **Schulz C., Lehnert H.** – *Activation of noradrenergic neurons in the locus coeruleus by corticotropin – releasing factor, a microdialysis study. Neuroendocrinology*, 1996, v.63, p.454-458.

124 **ახალაძე ლ., ხანანაშვილი მ., ჩიხლაძე მ.,** – ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო პერიოდული ჟურნალი „განათლება“. #2. თბილისი – სოხუმი. 2010. გვ. 81_88.

კოზის 2/3-ს იყენებს. ორგანიზმში ნახშირწყლების ცვლის ძირითადი ეტაპებია: ჰიდროლიზი, შენოვა, გლიკოგენის სინთეზი, გლუკონეოგენეზი, ნახშირწყალ-შემცველი ნივთიერებების სინთეზი (გლუკორონიდები, გლიკოზამინგლიკანები, გლიკოპროტეინები და სხვ.), გლუკოზა მონაწილეობას იღებს ენერგეტიკული ცვლის ანაერობულ და აერობულ პროცესებში.

მეტაბოლიზმი შეიძლება დაირღვეს ნებისმიერ ამ ეტაპებიდან.

ნახშირწყლების ცვლის დარღვევისა და ჰიპერგლიკემიის ძირითადი მიზეზი მისი ნერვულ – ჰუმორული რეგულაციის მოშლაა. ნერვული სისტემის გავლენას ნახშირწყლების ცვლაზე ადასტურებს ისიც, რომ ჰიპერგლიკემია თან სდევს ჰიპოთალამუსის, რუხი ბირთვის და ზოლიანი სხეულის გაღიზიანებას, ფსიქიკურ დაძაბულობას, ემოციებს („ემოციური ჰიპერგლიკემია“), რომლის დროსაც თავის ტვინის ქერქის აგზნება ირადირდება ქერქქვეშა წარმონაქმნებისკენ. ცენტრალური წარმოშობის ჰიპერგლიკემიის ნებისმიერ შემთხვევაში იმპულსები სიმპატიკური ბოჭკოების საშუალებით გადაეცემა თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვან ნივთიერებას, რაც იწვევს ადრენალინის გამოყოფას (39, 41, 43)¹²⁵. ადრენალინი კი ასტიმულირებს გლიკოგენოლიზს ღვიძლში და გლუკოზის გადასვლას სისხლში მწვავე ნერვული სტრესის დროს. სტრესის დროს სისხლში გლუკოზის დონე დამოკიდებულია სტრესის ხასიათზე და ინტენსიურობაზე (83)¹²⁶. ნახშირწყლების ცვლის ჰორმონული რეგულაციის დარღვევა ვითარდება არამარტო ენდოკრინული ჯირკვლების ცენტრალური რეგულაციის მოშლისას, არამედ თვით ჯირკვლების პათოლოგიის ან ჰორმონების მოქმედების პერიფერიული მექანიზმების ცვლილებების დროსაც. ნახშირწყლების ცვლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პანკრეასის ჰორმონებს – ინსულინსა და გლუკაგონს. ინსულინი ხელს უწყობს ნახშირწყლების ფიქსაციას, წვას, ათვისებას და ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას. მისი მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია გლუკოზის ფოსფორილებაში მონაწილე ფერმენტების (ჰექსო და გლუკოკინაზების) და გლიკოლიზის პროცესში მონაწილე სხვა ნაერთების აქტივაციასთან. პარასიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურება ამუხრუჭებს ინსულინის სეკრეციას (41)¹²⁷. სწორედ ამ ჰორმონის დეფიციტი იწვევს ჰიპერგლიკემიას, რაც დაკავშირებულია გლუკოზის მიმართ უჯრედთა განვლადობის შემცირებასთან, გლუკოზის ფოსფორირების ჰექსოკინაზური რეაქციის შენელებასთან, გლუკონეოგენეზის პროცესის გაძლიერებასთან. ინსულინის სეკრეციას სისხლში ასტიმულირებს გლუკოზა, ქოლინერგული ნერვები, ზოგიერთი ამინომჟავა, სულფონილმარდოვანას პრეპარატები, ACTH-ი. ორგანიზმში ფიზიოლოგიური რეაქციები (პასუხები) სტრესის გამღიზიანებელზე (სტიმულატორზე), რომელიც მოიცავს სისხლის წნევის მომატებას, გულის რიტმის გახშირებას, სხეულის ტემპერატურის მატებას და ACTH-ის კონცენტრაციის ზრდას, ურთიერთობაშია სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურებასთან, გლუკოზისა და ქოლესტერინის მეტაბოლურ ცვლილებებთან. სტრესის დროს

125 *Кулагин В.К. – Патологическая физиология травмы и шока – Л., Медицина. 1978. с.296. Папун Л.Е. – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232. Розен В.Б. Основы эндокринологии, Москва. Высшая школа, 1980. с.133.*

126 *Armario A. Marti J, Gil M. – The serum glucose response to acute stress is sensitive to the intensity of the stressor and to habituation. J. Psychoneuroendocrinology, 1990, 15(5-6):341-7.*

127 *Папун Л.Е. – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232.*

წარმოქმნილი არასპეციფიური დამცავ – შემგუებლობითი რეაქციები განაპირობებს საადაპტაციო მექანიზმების მობილიზაციას, ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებას სტრესორის მიმართ, რაც მიანიშნებს ორგანიზმის დამცველობით – თვითმარეგულირებელი მექანიზმების მდგრადობის გაძლიერებაზე და განიხილება ბიოლოგიურად დადებითი ადაპტაციური ხასიათის რეაქცია, რომელიც ზრდის ორგანიზმის მდგრადობას სხვადასხვა პათოგენური ფაქტორების მიმართ. მაგრამ, თუ სტრესორის მოქმედება არ შეწყდა, იწყება სტრესული რეაქციის „გამოფიტვის“ (განლევის) სტადია და ადგილი აქვს ორგანიზმის საადაპტაციო რეზერვების ამონურვას, სპეციფიკური და არასპეციფიკური რეზისტენტობის დაქვეითებას, ორგანოების დეგენერაციას და ატროფიას, ამ სტადიას მეორად შოკს უწოდებენ და ამ დროს ფსიქო-ბიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით, ვითარდება ბიოლოგიურად უარყოფითი ჰიპერსტრესი, რომელიც ნორმოსტრესიდან პათოლოგიაში გარდამავალი მდგომარეობაა და გამოიხატება ფსიქიკის ფუნქციების ჰომეოსტაზის დარღვევით. სტრესის დროს ორგანიზმის საადაპტაციო რეზერვების ამონურვა, სპეციფიკური და არასპეციფიკური რეზისტენტობის დაქვეითება იწვევს მრავალი დაავადების და პათოლოგიური პროცესების განვითარებას. სტრესი ხელს უწყობს ნეკროზული და ჰიპერტონული დაავადებების წარმოშობას ან მიმდინარეობის გაუარესებას, აგრეთვე ათეროსკლეროზს, გულის სტრუქტურისა და ფუნქციის დარღვევას (29, 30, 31).¹²⁸

სტრესირების მესამე ეტაპზე – ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირებისას სწორი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი (30-45%) არ აღემატებოდა, რაც შენარჩუნებული იყო 14 დღის განმავლობაში. ვირთაგვები მთელი ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ისჯებოდა ელექტრო გამლიზიანებლით (დენით დასჯა 25-ჯერ), ამ ეტაპზე ვირთაგვებმა 14 დღის განმავლობაში აქტიური განრიდების რეაქციის ფორმირება ვერ მოახერხეს, რადგან ცხოველის თავის ტვინი ფუნქციონირებს „ინფორმაციული ტრიადის“ ფაქტორების არახელსაყრელი შერწყმის პირობებში. კერძოდ, ვირთაგვები ხანგრძლივი დროის მანძილზე აღმოჩნდნენ მაღალი მოტივაციის, დროისა და პრაგმატული ინფორმაციის დეფიციტის პირობებში, რაც მათთვის რთულ ამოცანას და ძლიერ სტრესოგენურ ფაქტორს წარმოადგენდა. ტესტირების ამ ეტაპზე ვერტიკალური დგომების მაჩვენებელი (ორივე ჯგუფში) კვლავ მნიშვნელოვნად აღემატებოდა ყველა სხვა ქცევით მაჩვენებლებს (განსაკუთრებით კარგად არის გამოვლენილი საკონტროლო ჯგუფში). სიგნალთაშორის გადასვლების ($3,8 \pm 1,4$; $P=0,003$) რაოდენობა საცდელ ვირთაგვებში სარწმუნოდ იყო გაზრდილი, განმტკიცებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებისას. ცნობილია, რომ აღნიშნული ქცევა არის თვითრეგულაციური ქცევის გამოხატულება, რომელიც არ არის დაკავშირებული პირობით სიგნალთან. რაც

128 *Van Der Does FE, De Neeling JN, Snoek FJ, Kostense PJ, Grootenhuis PA, Bouter LM, Heine RJ: – Symptoms and Well – being in relation to glycemie control in type II diabetes, Diabetes Care, 1996, 19, 204-210. Kemmer FW, Bisping R, Steingruber HJ, Baar H, Hardtmann F., Schlayhecke R., Berger M: – Psychological stress and metabolic control in patients with type I diabetes mellitus. N. Engl J. Med., 1986, 314, 1078-1084.*

Горизонтов П.Д., Белоусова О.И., Федотова М.И. – Стресс и система крови, Москва. Медицина. 1983. с.20.

შეეხება „გრუმინგი,“ „ჰორიზონტალურ დგომები“ და თავის ანევატა რაოდენობა, მათი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გაავტომატებული თავდაცვითი რეაქციების ანალოგიურ მაჩვენებლებს. მაშასადამე, ორი თავდაცვითი სიგნალის ერთ ცდაში გამოყენებისას 14 დღის განმავლობაში საცდელი ცხოველების ქცევაში კვლავ დომინირებდა – ვერტიკალური დგომები. განმტკიცებული თავდაცვითი რეაქციების პერიოდთან შედარებისას სისხლის პლაზმაში სარნმუნოდ იყო მომატებული კორტიზოლის ($43,5 \pm 9,2$; $P=0,0001$) კონცენტრაციის მაჩვენებელი, ხოლო გლუკოზისა ($3,8 \pm 0,4$; $P<0,01$) და ქოლესტერინის ($1,7 \pm 0,2$; $P<0,02$) კონცენტრაციის მაჩვენებელმა სარნმუნოდ მონაცემი არ მოგვცა. ინტაქტურ ცხოველებთან შედარებისას კი კორტიზოლის ($P=0,0001$), გლუკოზისა ($P=0,003$) და ქოლესტერინის ($P=0,002$) კონცენტრაციის მაჩვენებლები სარნმუნოდ იყო გაზრდილი. ცნობილია, რომ თავის ტვინის ნერვული რეგულაციის საერთო სისტემა (42,47)¹²⁹ უზრუნველყოფს სტრესოგენურ სიტუაციაში ორგანიზმის ადაპტაციას და წარმოადგენს ორგანიზმის მდგრადობის ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. აღნიშნული მექანიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თვითრეგულაციური მექანიზმი, რომელიც მიმართულია ორგანიზმის მდგრადობის ასამაღლებლად ავერსიული ზემოქმედების საპასუხოდ. მიგვაჩნია, რომ ფსიქოგენური სტრესის მოცემულ ეტაპზე ვირთაგვების მიერ გამოვლენილი ქცევითი მაჩვენებლები და ბიოქიმიური პარამეტრების მეტაბოლური ცვლილებები -- თვითმარეგულირებელი ბუნებისაა, რომელიც ხელს უწყობს გარემოს შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციას და მიმართულია სტრესოგენური ზემოქმედების მიმართ ორგანიზმის მდგრადობის გაძლიერებისკენ. “ინფორმაციული ტრიადის” ფაქტორთა (2, 52)¹³⁰ არახელსაყრელი შერწყმით განვითარებულ ფსიქოგენური სტრესის პირობებში აღწერილი და შესწავლილია თავის ტვინის თვითმარეგულირებელი მექანიზმების მოქმედების სხვადასხვაგვარი გამოვლინებანი (53, 104)¹³¹, ცხოველები (ძაღვები, კატები, ვირთაგვები) გადასამუშავებელი ინფორმაციის დიდი მოცულობის და დროის ქრონიკული დეფიციტის პირობებში, თავის ტვინის ანალიზურ-სინთეზური მოქმედების გართულებისას, თვითონ არეგულირებენ საერთო საექსპერიმენტო დროს. მაგ. სინჯთაშორის ინტერვალის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში ცხოველები ზრდიან საკვებურთან მისვლის ან სასტარტო ადგილზე დაბრუნების დროს ან თვითონ იცილებენ დროის დეფიციტს, ასეთი ქცევა მნიშვნელოვნად ზრდის პათოლოგიური რეაქციების ფორმირების დროს, ხოლო რიგ შემთხვევაში კი სრულიად აღკვეთდა უმაღლესი

129 **Schulz C., Lehnert H.** – Activation of noradrenergic neurons in the locus coeruleus by corticotropin – releasing factor, a microdialysis study. *Neuroendocrinology*, 1996, v.63, p.454-458. **Blum K. Braverman E.** – Holder J. Lubar J. et al. – Reward deficiency syndrome: a biogenetic model for the diagnosis and treatment of impulsive, addictive and compulsive behaviors. *Jour. Psychoactive Drugs*. 2000. v. 32. p.1-112.

130 **Хананавили М. М.** – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. *Вестник Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина*. 1998. с.13-16. **Хананавили М.М.** – Теоретические предпосылки возникновения и развития проблемы стресса. *Ред. “Журн. Булл. экп. биол. и мед.~ РАМН, М.: 1988. с.78*

131 **Гогоберидзе М. М.** – Особенности поведения крыс в условиях возрастающей нагрузки на функцию краткосрочной памяти. *Материалы 10-го симпозиума <<экспериментальные и клинические неврозы.>>. Берлин. 1988. с. 57.* **Хананавили М. М.** – Патология высшей нервной деятельности (поведения) *М. Медицина 1983. с. 288.*

ნერვული მოქმედების პათოლოგიის განვითარებას (54)¹³² იმ შემთხვევაში თუ დროის ფაქტორი მკაცრად არის განსაზღვრული ექსპერიმენტატორის მიერ, მაშინ ცხოველები რეაგირებენ არა ყველა პირობით გამლიზიანებელზე, არამედ მხოლოდ ნაწილზე. მართალია ამ დროს ცხოველებს საკვების რაოდენობა უმცირდებოდათ, მაგრამ ამავე დროს შემცირებული იყო დატვირთვაც თავის ტვინზეც. „ინფორმაციული ტრიადის“ ფაქტორთა არახელსაყრელი შერწყმის შედეგად ცხოველებში იზრდებოდა სიგნალთმორის რეაქციების რიცხვი, ანუ ისინი ჩვეულებრივზე ხშირად გადაადგილდებიან სიგნალთმორის ინტერვალებში: ასეთი ქცევის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა იმ პერიოდის ხანგრძლივობა, რომელიც წინ უსწრებს პათოლოგიური რეაქციების ჩამოყალიბებას, ზოგჯერ პათოლოგიაც კი აღარ ვითარდება (12)¹³³. კლინდება დანმენდა – დასუფთავების რეაქციები (55)¹³⁴.

პირობითი სიგნალების სტოქასტური მიწოდების შემთხვევაში ცხოველები ცვლიან ქცევის სტრატეგიას, კერძოდ, პირობით გამლიზიანებელზე რეაგირებენ ერთის გამოტოვებით ან მოძრაობენ მხოლოდ ერთი საკვებურისაკენ. რამდენადაც სტერეოტიპულ ქცევას არ ახასიათებს ისეთი ემოციური დაძაბულობა, როგორც სიგნალების შემთხვევითი ტესტირებისას ვითარდება, იგი განიხილება, როგორც ემოციური დაძაბულობის განმუხტვის საშუალება. ემოციური დაძაბულობის შესუსტებას უნდა ემსახურებოდეს ისეთი ქმედება, როგორიცაა დიფუზური მოძრაობითი აქტიურობის გაძლიერება, სიგნალთმორის გადასვლების გახშირება (56)¹³⁵ და ბიოქიმიური მაჩვენებლების ეტაპობრივი ცვლილებები (81)¹³⁶ სხვადასხვა ტიპის სტრესოგენური გამლიზიანებლებით გამოწვეულ ფსიქოგენური სტრესის პირობებში. აღწერილი ქცევა და მეტაბოლური ცვლილებები განიმარტება, როგორც ბიოლოგიურად დადებითი სტრესის გამოვლინება და ასახავს თავის ტვინის თვითრეგულაციურ მოქმედებას. ხანანაშვილის მიხედვით, ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების გაძლიერება უნდა იწყებოდეს დაავადების წინა სტადიაზე, როდესაც ეს მექანიზმები კარგად არის გამოხატული, მათ მიზანდასახულმა გაძლიერებამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს თავის ტვინის და საერთოდ სტრესოგენურ ფაქტორებისადმი ორგანიზმის რეზისტენტობის ამალღებაში (12,34)¹³⁷.

სტრესოგენურ ზემოქმედებაზე რეაგირებს სეროტონინერგული სისტემაც,

132 *Хананашвили М. М., Чхубианишвили Л. Г., Мещеряков В. – Предневротические состояния и информационные неврозы при сложной интегративной деятельности мозга, изд. АН, ГССР, 1976, №1, с.1-*

133 *ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.47-63*

134 *Гогоберидзе М. М. – Особенности формирования краткосрочной памяти у крыс при разных интервалах времени между пробами. Журн. Высш. нерв. деят. 1989. т.39 №3. с. 393-498.*

135 *ლოლობერიძე მ. – ქცევის თვითრეგულაციის თავისებურებანი და ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები უმაღლესი ნერვული მოქმედების ინფორმაციული პათოლოგიის სხვადასხვა საფეხურზე თეთრ ვირთაგვებში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1994.*

136 *ახალაძე ლ. – ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013. გვ. 63-71*

137 *ხანანაშვილი მ. – ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.30-46. Хананашвили М. М. – В. кн. Патопфизиология. Москва. Изд-во Томского университета, 2001. с.683-704.*

რომელიც აქტიურად ერთვება თავის ტვინის მრავალ ფუნქციაში, მათ შორის ემოციის პროცესებში. ცნობილია, რომ ვირთაგვების თავის ტვინის სხვადასხვა სტრუქტურაში სეროტონინის კონცენტრაციის მომატება აღინიშნება ფსიქოსოციალური კონფლიქტისა და ქცევითი რეაქციების გაძლიერების დროს (45, 46)¹³⁸. სტრესოგენური ზემოქმედებისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დოფამინერგული პასუხიც. დოფამინი წარმოადგენს ნეირომედიატორს, რომელიც ჩართულია დადებითი ემოციების რეალიზაციაში (47)¹³⁹. სინაფსში დოფამინის დიდი რაოდენობით გამოთავისუფლება იწვევს დოფამინერგული რეცეპტორების გააქტივებას, რაც სიამოვნების შეგრძნებას ან შიშის რეაქციის დათრგუნვას განაპირობებს. დადებითი ემოციის რეგულაციის მექანიზმის დარღვევა დაკავშირებულია დოფამინის ნაკლებობასთან და დოფამინერგული რეცეპტორების აქტივობის დაქვეითებასთან. თავის ტვინში დოფამინის შემცველობა შეიძლება ასახავდეს ორგანიზმის რეაქციას სტრესოგენურ ზემოქმედებაზე. ე.ი. თავის ტვინის ნეიროქიმიურ სისტემებს შორის არსებობს დინამიური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ჩართულია ნეირონული რეგულაციის საერთო სისტემაში. სწორედ, ზემოთ აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სტრესოგენურ სიტუაციაში ორგანიზმის ადაპტაციას და წარმოადგენს ორგანიზმის მდგრადობის ცენტრალური მარეგულირებელი მექანიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. ემპირიული კვლევების საფუძველზე დაყრდნობით, აღნიშნული მექანიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თვითრეგულაციური მექანიზმი, რომელიც მიმართულია ორგანიზმის მდგრადობის ასამაღლებლად ავერსიული ზემოქმედების საპასუხოდ. ფსიქოგენური სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე ვირთაგვების მიერ გამოვლენილი ქცევითი რეაქციების ხასიათი, სისხლში ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებებთან ერთად განიხილება, როგორც ბიოლოგიურად დადებითი ადაპტაციური ხასიათის რეაქციები, რომელიც ზრდის ორგანიზმის მდგრადობას სხვადასხვა პათოგენური ფაქტორების მიმართ. ორგანიზმში ნერვული რეგულაციის საერთო სისტემა მაღალი მგრძობელობით გამოირჩევა. ის ააქტივებს სომატურ, ჰორმონალურ, იმუნურ და სხვა ფუნქციურ სისტემებს, რომელთა აქტივაცია ზრდის ორგანიზმის მდგრადობას პათოგენური ზემოქმედებისადმი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თავის ტვინის ზემოთ აღნიშნული ფუნქციონალური სისტემები, ერთვება ორგანიზმის დამცველობით, კომპესატორული მექანიზმების რეგულაციაში და წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს ბიოლოგიურად დადებითი სტრესული რეაქციის აქტივაციასა და ფორმირებაში (2, 25, 105)¹⁴⁰. აღნიშნული კვ-

138 **Gardner C. R.** – Recent developments in 5-HT-related pharmacology of animal models of anxiety. *Pharmacol. Biochem. Behav.* 1986. v.24#5. p.1474. **Jakobs B. L. Azmitia E.C.** – Structural and function of the brain serotonin system. *Physiol. Rev.* 1992. v. 72. p. 165-229.

139 **Blum K. Braverman E. Holder J. Lubar J. et al.** – Reward deficiency syndrome: a biogenetic model for the diagnosis and treatment of impulsive, addictive and compulsive behaviors. *Jour. Psychoactive Drugs.* 2000. v. 32. p.1-112.

140 **Хананашвили М. М.** – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. *Вестник Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина.* 1998. с.13-16. **ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ.** – გლუკოზისა და ქოლესტერინის მაჩვენებლის განსაზღვრა განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. *სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XIV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა სერია. თბილისი 2016.გვ. 143-154.* **Хананашвили М.М.** – В кн: *Дисрегуляторная патология. Руководство для врачей и биологов. М.: Медицина, 2002. С. 294-306.*

ლევების შედეგად მიღებული მასალა ადასტურებს, რომ სტრესოგენური აგენტის ზემოქმედების დროს გამოვლენილი ქცევა: „გრუმინგი“, სიგნალთმორის გადასვლები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომები – თვითმარეგულირებელი მექანიზმების ქცევით კომპონენტებს განეკუთვნებიან, მეტაბოლური მაჩვენებლების ცვლილებები, კორტიზოლის როგორც სტრესს ჰორმონის ეტაპობრივი მომატება კი განაპირობებს გლუკოზისა და ქოლესტერინის ცვლილებებს, განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში, რაც ორგანიზმის დამცველი ძალების სასწრაფო მობილიზაციის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს – დარღვეული ნონასწორობის აღსადგენად და განიხილება ბიოლოგიურად ადაპტაციური ხასიათის რეაქციად, რომელიც თავის ტვინის ფუნქციონირების ოპტიმალური რეჟიმის შენარჩუნებას ემსახურება.

უარყოფითი ემოციური დაძაბულობის გამომხატველი მდგომარეობა, როგორიცაა შიშისა და შფოთვის რეაქციები აღმოცენდება სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციაში და ვლინდება მოვლენის არასასურველი განვითარების მოლოდინში.

ნორმის პირობებში შფოთვის მდგომარეობა ადაპტაციურ ხასიათს ატარებს.

ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ორივე ჯგუფის ვირთაგვებში სტრესირებამდე და სტრესირების შემდეგ შესწავლილი იქნა ცხოველების ემოციური მდგომარეობა „ღია ველისა“ და „პროკონფლიქტური“ ტესტის საშუალებით. ინტაქტურ ცხოველებთან შედარებით თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება-განმტკიცების შემდეგ „ღია ველში“ ტესტირებისას აღინიშნებოდა კვლევითი აქტიურობის შემცირების ტენდენცია, გაზრდილი იყო მოძრაობის აქტიურობის ლატენტური პერიოდი ($P=0,001$) და „გრუმინგის“ ხანგრძლივობის მაჩვენებელი ($P=0,003$). „ღია ველში“ კვლევითი აქტიურობის შემცირება მიუთითებს ემოციური დაძაბულობის გაძლიერებაზე (92)¹⁴¹. ამ მოსაზრების მართებულებაზეც მიუთითებს „პროკონფლიქტურ“ სიტუაციაში ვირთაგვების ტესტირების შედეგებიც; კერძოდ, საცდელ ვირთაგვებთან შედარებით საკონტროლო ვირთაგვებში სტრესირების შემდეგ შემცირდა ($2,7\pm 0,5$; $P=0,002$) დენით დასჯილი წყლის სმის აქტების რაოდენობა. საცდელ ვირთაგვებშიც აღნიშნული ქცევითი მაჩვენებლები სარწმუნოდ იყო შემცირებული, აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა ($P=0,001$) და მათი ერთდროული 14-დღიანი ტესტირების ($P=0,002$) შემდეგაც. ამ ტესტის მიხედვით დენტან შეუღლებული წყლის სმის აქტების რაოდენობის სიმცირე ცხოველებში შიშისა და შფოთვის რეაქციის გაძლიერების მაჩვენებელია. ამრიგად, ფსიქოგენური სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე „ღია ველისა“ და „პროკონფლიქტური ტესტის“ მიხედვით ცხოველებში დომინირებს შიშისა და შფოთვის რეაქციები.

ხშირი პრეზენტაცია სტრესირების დროს ინტერვალში, ნეიროენდოკრინული და მეტაბოლური პროცესების ადაპტაციის ეფექტს იძლევა. ნეიროენდოკრინული ადაპტაცია სტრესის მიმართ, ქცევითი ნეიროფიზიოლოგიური

141 *Hall C.S. – Emotional behavior in the rat. I. Defecation and urination as measures of individual differences in emotionality. J. Comp. Psychol. 1934. V. №2, P.385-403.*

ჰაბიტუაციის მგრძობელობითი სტიმულის მსგავსია (89)¹⁴². ჩვენს მიერ მიღებული შედეგების და ლიტერატურული მონაცემების თანახმად, განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ვირთაგვებში დომინირებს შიშისა და შფოთვის რეაქციები, რასაც თან სდევს ქცევითი მაჩვენებლების ცვლილებები, რომელთა ურთიერთმონაცვლეობა განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში სხვადასხვა ხასიათისაა, ამაზე მიუთითებს სისხლში კორტიზოლის, სტრეს-ჰორმონის პროცენტული მაჩვენებლის ციკლურობაც, სისხლში კორტიზოლის ეტაპობრივ მომატებას მოყვა გლუკოზისა და ქოლესტერინის შემცველობის ცვლილებებიც, რაც ფსიქოგენური სტრესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ცხოველების ამგვარი ქცევა და მეტაბოლური ცვლილებები, სტრესირების დროს ორგანიზმის მიერ გამოვლენილი ქცევის დამცველობითი და თვითმარეგულირებელი ბუნებისაა და სტრესული ზემოქმედებისადმი ორგანიზმის მდგრადობის გაძლიერების მანიშნებელი. აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრესოგენურ გარემოსთან ინდივიდის ადაპტაციაში.

142 *De Boer SF, Koopmans S., Slangen J., Van der Gugten J. – Plasma catecholamine, Corticosterone and glucose responses to repeated stress in rats: effect of interstressor interval length. J. Physiol behav, 1990 Jun; 47(6):17-24.*

დასკვნა

ფსიქოგენური სტრესის მოდელირებისას კომპლექსურად შესწავლილია ბიოქიმიური მაჩვენებლების და ქცევითი პარამეტრების ცვლილებები განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირების პირობებში. აღნიშნული კვლევის შედეგად მიღებული მასალა ადასტურებს:

- სტრესის განვითარების სამივე ეტაპზე, სტრესოგენური აგენტის ზემოქმედების დროს გამოვლენილი ქცევები: „გრუმინგი“, სიგნალთმორის გადასვლები, ვერტიკალური და ჰორიზონტალური დგომები – თვითმარეგულირებელი მექანიზმების ქცევით იმ კომპონენტებს განეკუთვნება, რომლებიც თავის ტვინის ფუნქციონირების ოპტიმალური რეჟიმის შენარჩუნებას ემსახურება და ხელს უწყობს სტრესისადმი მდგრადობასა და შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციას.
- სტრესირებისას ექსპერიმენტალურ ცხოველებში დომინირებს შიშისა და შფოთვის რეაქციები, რასაც თან სდევს ქცევითი და ემოციური მაჩვენებლების ცვლილებები, რომლებიც განსხვავებული სირთულის ექსპერიმენტის პირობებში დამცველობითი კომპენსატორული ხასიათისაა და შესაბამისად თავის ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების მაჩვენებელია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტრესოგენულ გარემოსთან ინდივიდის ადაპტაციაში.
- სისხლში კორტიზოლის პროცენტული მაჩვენებლის ეტაპობრივი მომატება ინვეეს, გლუკოზისა და ქოლესტერინის ცვლილებას, რაც ფსიქოგენური სტრესისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ფაქტორია.
- განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას, ცხოველების მიერ გამოვლენილი ქცევითი რეაქციების ხასიათი, სისხლში ბიოქიმიურ მაჩვენებლების ცვლილებებთან ერთად, განიხილება როგორც ბიოლოგიურად დადებითი ადაპტაციური ხასიათის რეაქცია, რომელიც ზრდის ორგანიზმის მდგრადობას სხვადასხვა პათოგენური ფაქტორების მიმართ.
- ცხოველების მიერ გამოვლენილი ქცევითი აქტები და ორგანიზმის მეტაბოლური ცვლილებები განიმარტება, როგორც ბიოლოგიურად დადებითი სტრესის გამოვლინება და ასახავს თავის ტვინის თვითრეგულაციურ მოქმედებას, რაც გამოიხატება სტრესოგენური ფაქტორებისადმი ორგანიზმის რეზისტენტობის ამაღლებაში.
- სტრესის დროს ორგანიზმში ჰორმონებისა და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა აღნიშნავს სტრესული მდგომარეობის რეაქციული სინდრომის დასაწყისს, რომელიც მართავს ყველა ცირკულაციურ და მეტაბოლურ პროცესებს, რასაც საბოლოოდ მივყავართ გარემოს შეცვლილი პირობებისადმი ადაპტაციასთან.

გამოკვლევის შედეგებს აქვს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული ღირებულება. კერძოდ, კომპლექსური კვლევებით მიღებულია ახალი დებულებები. ინფორმაციული ტრიადის ფაქტორთა არახელსაყრელი შერწყმით განვითარებულ

ფსიქოგენური სტრესის პირობებში გამოვლენილი ჰორმონალურ – ბიოქიმიური ძვრები ორგანიზმის დამცველობითი თვითმარეგულირებელ მექანიზმების მდგრადობის გაძლიერებაზე მიანიშნებს. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ვინაიდან გამოვლენილია ის ქცევითი აქტები, რომლებიც თვითრეგულაციის მექანიზმების მუშაობას გამოხატავს და განაპირობებს ორგანიზმის მდგრადობის დონის აწევას ჯანმრთელობისთვის სახიფათო სტრესოგენური ფაქტორებისადმი. სასარგებლოა ამ აქტების გაძლიერება და არა მათი დათრგუნვა („მკურნალობა“), როგორც ხშირად ხდება უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევის მკურნალობის მიზნით. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია იმ დაავადებების პროფილაქტიკისა და პრევენციისთვის, რომლებიც შესაძლებელია განვითარდეს სტრესოგენური ზემოქმედების შედეგად (შაქრიანი დიაბეტი, გულ-სისხლძაღვთა სისტემის დაავადებები და ა.შ). ე.ი. ფსიქოგენური სტრესის დროს გამოვლენილი სიმპტომები პათოლოგიის გაღრმავებას კი არ უწყობს ხელს, არამედ, პირიქით, ორგანიზმის დამცველობით მექანიზმებს წარმოადგენს. შესაბამისად, თავის ტვინის თვითრეგულაციური მოქმედების შესწავლა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ დაავადებების პროფილაქტიკისთვის, არამედ ტვინის ფუნქციონირების ოპტიმიზაციისთვისაც, რაც ცხადყოფს ფსიქოგენური სტრესის პირობებში თვითრეგულაციური ქცევის ცენტრალური მექანიზმების და მეტაბოლიზმის ადაპტაციური მაჩვენებლების კვლევის აქტუალობას.

ციტირებული ლიტერატურა

1. დევიძე ნ. – ვირთაგვების ქცევა ფსიქოგენური სტრესის პირობებში და მისი ფარმაკოლოგიური კორელაცია. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1998
2. Хананашвили М. М. – *Психогенный стресс: теория, эксперимент, практика.* Вестник, Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина. 1998. с.13-16
3. Гаркави Л.Х. Квакина Е.Б., Уколова М.А., – *Адаптационные реакции и резистентность организма – Ростов, Изд. Ростовского университета.* 1979. с.126.
4. Зильбер А.П. Цанавა Г.М. – *Этюды клинической реаниматологии – Тбилиси. Сабчота Сакарთველო.* 1982. с.368
5. Меерсон Ф.З. – *Адаптация, стресс и профилактика – Москва. Наука.* 1981. с.278.
6. Ю.Шутеу, Т.Бендилэ, А.Кафрицэ и друг – *Шок. Терминология и классификация шоковая клетка. Патофизиология и лечение, /.* – Бухарест. 1981. с.515.
7. Росин Я. А. – *Регуляция Функции – Москва. Наука.* 1984. с.172.
8. Кассиль Г.Н., – *Внутренняя среда организма, Москва. Наука.* 1983. с.224.
9. Селье Г. – *Стресс без дистресса – Москва. Прогресс.* 1982. с.127.
10. Базарнова М.А. – *Гормоны в норме и при патологии // в кн.: Руководство по клинической лабораторной диагностике. Часть 3, Клиническая биохимия/ Под. ред.: М.А. Базарновой и В. Т. Морозовой, Киев, Здоровья, 1986. с.5-64.*
11. Mason J.W. – *A review of psychoendocrine research on the sympathetic – adrenal medullary. system. psychosom. Med.* 1968, v.30, p.631-653.
12. ხანანაშვილი მ. – *ინფორმაციული სტრესი. საქართველოს მეცნ. ეროვნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი, 2008. გვ.21-26.*
13. Canon W.B. – *The emergency function of the adrenal medulla in pain and the major emotions Am. J. Physiol.* 1914. V.33. P. 356-372.

14. **McEwen B.S. Wingfield J.C.**, – *The concept of allostasis in biology and biomedicine. Horm. Behav.* 2003. 43. P. 2-15.
15. **McEwen B.S.** – *Stress adaptation, and disease. Allostasis and allostatic load. ann N.Y. Acad. Sci.* 1998. 840. P. 33-44
16. **Selye H.** – *Stress and the general adaptation syndrome, BMJ1*, 1950, p. 1383-1392.
17. **Selye H.** – *Stress without distress.* – N.Y., Holder and stoughton, 1974. P.178-192
18. **Dhabhar F.S. Satoskar A.R. Bluethmann H. David J.R. McEwen B.S.** – *Stress – induced enhancement of skin immune function: A role for Y interferon. Proc. Natl. Acad. Sci.* 2000, USA 97, 2846-2851.
19. **Dayas C.Y. Buller K.M. Crane K.W, Xu Y. Day T.A.** – *Stressor categorization: acute physical and psychological stressors elicit distinctive recruitment patterns in the amygdala and in medullary noradrenergic cell groups, Eur. J. Neurosci*, 14, 1143-1152. 2001.
20. **Reyes T.M. Walker J.R. Decino C. Hogenesch J.B, Sawchenko P.E.** – *Categorically distinct acute stressors elicit dissimilar transcriptional profiles in the paraventricular nucleus of the hypothalamus J.Neurosci.* 23, 2003, 5607-5616.
21. **Pacak K. Palkovits M.** – *Stressor specificity of the central neuroendocrine responses: implicitions for stressrelated disorders.* 2001. *Endocr. Rev.* 22(4), 502-548.
22. **Ghi P. Ferretti C. Blengio M.** – *Effects of different types of stress on histamine – H₃ receptors in the rat cortex, Brain Res.* 1995, 690, 104-107.
23. **Bartanusz V, Jazova D. Bertizi L.T. Tidiers F.J.H. Aubry J.M , Kiss J.Z.** – *stress – induuced increase in vasopressin and corticotropin – releasing factor expression in hypophysiotropic paraventricular neurons. Endocrinology.* 1993, v.132, p.895-902.
24. **Bruhn T.O. Plotsky P.M, Vale W.W.** – *Effect of faraventricular lesions on Corticotropin – Releasing Factor (CRF) – like Immunoreactivity in the STalk – Median Eminence: Studies on the Aolrenocorticotropin Response to Ether Stress and Exogenous CRF//Endocrinology – 1984. y.114, №1, p.57-62.*

25. ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ. – გლუკოზისა და ქოლესტერინის მაჩვენებლის განსაზღვრა განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XIV. საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა სერია. თბილისი 2016.გვ. 143-154
26. *Mason J.W.* – *A review of psychoendocrine research on the sympathetic – adrenal medullary system.* *psychosom. Med.* 1968, v.30, p.631-653.
27. *Walker C.D. Sapolsky R.M, Meaney M.J. et.al.* – *Increased pituitary sensitivity to glucocorticoid feed back during the stress nonresponsiwe period in the neonatal tat// Endocrinology, v.1996, №4, p.1816-1821.*
28. *Селье Г.* *Стресс без дистресса, Москва. Прогресс. 1979. с.124.*
29. *Van Der Does FE, De Neeling JN, Snoek FJ, Kostense PJ, Grootenhuis PA, Bouter LM, Heine RJ:* – *Symptoms and Well – being in relation to glycemic control in type II diabetes, Diabetes Care, 1996, 19, 204-210.*
30. *Kemmer FW, Bisping R, Steingruber HJ, Baar H, Hardtmann F., Schlayhecke R., Berger M:* – *Psychological stress and metabolic control in patients with type I diabetes mellitus. N. Engl J.Med., 1986, 314, 1078-1084.*
31. *Горизонтов П.Д., Белоусова О.И., Федотова М.И.* – *Стресс и система крови, Москва. Медицина. 1983. с.20.*
32. *Вальдман А.В., Козловская М.М. Медведев О.С.* – *Фармакологическая регуляция эмоционального стресса. М. Медицина. 1979, с.359.*
33. *Жуков Д.А.* – *Психогенетика стресса. Поведенческие и эндокринные корреляты генетических детерминантов при неконтролируемой ситуации. Санк-Петербург. 1997. с.150.*
34. *Хананашвили М. М.* – *В. кн. Патофизиология. Москва. Изд-во Томского университета, 2001. с.683-704.*
35. *Хананашвили М. М.* – *Реберг Г. Саморегуляция поведения в условиях возрастающих нагрузок на аналитико-синтетическую деятельность мозга у кошек. Журн. В.Н.Д. 1981. т. 31. №4. с. 123- 129.*
36. *Вальдман А.В.* – *Нервная система и гомеостаз// в кн. Гомеостаз// Под ред. П.Д. Горизонтова, 2-е изд. – Москва. Медицина. 1981. с.29-73.*
37. *Федоров Б. М.* – *Стресс и система кровообращения 1991. М. С.178-190.*

38. Vermentten E., Bremner J.D. *Circuits and system in stress: I.Preclinical studies. Depress Anxiety.* 2002, v.15, p.126-147.

39. Кулагин В.К. – Патологическая физиология травмы и шока – Л., Медицина. 1978. с.296.

40. Меерсон Ф.З. – Адаптация, стресс и профилактика – Москва. Наука. 1981. с.278.

41. Панин Л.Е. – Биохимические механизмы стресса, Новосибирск. Изд. Наука. 1983. с.232.

42. Schulz C., Lehnert H. – *Activation of noradrenergic neurons in the locus coeruleus by corticotropin – releasing factor, a microdialysis study. Neuroendocrinology,* 1996, v.63, p.454-458.

43. Розен В.Б. – Основы эндокринологии, Москва. Высшая школа, 1980. с.133.

44. Григорян Г.А. – Стресс и наркозависимость (исследования на животных) *Журнал выш. нервн. деят.* 2004 т. 54 №3. с. 304-319.

45. Gardner C. R. – *Recent developments in 5-HT-related pharmacology of animal models of anxiety. Pharmacol. Biochem. Behav.* 1986. v.24#5. p.1474.

46. Jakobs V. L. Azmitia E.C. – *Structural and function of the brain serotonin system. Physiol. Rev.* 1992. v. 72. p. 165-229.

47. Blum K. Braverman E. Holder J. Lubar J. et al. – *Reward deficiency syndrome: a biogenetic model for the diagnosis and treatment of impulsive, addictive and compulsive behaviors. Jour. Psychoactive Drugs.* 2000. v. 32. p.1-112.

48. Чикадзе А. – Особенности саморегуляции ВНД в условиях патологии поведения у кошек. Автореф. канд. диссерт. Тб. 1990. с.79

49. Судаков К.В – Эмоциональный стресс и психосоматическая патология. *Журн. бюлл. <<Экспер. Биол. и мед.>> РАМН. М.* 1998.

50. Хананаишвили М. М. – Психогенный стресс: теория, эксперимент, практика. *Вестник, Российской Академии Медицинских Наук. Москва. Медицина.* 1998. с.13-16.

51. ახალაძე ლ. ხანანაიშვილი მ. – ქცევითი და ემოციური მახვევებლების

ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები XII. საბუნებისმეტყველო სერია. 2014 წ. გვ. 100-106;

52. Хананашивили М.М. – Теоретические предпосылки возникновения и развития проблемы стресса. Ред. “Журн. Бюлл. эксп. биол. и мед.” РАМН, М.: 1988. с.78

53. Гогоберидзе М. М. – Особенности поведения крыс в условиях возрастающей нагрузки на функцию краткосрочной памяти. Материалы 10-го симпозиума <<экспериментальные и клинические неврозы.>>. Берлин. 1988. с. 57.

54. Хананашивили М. М. Чхубианишвили Л. Г., Мецераков В. – Предневротические состояния и информационные неврозы при сложной интегративной деятельности мозга, изд. АН, ГССР, 1976, №1, с.1-25

55. Гогоберидзе М. М. – Особенности формирования краткосрочной памяти у крыс при разных интервалах времени между пробами. Журн. Высш. нерв. деят. 1989. т.39 №3. с. 393-498.

56. ლოლობერიძე მ. – ქცევის თვითრეგულაციის თავისებურებანი და ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები უმაღლესი ნერვული მოქმედების ინფორმაციული პათოლოგიის სხვადასხვა საფეხურზე თეთრ ვირთაგვებში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1994.

57. Wiener H. – Perturbing the organism. The biology of stressful experience. Chicago: University of Chicago Press, 1992. P.34 – 42

58. Nemeroff C.V. – The corticotropin – releasing factor (CRF) hypothesis of depression: new findings and new directions. Mol. Psychiatry: 1996, v.1, 336-342.

59. Безверхая Т.П. – Физиология надпочечников // в кн.: нарушение функции надпочечников при эндокринных заболеваниях/Под ред. И.В. Комисаренко. – Киев. здоровья. 1985. с.5-67.

60. Поленов А.Л. – Гипоталамическая нейросекреция. – Ленинград. Наука. 1971. с.159.

61. Юдаев Н.А. – Евтихина З.Ф. Современные представления о гипоталамических релизинг – факторах// в кн.: Современные вопросы эндокринологии/ Под ред. Н.А. Юдаева. – Москва. Медицина. 1972. с.8-20.

62. Дильман В.М. – Большие биологические часы, Москва. Знание. 1986. с.256.

63. Makara C.B, Kvetransky R, Jezora D. et.al. – Plasma catecholamines do not participate in pituitary – adrenal activation by immobilization stress in rats with transection of nerve fibers to the median eminence// *Endocrinology*. 1986, v.119, №4, p.1757-1762.

64. Hylka V.W. Sonntag W.E. Meites J. – Reduced ability of old male rats to release ACTH and corticosterone in response to CRF administration// *Proceeding of the society for Experimental biology and medicine*. 1984, v.175, p.1-4.

65. Plotsky P.M., Vale W.K. Hemorrhage – induced secretion of corticotropin – releasing factor. Like immunoreactivity and its inhibition by glucocorticoids // *Endocrinology*. 1984, v.114, №1, p.164-169.

66. Морозова М.С. Макаровская Е.Е. – АКТГ. Механизм его действия и выделения в норме и при болезни Иценко-Куминга// В кн.: Современные вопросы эндокринологии// Под ред. Н.А. Юдаева, – Москва. Медицина. 1975. вып. 5, с.29-44.

67. Bing R.F, Schulster D, – Steroidogenesis in isolated adrenal glomerulosa cells: Response and effect of potassium, serotonin and (ser^1-Aia^2) – angiotensin. II//*J.Endocrinology*, 1974, v.74, p.261-272.

68. Mc Cann S.M. Ajika K. Fawcett C.P. et.al., – Hypothalamic control and inhibiting neurohormones//In:*Hormone metabolism and stress. Recent progress and perspectives: proceeding of an international symposium. Smolenice. September 17-20, 1972, /Ed.S. Nemea R. Bratislava, 1973, p.67-77.*

69. ბარანოვი ვ. გ., ლეიბსონი ლ. გ. საჭინკო ო. ნ. და სხვ. – ენდოკრინული სისტემის ფიზიოლოგია. თბილისი, 1991, გვ. 323-333.

70. Сергеев П.В. – Стероидные гормоны, Москва. Медицина. 1984. с.240.

71. Fulkerson W.J. Tang B.Y. – Ultradian and circadian Rhythmus in the plasma Concentracion of cortisol in Sheep// *J.Endocr.* – 1979, v.81, p.135-141.

72. Медведева Н.А., Медведев О.С. – Глюкокортикоиды и гуморальная регуляция кровообращения. Гуморальные факторы в регуляции адаптационных реакции сердечно-сосудистой системы//Итоги науки и техники. Физиология человека и животных, Москва. Медицина. 1990. т.41, с.79-83.

73. Даниелов М.М. – Гормональные и Гемодинамические сдвиги при постагрессивной реакции организма// *Дисс. канд. мед. наук., Тбилиси. 1985.*

c.203.

74. Sapolsky R.M. Krey L.C. Merwen B.S. – *stress Down – regulates corticosterone receptors in a site – specific manner in the brain// Endocrinology, – 1984, v.114, №1, p.287-302.*

75. ახალაძე ლ. ხანანაშვილი მ. ჩიხლაძე მ. – კორტიზოლის მაჩვენებლის ცვლილებები განსხვავებული სირთულის თავდაცვითი რეაქციების ტესტირებისას. სოხუმის უნივერსიტეტის შრომები X. საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა სერია. თბ. 2011.გვ. 58-66.

76. Crassler J., Krentnansky R., Jarova D., Dobrakorova M., Hemorrhage – *evoked hormonal responses and their changes in rat previously exposed to immobilization stress// stress: Neurohumoral and humoral mechanisms/ Ed. C.R. Van Loon, R. Krentnansky, R. McCarty, J. Axelrod – New-York, Cordon and breach Science Publishers, 1989, p.665-677.*

77. Vigas M. – *Neuroendocrine responses to psychosocial and somatic stress in rat and humans//stress: Neurohumoral and humoral mechanisms/ Ed., G.R. Van Loon, R. Kvernansky, R. McCarty, J. Axelrod. – New-York, Cordon and breach science Publishers, 1989, p.15-28.*

78. Lilly M.P., Endelang E.C., Cann D.S. – *Responses of cortisol secretion to repeated Reamorrhage in the anaestherized dog// Endocrinology. 1983, v.112, p.681-688.*

79. Kubo T., Mumakura H., Endo S., Hagiwara Y., Fukumori R. – *Angiotensin receptor blockade in the anterior hypothalamic area inhibits stress – induced pressor responses in rats. Brain Res Bull. 2001, 56, 569-574.*

80. Saiki Y, Watanabe T., Tan N., Matsuzaki M., Nakamura S: – *Role of central ANC // receptors in stress – induced cardiovascular and hyperthermic responses in rats. Am J. Physiol. 1997, 272, R26-R33.*

81. ახალაძე ლ. – ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2013. გვ. 63-71

82. Yagiz Üresin, Bahar Erbas, Mehmet Özek, – *Lasartan may prevent the elevation of plasma glucose levels induced by chronic stress. Pol, J.Pharmacol... 2004, 56, 271-273.*

83. Armario A, Marti J, Gil M. – The serum glucose response to acute stress is sensitive to the intensity of the stressor and to habituation. *J. Psychoneuroendocrinology*, 1990, 15(5-6):341-7.

84. Raikkonen K., Keltikangas – Jarvinen L., Adlercreutz H., Hautanen A: Psychological stress and the insulin resistance syndrome: *Metabolism*, 1996, 45, 1533-1538.

85. Wright J.W., Hardling JW. – Brain angiotensin receptor subtypes in the control of physiological and behavioral responses. *Neurosci Biobehav Rev*, 1994, 18, 21-53.

86. Hilgers KF, Veelken R., Rupprecht G, Reeh PW, Luft FC, Feiger H, Mann JFE: – Angiotensin II facilitates sympathetic transmission in rat hind limb circulation. *Hypertension*, 1993, 21, 322-328.

87. Yang G., Wan Y., Zhu Y: – Angiotensin II an important stress hormone. *Biol Signals*, 1996, 5, 1-8.

88. Nonogaki K. Iguchi A. – Stress acute hyperglycemia and hyperlipidemia: role of the autonomic nervous system and cytokines. *Trends Endocrinol Metab*, 1997, 8, 192-197.

89. De Boer SF. Koopmans S., Slangen J., Van der Gugten J. – Plasma catecholamine, Corticosterone and glucose responses to repeated stress in rats: effect of interstressor interval length. *J. Physiol Behav*, 1990 Jun; 47(6):17-24.

90. Хананашивили М. М., Домианидзе Т. Г. – Способ моделирования невроза. Авторское свидетельство, №1506474, 1989. СССР.

91. Gellerman S.W. Change orders of alternating stimuli in visual discrimination experiments. *J. Genet. Psychol*, 1933. V.42, P.207-208.

92. Hall C.S. – Emotional behavior in the rat. I. Defecation and urination as measures of individual differences in emotionality. *J. Comp. Psychol.* 1934. V. №2, P.385-403.

93. Korda M.J., Biggio G. – Stress and gabaergic transmission biochemical and behavior studies. *Advances in biochemical psychopharmacology*. 1986, V.41, P.121.

94. Oelkers W. et.al., – In: *Rationell Diagnostik in der Endokrinologie* (Ziegler R, et.al. eds) Stuttgart: Thieme, 137. 1993.

- 95. Pisan T., Gebski C.P., Leory E.T. et.al.** – *Accurate Direct Determination of Low density Lipoprotein cholesterol Using an Arch. Pathol Lab Med.* 1995; 19:1127.
- 96. Tiets NW (Hrsg).** – *Clinical Guide to Laboratory Tests, Auflage. Philadelphia. PA; WB Saunders Company; 1995:266-273.*
- 97. Вальдман А.В. Игнатов Ю.Д.** – Центральные механизмы боли – Ленинград. Наука. 1976. с. 280.
- 98. Хананашвили М.М.** – Саморегуляция высшей нервной деятельности у животных в состоянии предневроза. Исследования механизмов нервной деятельности. М.: Наука, 1984. С. 228-233.
- 99. Куземкин В.А.** – О полифункциональном анализе адаптивных реакций при моделировании умственного напряжения, Физиология человека, 1982. т.8, №1, с.100-103.
- 100. Меерсон Ф.З.** – *Физиология адаптационных процессов, М., 1986, с.492-520.*
- 101. Теплов С.И.** – Гормональные факторы регуляции// В кн.: Физиология кровообращения. Регуляция кровообращения. Ленинград. Наука. 1986. с.94-111.
- 102. ახალაძე ლ., ხანანაშვილი მ., ჩიხლაძე მ.,** – ბიოქიმიური მაჩვენებლების ცვლილებები ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო პერი-ოდული ჟურნალი “განათლება”. #2. თბილისი – სოხუმი. 2010. გვ. 81–88.
- 103. Bremner J.D. Krystal J.H., Soutwick S.M. Charney D.S.** – *Noradrenergic mechanisms is stress and anxiety: Preclinical studies. Synapse.* 1996. V.23. P.28-38.
- 104. Хананашвили М. М.** – Патология высшей нервной деятельности (поведения) М. Медицина 1983. с. 288.
- 105. Хананашвили М.М.** – В кн: *Дизрегуляторная патология. Руководство для врачей и биологов. М.: Медицина, 2002. С. 294-306.*

სარჩევი

| | |
|---|----|
| ნინასიტყვაობა | 3 |
| რედაქტორისგან | 4 |
| შესავალი | 5 |
| თავი I | |
| I.1. სტრესის გავლენა ორგანიზმის ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე | 8 |
| თავი II | |
| კვლევის მასალა და მეთოდები..... | 25 |
| II.1. ფსიქოგენური სტრესის მოდელირება აქტიური განრიდების რეაქციის მოდელირებული მეთოდით..... | 25 |
| II.2. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასება | 28 |
| II.2.1. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასება „ღია ველის“ ტესტით | 28 |
| II.2.2. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის შეფასება „პროკონფლიქტური“ ტესტით | 29 |
| II.3. ბიოქიმიური პარამეტრების განსაზღვრა | 30 |
| II.3.1. კორტიზოლოს განსაზღვრა ELISA (Enzyme Linked Immunosorbent Assay) მეთოდით | 30 |
| II.3.2. ქოლესტერინის განსაზღვრა ენზიმური (ქოლინესტერაზული) PAP-მეთოდით | 31 |
| II.3.3. გლუკოზის განსაზღვრა ენზიმური (გლუკოქსიდაზური) PAP-მეთოდით..... | 32 |
| თავი III | |
| ფსიქოგენური სტრესის მოდელირებისას საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ბიოქიმიური სტატუსის შეფასება, ქცევითი და ემოციური მახასიათებლების განსაზღვრა | 33 |
| III.1. ქცევითი და ემოციური მაჩვენებლების ცვლილებები განსხვავებული ტიპის აქტიური განრიდების რეაქციებით გამოწვეულ ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე..... | 33 |
| III.1.1. აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავება – განმტკიცებისა და ერთი ცდის განმავლობაში ორი აქტიური განრიდების რეაქციის ტესტირების დინამიკა საცდელ ვირთაგვებში..... | 33 |

| | |
|--|-----------|
| III.1.2. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ქცევითი მაჩვენებლების ცვლილებები აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების პერიოდში | 35 |
| III.1.3. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ქცევა ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 დღიანი ტესტირების პერიოდში | 40 |
| III.2. ცხოველთა ემოციური მდგომარეობის მახასიათებლები განსხვავებული სირთულის აქტიური განრიდების რეაქციის გამომუშავებისა და განმტკიცების პერიოდში | 41 |
| III.2.1. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ქცევა „ღია ველის“ ტესტში | 41 |
| III.2.2. საცდელი და საკონტროლო ვირთაგვების ქცევა „პროკონფლიქტურ“ ტესტში | 50 |
| III.3. ბიოქიმიური პარამეტრების შეფასება განსხვავებული სირთულის აქტიური განრიდების რეაქციებით გამონვეულ ფსიქოგენური სტრესის განვითარების სხვადასვა ეტაპზე (საცდელ და საკონტროლო ვირთაგვებში) | 52 |
| III.3.1. ბიოქიმიური პარამეტრების კონცენტრაციის განსაზღვრა სისხლის პლაზმაში აქტიური თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება – განმტკიცებისა და ორი აქტიური განრიდების რეაქციის ერთდროული 14 – დღიანი ტესტირების პერიოდში საცდელ და საკონტროლო ვირთაგვებში | 52 |
| თავი IV | |
| კვლევის შედეგების განხილვა | 56 |
| დასკვნები და რეკომენდაციები | 72 |
| ციტირებული ლიტერატურა | 74 |

SOKHUMI STATE UNIVERSITY

Lali Akhaladze

**Development of Psychogenic Stress –
Biochemical Analysis of the Organism**

Publishing house ‘Meridiani’

Tbilisi - 2

This work provides complex study of changes in biochemical indicators and behavior parameters due to psychogenic stress modelling, in the conditions of defense reaction testing of different complexities. It belongs to the category of fundamental researches and the results received broaden modern scientific ideas in this field. It provides a comprehensive and objective concept regarding humoral regulation of the stress condition of the body. In particular, the release of hormones and biologically active agents means the beginning of the reactive syndrome of stress, which controls all the circulatory and metabolic processes of the body, which finally leads to the adaptation to the changed environmental conditions.

Animal behavior and metabolic changes in the tests of various complexity are explained as manifestation of biologically positive stress and represent self-regulatory function of the brain, expressed in the increase of the level of resistance of the organism to the conditions of the environment.

The results of the research have practical value as well, since it reveals those behavioral acts which represent the work of self-regulatory mechanisms and facilitates the increase of the level of resistance of the organism to dangerous stress-producing factors.

The work is intended for specialists as well as the readers interested by this question.

Editor: **Sukhan Tsagareli**
Doctor of Biological Sciences
Professor

Reviewers: **Eka Rapava**
Doctor of Biological Sciences
Professor

Manana Chikhladze
Doctor of Biology
Associate professor

© *Lali Akhaladze 2022*

© All Rights Reserved

Publishing House «Meridian» 2022

ISBN 978-9941-34-231-8

უბჯ (UDC) 159.944.4
ს-982

FOREWORD

The monographic research “Development of Psychogenic Stress –Biochemical Analysis of the Organism” is based on our empiric researches and observations at the laboratory of the Department of Behaviour and Cognitive Functions, Iv. Beritashvili Institute of Physiology. In the process of the study and research, at the targeted recommendations by the research adviser prof. Mikheil Khananashvili, our scientific interest has broadened in various directions. Naturally, as a result of the research, we received diverse material which requires years of observation, thinking and analysis. A part of the results of the study is reflected in our thesis paper „Changes in Immune and Biochemical Indicators at Different Stages of Development of Psychogenic Stress in Lewis Rats” (2008), as well as in the monography published in 2013 and so, today we offer the further stage of observations and analysis of empiric research results to the readers in Georgian and English languages. The monography was ready as early as 2019. It includes the advices and recommendations of the editor the late Prof. Sul Khan Tsagareli. However, due to the world Covid-19 pandemic, publishing of the book was temporarily delayed.

Our academic advisor and mentor, Prof. Mikheil Khananashvili deceased before the pandemic, on the 2th of December 2018 and our teacher and older friend, Prof. Silkhan Tsagareli deceased on 22 of August 2021.

I dedicate this work to the memory of both of our dear teachers, professors Mikheil Khananashvili and Sul Khan Tsagareli with a feeling of deep gratitude.

Lali Aakhaladze

From the editor

Lali akhaladze's first monography "Changes of Biochemical Values at Various Stages of the Development of Psychogenic Stress" was published in 2013. After that the author has broadened observations in the field of determination of the effect of psychogenic stress on behavioural reactions and adaptive indicators of metabolism. The author has added new data and materials and offered it in a form of the present work in Georgian and English languages.

One of the most essential problems of modern biology and medicine is the study of organism adaptation to permanently changing environmental conditions and homeostasis of metabolic processes. We live in the environment of frequent local wars, geological shifts, floods and earthquakes, blasts, air accidents climatic changes, when the number of physical traumas is increased. Stress has significant effect on the nervous system, mental disorders are more widespread by the influence of psychic irritator, the number of psychogenic stresses has increased, affecting brain functions, in particular, memory, motivation, emotion, when it is hard for people to make decisions.

